

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა
გზაჯვარედინზე

I

BLACK SEA REGION AT THE CROSSROADS OF
CIVILIZATIONS

ბათუმი | Batumi
2022

მთავარი რედაქტორი: როინ მალაყმაძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო)

რედაქტორები: ნიკოლაი დურა (კანონიკური სამართლის დოქტორი, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემია, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი, რუმინეთი)

ოლეგ ჯიბაშვილი (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო)

Editor-in-Chief: Roin Malakmadze (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

Editors: Nicolae V. Dură (PhD in Canon Law, the Academy of Romanian Scientists, Ovidius University of Constanta, Romania)

Oleg Jibashvili (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia)

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, 2023 • Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, 2023

ISSN 2960-9208
E-ISSN 2960-9267

სარედაქციო კოლეგია: როინ მეტრეველი (აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველო), ნიკოლაი დურა (აკადემიკოსი, რუმინეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რუმინეთი), ჯემალ ვარშალომიძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), მერაბ ჩუხუა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო), ვინსენტ კოპეჩეკი (ანთროპოლოგიის დოქტორი, ოსტრავას უნივერსიტეტი, ჩეხეთი), ნინო ინაიშვილი (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საქართველო), როზეტა გუჯეჯიანი (ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), რადოსლავ კარასიევიჩ-სზიპიორსკი (ისტორიის დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ჯემალ კარალიძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), რამაზ ხალვაში (ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), ხათუნა დიასამიძე (ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო), სუდან ალთუნი (ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის (ყარსის) უნივერსიტეტი, თურქეთი), კალიბეკოვა მანანა (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვალიხანოვის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ყაზახეთი)

Editorial Board: Roin Metreveli (Academician, Georgian National Academy of Sciences, Georgia), Nicolai Dura (Academician, Romanian National Academy of Sciences, Romania), Jemal Varshalomidze (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Merab Chukhua (PhD in Philology, Arnold Chikobava Institute of Linguistics of Tbilisi State University, Georgia), Vincenc Kopeček (PhD in Anthropology, University of Ostrava, Czechia), Nino Inaishvili (PhD in History, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Rozeta Gujejani (PhD in History, History and Ethnology Institute of Tbilisi State University, Georgia), Radosław Karasiewicz-Szczypiorski (PhD in History, Warsaw University, Poland), Jemal Karalidze (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Ramaz Khalvashi (PhD in Philology, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Khatuna Diasamidze (PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University, Georgia), Sudan Altun (PhD in Philology, Kars University, Turkey) Kalybekova Manana (PhD in History, Ch. Ch. Valikhanov Institute of History and Ethnology, Kazakhstan).

ავტორთა სტილი დაცულია და რედაქცია არ აგებს პასუხს მათ შეხედულებებზე

რეცენზენტები:

დავით ყოლბაია (ისტორიის დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი. პოლონეთი)
მერაბ ჩუხუა (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო)
ლავრენტი ჯანიაშვილი (ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო)

Reviewers:

David Kolbaia (PhD in History, Head of the Department of Caucasian Studies at the Center for Eastern European Studies, Faculty of Oriental Studies, University of Warsaw, Poland)
Merab Chukhua (Doctor of Philological Sciences, Ar. Chikobava Institute of Linguistics, Tbilisi State University named after Iv. Javakhishvili, Georgia)
Lavrenti Janiashvili (PhD in History, Institute of History and Ethnology named after Iv. Javakhishvili, Tbilisi State University named after Iv. Javakhishvili, Georgia)

შესავალი

ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე შავიზღვისპირეთი, თავისი მოხერხებული გეო-სტრატეგიული მდებარეობით, უძველესი დროიდანვე იქცევა რეგიონული თუ მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ძალების ყურადღებას. ამ ვრცელ არეალში მოქცეული სხვადასხვა ქვეყანა, სწორედ შავი ზღვის ღია სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სივრცის წყალობით, ოდითგანვე ჩართული იყო მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში.

უძველესი წყაროები, მითები და ლეგენდები ნათლად წარმოაჩენს აღნიშნულ სივრცეში უძველესი ცივილიზაციებისა და ხალხების ურთიერთობის ფაქტებს. აქ ხვდებოდნენ და ურთიერთგავლენას განიცდიდნენ ძველქართული (კოლხური, იბერიულ-მესხური, სვანური) და წინარე ბერძნული (კრეტა-მინოსური, პელასგური), ძველბერძნული და ხეთური, ურარტული და ასურული, აგრეთვე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სტეპების მომთაბარული სამყაროები.

შავი ზღვის სივრცეში მიმდინარე კულტურათა შეხვედრების პროცესებში მონაწილეობას უფრო შორეული რეგიონებიც იღებდნენ: პირენეისა და აპენინის, ეგვიპტისა და პალესტინის, შუამდინარეთისა და ირანის, შუა აზიის, ინდოეთისა და ჩინეთის, ჩრდილოეთის პირქუში ტყეებისა და სამხრეთის ცხელი უდაბნოების წარმომადგენლები აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს. აქ გადიოდა „აბრეშუმის დიდი გზა“ და ერთმანეთთან აკავშირებდა მსოფლიოს შორეულ კუთხეებს.

დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ, რომელმაც თავისი პოლისებითა და ემპორიონებით მოფინა მთელი შავიზღვისპირეთი, ხელი შეუწყო ბერძნების დაახლოებას სხვადასხვა ადგილობრივ მოსახლეობასთან. დაჩქარდა კულტურათა ინტეგრაციის პროცესები, რამაც ელინისტურ ეპოქას დაუდო სათავე.

საინტერესოა, შავიზღვისპირეთის რეგიონში რომაულ პერიოდში განვითარებული მოვლენებიც, როცა ბერძნულ ცივილიზაციას ეტაპობრივად აპენინური პოლიტიკურ-კულტურული გავლენა ანაცვლებს. ჩანს ფუნდამენტური ცვლილებები სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. დაარსდა საზღვაო კორპორაციები, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვან საზღვაო-სამრწველო ქალაქებს შავიზღვისპირეთის ცენტრებთან აკავშირებდა. ბერძნული კოლონიზაციის პერიოდთან შედარებით, რომაულ ეპოქაში აკულტურაციის პროცესები კიდევ უფრო დაჩქარდა.

უნდა ითქვას, ისიც, რომ ანტიკური ეპოქის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შავი ზღვა ძირითადად ასრულებდა არა გამთიშველ, არამედ გამაერთიანებელ როლს. ინტენსიური ეკონომიკური და კულტურული კომუნიკაციის პროცესი, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდიდან იღებს,

მგ.წ. I ს. დასაწყისიდან ახალ ფაზაში შევიდა. ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა მთელი პონტოსპირეთის ერთიან გეოპოლიტიკურ ერთეულად ფორმირების იდეას. იმ დროისათვის წამყვანი სახელმწიფოების ზეწოლით იწყება შავი ზღვის რეგიონის თვისობრივი ტრანსფორმაცია და ამ ვრცელი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაცია. შავიზღვისპირეთის ერთიან გეოპოლიტიკურ ერთეულად ფორმირების მცდელობა აქტუალური იყო მომდევნო პერიოდშიც, თითქმის მთელი გვიანანტიკური ხანის მანძილზე, როცა მთელ რეგიონში პოლიტიკურად რომის იმპერია დომინირებდა.

რომაული პერიოდის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და გამრავალფეროვნდა შავიზღვისპირეთის სივრცეში კულტურათაშორისი შეხვედრების, მათი თანაარსებობის თუ ურთიერთდაპირისპირების პროცესები. რეგიონში შემოდიოდა და არსებულ მდგომარეობაზე გავლენას ახდენდა გერმანული და სლავური, არაბული და თურქ-სელჩუკური, მონღოლურ-ნოღაური, რუსულ-მოსკოვიტური და დასავლეთ ევროპული მსხვილი კულტურულ-ეთნიკური თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაკადები. მათ გარდა, შედარებით მცირე დოზებით, შავიზღვისპირეთის კულტურათა ინტეგრაციის მუდმივ პროცესში თავისი წილი ცვლილებები შეჰქონდა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლობას. პარალელურად, არსებობას აგრძელებდა და გარესამყაროსთან განუწყვეტლივ ურთიერთობაში ვითარდებოდა თუ ტრანსფორმირდებოდა ადგილობრივი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეთნო-კულტურული ერთობები.

შავიზღვისპირეთის ვრცელი რეგიონი, უძველესი დროიდან დღემდე, არსებობას აგრძელებს როგორც სხვადასხვა ცივილიზაციის შეხვედრის ადგილი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და განუწყვეტლივ ურთიერთქმედებდნენ როგორც ერთმანეთზე, ისე ადგილობრივ სამყაროზე. ეს იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორებით გამოწვეული ყოვლისმომცველი და მუდმივმოქმედი პროცესი. ამ პროცესმა განაპირობა შავიზღვისპირეთის ვრცელი არეალის თანამედროვე სახე, ის პოლიტიკური, რელიგიური თუ კულტურული სინამდვილე, რაც სადღეისოდ გვაქვს. რეგიონში არსებული ნებისმიერი ნიუანსი, საცხოვრებელი ნაგებობებით, ჩაცმულობითა და კერძებით დაწყებული, მსოფლმხედველობითი, ენობრივი და ანთროპოლოგიური თავისებურებებით დამთავრებული, ამ პროცესის შედეგია. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება.

თავისი ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, შავიზღვისპირეთის სივრცე, აქ მიმდინარე რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესებით, ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება დაინტერესების

საგანი სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნო-კონფესიური, კულტურული თუ პროფესიული ჯგუფის მხრიდან. ასეთმა ვითარებამ ბუნებრივად დასვა დღის წესრიგში ფართო ხასიათის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების საკითხი, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეძლებდა რეგიონის პრობლემატიკაზე მომუშავე სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის შეხვედრისა და აზრთა ურთიერთგაზიარების საშუალება მიეცა. ასე დაიბადა ინტერდისციპლინარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“** – ჩატარების იდეა.

აღნიშნული საერთაშორისო კონფერენციის პირველი მოწვევა გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრის თანაორგანიზებით. ღონისძიებას ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში 13 ქვეყნის 200-ზე მეტმა მონაწილემ წარმოადგინა თავისი კვლევის შედეგები. მოხსენებათა თემატიკა, კონფერენციის ხასიათიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მათი ერთი ნაწილი წინამდებარე კრებულის საშუალებით იხილავს დღის სინათლეს. ვფიქრობთ, რომ კრებულს ინტერესით გაეცნობა სხვადასხვა დარგის მკვლევარი და თავისთვის საჭირო და სასარგებლო ბევრ ინფორმაციასაც მოიძიებს მასში.

ინტერდისციპლინარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“** – მოწვევა მომავალშიც გაგრძელდება და ეს წამოწყება კარგ ტრადიციად დამკვიდრდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. იგი ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ურთიერთდაახლოებასა და კულტურათაშორის დიალოგს.

მთავარი რედაქტორი

Preface

The Black Sea, located at the junction of Europe and Asia, with its convenient geo-strategic location, has attracted the attention of political and trade-economic entities of regional or world importance since ancient times. Various countries located in this vast area, through the open transport and communication space of the Black Sea, have been involved in world-historical processes since time immemorial.

Ancient sources, myths and legends clearly present the facts of the relationship between ancient civilizations and people in the Black Sea area. Ancient Georgian (Colchian, Iberian-Meskhetian, Svan) and ancient Greek (Crete-Minoan, Pelasgian), ancient Greek and Hittite, Urartian and Assyrian worlds met and were mutually influenced here, as well as the nomadic worlds of the northern Black Sea.

Even more distant regions took part in the processes of cultural meetings taking place in the Black Sea area: representatives of the Pyrenees and Apennines, Egypt and Palestine, Mediterranean and Iran, Central Asia, India and China, gloomy forests of the north and hot deserts of the south met here. The "Great Silk Road" passed here and connected the far regions of the world.

The Greek colonisation, which covered the entire Black Sea coast with its polises and emporiums, helped bring the Greeks closer to different local populations. The processes of integration of cultures accelerated, which gave rise to the Hellenistic era.

It is interesting to emphasize the events that developed in the Black Sea region during the Roman period when the Greek civilization was gradually replaced by the Roman political-cultural influence. Fundamental changes can be seen from the military and trade-economic point of view. Maritime corporations were established, which connected the important maritime cities of the Mediterranean with the centres of the Black Sea. Compared to the period of Greek colonization, acculturation processes accelerated even more in the Roman era.

It should also be pointed out that at different stages of the history of the ancient era, the Black Sea mainly played a unifying role, not a disconnection. The process of intensive economic and cultural contacts, which originates from the period of Greek colonization. At that time, the qualitative transformation of the Black Sea region and the political-economic integration of this vast region began under the pressure of the leading states. The attempt to form the Black Sea coast into a single geopolitical unit was also relevant in the next period, almost throughout the Late Antiquity period, when the entire region was politically dominated by the Roman Empire.

After the Roman period, the processes of intercultural meetings, their coexistence or mutual confrontation in the Black Sea area became even stronger and diversified.

German and Slavic, Arab and Seljuc Turks, Mongolian-Nogha, and Western European large cultural-ethnic or political-economic flows entered the region and influenced the existing situation. In addition to them, in relatively small doses, in the continuous process of integration of the cultures of the Black Sea coast, the representatives of almost all parts of the world made their share of changes. At the same time, the local ethnocultural entities, formed over centuries, continued to exist and developed or transformed in continuous relationships with the outside world.

The vast region of the Black Sea coast, from ancient times to the present day, continues to exist as a meeting place for various civilizations. The peculiarities of the North and the South, the West and the East met here and continuously interacted both with each other and with the local world. It was a comprehensive and permanent process caused by political, economic and cultural factors. This process determined the modern appearance of the vast area of the Black Sea coast, the political, religious and cultural reality that we have today. Any nuances in the region, starting with housing, clothing and food, ending with worldview, language and anthropological features, are the result of this process. This process is ongoing today and will continue in the future.

Due to its all-encompassing nature, the Black Sea region, with its complex political, economic and cultural processes, has always been, is and will continue to be a subject of interest from various political, economic, ethnic-confessional, cultural and professional groups. Such a situation naturally put on the agenda the issue of holding a wide-ranging international scientific event, which would at least partially provide an opportunity for researchers from various fields working on the problems of the region to meet and exchange ideas. This is how the idea of holding an interdisciplinary international scientific conference - "The Black Sea at the Crossroads of Civilizations" - was born.

The first invitation of the emphasized international conference was held at Batumi Shota Rustaveli State University with the co-organization of the Niko Berdzenishvili Institute and the Research Center for the Study of Three Monotheistic Religions and Canonical Law of the Constanta Ovidius University. The event was financially supported by the Ministry of Education, Culture and Sports of the Autonomous Republic of Ajara.

More than 200 participants from 13 countries presented their recent research results in the international scientific conference. The topics of the reports, depending on the field of the conference, were quite diverse. From our point of view, researchers in various fields will get to know the collection with interest and will find a lot of necessary and productive information in it.

The invitation to the interdisciplinary international scientific conference - "The Black Sea at the Crossroads of Civilizations" - will continue in the future and this

initiative will become a good tradition in the scientific life of Batumi Shota Rustaveli State University. It will promote mutual rapprochement of representatives of scientific circles of different countries and intercultural dialogue.

Chief Editor

სარჩევი / Contents

არქეოლოგია / Archaeology

ირინე ვარშალომიძე / Irine Varshalomidze

- არიარატეს I-ის (ძვ.წ.333–322) დრაქმა ფიჭვნარიდან 13
Drachm of Ariarates I (333-322 BC) from Pichvnari

ისტორია / History

ირაკლი ბარამიძე / Irakli Baramidze

ხათუნა დიასამიძე / Khatuna Diasamidze

ოლეგ ჯიბაშვილი / Oleg Jibashvili

- დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ფრედერიკო გუარაჩინოს ცნობები
ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ბათუმში (1840-1845) 22
Reports of the Great Britain's Vice-Consul Frederico Guarracino
on the Trade and the Navigation in Batumi (1840-1845)

ჯემალ კარალიძე / Jemal Karalidze

- გეოპოლიტიკური პროცესები XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე და კავკასია 38
Geopolitical Processes at the Turn of the XVIII-XIX Centuries and the Caucasus
Military-strategic Purpose of the Batumi and Poti Harbours
The Issue of Dating the Reign of King Vakhtang Gorgasali

დოდო ჭუმბურიძე / Dodo Tchumburidze

- ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები ნაციონალიზმის
ეპოქაში და ისტორიული გმირის კონცეფცია 49
The Main Trends of Georgian Historiography in the Era of Nationalism
and the Concept of Historical Hero

ეთნოლოგია / Ethnology

თეონა აბულაძე / Teona Abuladze

- აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელ ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობა 62
The Cultural Heritage of the Pontic Greeks of the Black Sea Coast of Ajara

ჯემალ ვარშალომიძე / Jemal Varshalomidze

- საცხოვრებელი სახლის ტიპი ხელვაჩაურიდან / Type of Residential House from 70
Khelvachauri

თამილა ლომთათიძე / Tamila Lomtadze

- ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის
ქართველებში 78
Tradition as a Marker of National Identity of the Georgians living in Turkey

ენათმეცნიერება / Linguistics

ნანული ნოღაიდელი / Nanuli Nogaideli

- კომპოზიტები აჭარული დიალექტის ლექსიკაში 91
Composites in the Vocabulary of the Ajarian Dialect

ლიტერატურა და ფოლკლორი / Literature and Folklore

ელზა ფუტკარაძე / Elza Putkaradze

კაკალა ებრალიძე / Kakala Ebralidze

ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთი სტილური თავისებურება 99
Some Stylistic Features of Zurab Gorgiladze's Creative Work

კულტურა, ხელოვნება / Culture, Art

თათია დავითაძე / Tatia Davitadze

კოლხი მედეა XXI საუკუნის დრამატურგიაში 109
Colchian Medea in the Dramaturgy of the 21st Century

Drachm of Ariarates I (333-322 BC) from Pichvnari
არიარათეს I (ძვ.წ.333–322) დრახმა ფიქვნარიდან

Irine Varshalomidze

PhD in History, Senior researcher of Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University,
e-mail: irine.varshalomidze@bsu.edu.ge

Tel: +995 593 34 03 46

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-7082-0040>

Abstract: Aim of this work is to describe the silver coin, found during the Georgia-British archaeological expedition in 2007, from 227th Hellenistic grave, to determine the country, city, years of emission and meteorological parameters, to obtain parallel material, reporting reasoning and maps of coin circulation in the research area. As a result of the conducted research, it was determined that the coin is a drachma minted in the city of Gaziura in the name of King Ariarathes I (333-322 BC) of the Kingdom of Cappadocia. Drachmas minted in different cities of Cappadocia entered Georgia in large quantities and were the main means of circulation in Roman times. There are coins minted in the name of the kings of Cappadocia in the Hellenistic period as well, but only a few units, mainly from western Georgia. The discovery of a coin minted in Pichvnari with the name of Ariarates I is of great importance, since it is the earliest Cappadocian coin discovered in our country - the circulation of money minted in the city of Gaziura of the Kingdom of Cappadocia was recorded for the first time not only in the research area, but throughout Georgia as well. If we look over the material of the Hellenistic period of Pichvnari, we will see that the ceramic material of the city of Sinope is dominating - we have the same situation in the numismatic monuments. It is entirely possible that the drachma I of Ariarates appeared in Pichvnari through Sinopian products.

Key words: Cappadocia, Drachma, Ariarathes I, Fichenuri, Gaziura

ირინე ვარშალომიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ელ-ფოსტა: irine.varshalomidze@bsu.edu.ge

ტელ: +995 593 34 03 46

ORCID: <https://orcid.org/0009-0009-7082-0040>

აბსტრაქტი: შრომა მიზნად ისახავდა 2007 წელს, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობისას, ელინისტური სამაროვნის 227-ე სამარხში გამოვლენილი ვერცხლის მონეტის განსაზღვრას, აღწერას; ქვეყნის, ქალაქის, ემისიის წლების, მეტროლოგიური პარამეტრების დადგენას, პარალელური მასალის მოძიებას და მონეტის საკვლევ ტერიტორიაზე მიმოქცევის მიზეზებისა და გზების დადგენას. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონეტა წარმოადგენს კაპადოკიის სამეფოს მეფე არიარათეს I-ის (ძვ.წ. 333–322) სახელით ქალაქ გაზიურაში მოჭრილ დრაქმას. კაპადოკიის სხვადასხვა ქალაქში მოჭრილი დრაქმები რომაულ ხანაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მიმოქცევის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. ამავე ტერიტორიაზე გვხვდება ელინისტურ პერიოდში კაპადოკიის მეფეების სახელით მოჭრილი საფასეებიც, მაგრამ სულ რამდენიმე ერთეული. ფიჭვნარში არიარათეს I-ის სახელით მოჭრილი მონეტის გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს. კაპადოკიის სამეფოს ქალაქ გაზიურაში მოჭრილი ფულის მიმოქცევა პირველად დაფიქსირდა არა მხოლოდ საკვლევ პუნქტში, არამედ მთელ საქართველოში. ეს არის ჩვენს ქვეყანაში გამოვლენილი ყველაზე ადრეული კაპადოკიური მონეტა. ფიჭვნარის ელინისტური ხანის მასალას თუ გადავხედავთ, აშკარად ჩანს, რომ დომინირებს ქალაქ სინოპეს კერამიკული მასალა. იგივე სურათი გვაქვს ნუმიზმატიკურ ძეგლებშიც. სავარაუდოა, რომ არიარათეს I-ის დრაქმა ფიჭვნარში სწორედ სინოპურ პროდუქციასთან ერთად შემოვიდა.

საკვანძო სიტყვები: კაპადოკია, დრაქმა, არიარათეს I, ფიჭვნარი, გაზიურა.

შესავალი: ფიჭვნარი ნუმიზმატიკური თვალსაზრისით აღმოსავლეთ შავისღვისპირეთის ყველაზე ადრეული და მდიდარი ძეგლია. აქ გამოვლენილი ადრეული მონეტები თარიღდება ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისით. ისინი მოჭრილია შავი ზღვის სამხრეთ (სინოპე) და ჩრდილოეთ (პანტიკაპეონი, ნიმფეონი) სანაპიროებზე. ასევე ქალაქ ქიზიკსა (ქალაქი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე) თუ შორეულ სიცილიასა და მაკედონიაში. ფიჭვნარის სამონეტო მეურნეობაში დიდი როლი ეკავა ადგილობრივ ფულს - კოლხური თეთრის სხვადასხვა ნომინალებს. საკვლევ ძეგლის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ნაპოვნია რომაული, ბიზანტიური და

ვეროპული მონეტები. ამჯერად, ნაშრომის მიზანია, 2007 წელს ელინისტური ხანის სამაროვანზე გამოვლენილი არიარათეს I-ის ვერცხლის დრაქმის შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

ლიტერატურის/წყაროების მიმოხილვა: კაპადოკიის სამეფოს სამონეტო საქმის შესწავლისა და ფიჭვნარის მონეტის განსაზღვრისათვის ჩვენ გამოვიყენეთ თურქი მეცნიერის HALİT ERKİLETLİOĞLU მონოგრაფია. საქართველოში კაპადოკიური ფულის მიმოქცევა შესწავლილი აქვთ კ. გოლენკოს, გ. დუნდუას, გ. ლორთქიფანიძეს, ნ. ინაიშვილს, მ. ივაშენკოს, ს. შამბას, ი. ვარშალომიძეს.

მეთოდოლოგია: კვლევის ჩასატარებლად გავეცანით სპეციალურ ლიტერატურას, ვიპოვეთ პარალელური მასალა და დავადგინეთ ზარაფხანა, მონარქი და ემისიის წლები. შევისწავლეთ საქართველოში კესარიული მონეტების მიმოქცევის ქრონოლოგია, ფიჭვნარის კლასიკური და ელინისტური ხანის ნუმისმატიკური მასალა და შევეცადეთ, დავადგინოთ მონეტის შემოსვლის მიზეზები და გზები.

დისკუსია (ძირითადი შედეგები): 2007 წელს საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ელინისტურ სამაროვანზე მუშაობისას 227-ე სამარხში გამოავლინა ვერცხლის მონეტა. იგი კაპადოკიის სამეფოს პირველი მეფის არიარათეს I-ის (ძვ.წ.333–322) სახელითაა მოჭრილი. დრაქმა, წონა 4.59 გ.



შუბლი: მონეტის ცენტრში მოცემულია გაზიურას ღვთაება ბაალის მჯდომარე გამოსახულება, გვირგვინითა და მარცხენა ხელში კვერთხით. მარჯვენა ხელში, რომელზეც არწივი უზის, უჭირავს თავთავი და ვაზის რტო ყურძნით. არამეული წარწერა („გაზიურას მბრძანებელი“) არ ჩანს ცუდად დაცულობის გამო.

ზურგი: მონეტის ცენტრში გამოსახულია გრიფონი, რომელიც თავს ესხმის მუხლმოდრეკილ ირემს, არიარათესის სახელი ცუდად დაცულობის გამო არ იკითხება (ERKİLETLİOĞLU, 2019:203).

სამარხში იყო შავლაკიანი სკიფოსი, თიხის დოქი, მძივები სამაჯურად გამოყენებული, სინოპური და კოლხური მონეტები, ვერცხლის რგოლსაკიდები, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი და ბრინჯაოს 5 ზარაკი.

საქართველოში არიარათეს I-ის სახელით მოჭრილი საფასე პირველად აღმოჩნდა, რის გამოც მონარქის მოღვაწეობასა და სამონეტო საქმიანობას ვრცლად მიმოვიხილავთ. იგი იყო სპარსეთის ბოლო სატრაპი და კაპადოკიის სამეფოს პირველი მეფე. დათამესის აჯანყებას თუ არ ჩავთვლით, ჩანს, რომ კაპადოკიაში დამოუკიდებელი სამეფოს შექმნის პირველი მცდელობა დაიწყო იმ წინააღმდეგობით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა დაპყრობების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიებზე მისი ერთ-ერთი მხედართმთავარი საბიქტასი გააგზავნა და მისი დამორჩილება დაავალა. მიუხედავად იმისა, რომსატრაპი მიტრობაზანი გრანიკოსის ბრძოლაში (ძვ.წ.ად. 334 წლის 22 მაისი) დაიღუპა, კაპადოკიელები ისევ მეფე დარიოს III-ის დაქვემდებარებაში დარჩნენ. მათი ჯარი, მიტრობაზანის შემდეგ სატრაპად დანიშნული არიარათეს I-ის სარდლობით, ერბილისბრძოლაში დარიოს III-ის გვერდით იბრძოდა. აღნიშნულ ბრძოლაში დარიუსის დამარცხების შემდეგ, კაპადოკიელებმა უარი განაცხადეს, როგორც მაკედონიის, ისე აქემენიანთა მმართველობაზე. არიარათეს I-მა თავი ჩრდილოეთ კაპადოკიის სატრაპად გამოაცხადა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისკენ პირველი ნაბიჯი გადადგამან შექმნა არმია, რომელშიც გაერთიანებული იყო 15 ათასი ცხენოსანი და 30 ათასი ქვეითი. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ანატოლია აირჩია მმართველობის ადგილად და სინოპიდან ტრაპიზონამდე მთელ სანაპიროზე კონტროლი დაამყარა. კატაონია დაიპყრო და სამეფოს ტერიტორიები გააფართოვა. ეს მიწები, ძველი სპარსული მმართველობის დროს, ისედაც იმპერიის „კაპადოკიის სასატრაპოს“ საზღვრებში შედიოდა (ERKİLETLİOĞLU, 2019:83)

არიარათეს I ენერგიული, მტკიცე ნებისყოფის მქონე ჩინებული მმართველი იყო. ჩანს რომ, მან მოკლე ხანში დაიწყო კაპადოკიის სამეფოსთვის საფუძველის ჩაყრა. 332 წელს თავი დამოუკიდებელი კაპადოკიის სატრაპად გამოაცხადა. დღევანდელი ზილეს (ზელა/თოქათის ილში) მახლობლად მდებარე გაზიურას (თურჰალი) ციხე რეზიდენციად აქცია (ERKİLETLİOĞLU, 2019:83).

არიარათესის შექმნილი დამოუკიდებელი სასატრაპოს არსებობა ალექსანდრეს სიკვდილამდე, ანუ დაახლოებით 10 წელიწადს გაგრძელდა. ალექსანდრეს მდივნის, პედრიკასის ლაშქარი ძვ.წ. 322 წელს არიარათეს I-ის ჯარს დაუპირისპირდა. მიუხედავად ასაკისა (სიბერის) და მოწინააღმდეგის ჯარის რიცხვობრივი უპირატესობისა, არიარათესი საკუთარ ჯართან ერთად ხელჩართული იბრძოდა, თუმცა სასტიკ და სისხლისმღვრელ ბრძოლაში კაპადოკიის ჯარი დამარცხდა. არიარათესი, მისი მდიდარი ხაზინით ტყვედ ჩავარდა. იგი სასტიკი წამების შემდეგ ოჯახთან და რამდენიმე

მხედართმთავართან ერთად ჯვარზე გააკრეს (ძვ.წ. 322). პედრიკასმა დანარჩენ კაპადოკიელებს სიცოცხლე შეუნარჩუნა. სიკვდილით დასჯის დროს არიარათეს I 82 წლის იყო (იგი დაბადებული იყო ძვ.წ. 404 წელს) (ERKİLETLİOĞLU, 2019:84). არიარათესის სიკვდილის შემდეგ თავი მემკვიდრედ გამოაცხადა და ტახტზე ავიდა მისი ძმა, ოლოფერნესის (ჰოლოფერნესის) ვაჟი, შემდგომში ცნობილი, როგოც არიარათეს II. ამ უკანასკნელმა არეულობის დროს ისარგებლა შემთხვევით და სომხეთში გაიქცა, რითაც სიკვდილს გადაურჩა (ERKİLETLİOĞLU, 2019:84).

კაპადოკიის სამეფოში პირველი ფულის მოჭრა სწორედ არაიარათესის სახელთანაა დაკავშირებული (Sydenham., 1978:2). მისი მმართველობის დროს, განხორციელდა ორი სამონეტო ემისია სინოპესა და გაზიურაში. საფასეებზე ვხვდებით არამეულ, ანუ აქემენიდების სახელმწიფო ენაზე გაკეთებულ წარწერებს. სტილისტურად, არიარათესის გაზიურაში მოჭრილი ფული წააგავს აქემენიდების სატრაპ მაზაეს მიერ კილიკიის ტარსოსში გამოშვებულ მონეტებს. ირანოლოგი მერი ბოისი და ისტორიკოსი ფრანც გრნეტი აღნიშნავენ, რომ მჯდომარე ბაალის ზევსის მსგავსი გამოსახულება შეიძლება რეალურად ასახავდეს ზოროასტრიულ აპურა მაზდას ან მითრას. სინოპეში მოჭრილი არიარათესის მონეტები სტილისტურად წააგავს იმავე ქალაქის ბერძნულ ემისიებს, მაგრამ არამეულ ენაზე არიარათესის სახელია დაწერილი (ERKİLETLİOĞLU, 2019:123).

ელინისტური ხანის კაპადოკიური მონეტები საქართველოში აღმოჩენილია: ვანშიარარათ VI (ძვ. წ. 130-116 წწ.) – 1; არიარათ VII (ძვ. წ. 116-101 წწ.) – 1; არიარათ IX (ძვ. წ. 101-87 წწ.) – 2; არიობარძანე I (ძვ. წ. 96-63 წწ.) – 3 (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977:133-137); ალაიანში (კასპის რაიონი) არიარათ IV-ის (ძვ. წ. 220-163) -1 (დუნდუა, 1993:93); მცხეთაშიარიობარძანე I-ის (ძვ. წ. 96-63 წწ.) დრაქმა - 1 (Дундуа, 1987:145). ამ პერიოდში კესარიაში მოჭრილი მონეტების მიმოქცევას არ ჰქონდა ინტენსიური ხასიათი. ახ. წ. II-III საუკუნეებში, კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში გაბატონებული ადგილი ეკავა კესარიულ მონეტებს, რომელთა აღმოჩენის ტოპოგრაფია საქართველოში ფართოა. ცნობილია კესარიული მონეტების რამდენიმე განძი: გურზულის (Ивашенко, 1931:2-32), ნაბაკევის (Голенко, 1964:68) და ეკის (დუნდუა, 1979:5-6). გარდა ამისა კესარიული მონეტები ნაპოვნია გონიოში (ვარშალომიძე, 2009:52-53), ციხისძირში (ინაიშვილი, 1993:104), ურეკში, სუფსაში (დუნდუა, 1997:118), ნოქალაქევში (აბრამიშვილი, 1987:274-287.), ვანში (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977:127), სეფიეთში (მაკალათია, 1944: 217-259; დუნდუა, 1979:5-6.), წებელდაში (Трапш, 1971: 207-211; Воронов, Юшин, 1973: 171-191; Воронов, Юшин, 1979: 181-198), სოხუმში (Трапш, 1971:280-429; Шамба, 1993:57-74), ბიჭვინტაში (დუნდუა, 1975:280-418; ლორთქიფანიძე, 1991:98-105).

იმისათვის, რომ დავადგინოთ არიარათესის მონეტის ფიჭვნარში გამოვლენის მიზეზები და გზები, განვიხილოთ საკვლევი ძეგლის ძვ. წ. V -IV საუკუნეების იმპორტული ნუმიზმატიკური მასალა.

ქალაქ ქიზიკის ელექტრუმის სტატერები - 3 ცალი: 1952 წელს სოფელ ფიჭვნარში შემთხვევით აღმოჩნდა მეორე ტიპის კოლხური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში ერია ძვ. წ. 500-460 წლებით დათარიღებული ქიზიკის სტატერი, გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გამოსახულებით და ზურგზე ჩაჭდული კვადრატით. 1968 წელს ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს, ბერძნული სამაროვნის №15 სამარხში იპოვეს ქიზიკური მონეტა ტრიტონის გამოსახულებით. სტატერი თარიღდება ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრის დასასრულით. 1967 წელს იმავე სამაროვანზე, №6 სამარხში მიკვლეულ იქნა ქიზიკური სტატერი ნიმფა კლიტეს გამოსახულებით. მონეტა თარიღდება ძვ. წ. 460/430 წლებით (Пахомов, 1954:38-39, №1898; კახიძე, 1961:7; კახიძე, 1974: 79-86; Кахидзе, 1974 : 88-89).

სინოპური დრაქმები: 1967 წელს ფიჭვნარის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე შემთხვევით იპოვეს ძვ. წ. VI-V საუკუნეების სინოპური დრაქმა (ტიპი: დელფინი – quadratum incusum). 1983 წელს, ბერძენ მოახალშენეთა ძვ. წ. V საუკუნის სამაროვანზე აღმოჩნდა ძვ. წ. 500-453 წწ. დათარიღებული სინოპური დრაქმა (კახიძე, 1961:121, კახიძე 1974:79-86, Кахидзе, 1974:88-92, იაშვილი, 1983:54-55).

1900-იან წლებში ბათუმის მიდამოებში აღმოჩენილია ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული 4 დრაქმა (Дундуа, 1987:33-35).

1948 წელს ფიჭვნარში საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი წონით 6-8 კგ. მისი ძირითადი ნაწილი გაიფანტა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში 149 მონეტაა დაცული, საქართველოს მუზეუმში – 9. გადარჩენილი ნაწილიდან 110 სინოპური დრაქმაა, რომელიც ძვ. წ. 360-320 წლებით თარიღდება; დანარჩენი კი მეორე ტიპის კოლხური ტრიობოლებია. განძის მეცნიერულმა შესწავლამ დააკონკრეტა მისი დაფლვის თარიღი – ძვ. წ. 350-345 წწ. (Голенко, 1961 ,98-112)

ანალოგიური სინოპური დრაქმები (რამდენიმე ათეული), სხვადასხვა წლებში გამოვლინდა ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების დროს (ვაშაკიძე, კახიძე, 1977:35-37; ვაშაკიძე, კახიძე, 1978:51-56; ვაშაკიძე, 1983:43-47; კახიძე, 1961:116-124) და შემთხვევით ბათუმთან ახლოს სოფელ განთიადში (ვარშალომიძე, 1996:28-29).

1967 წელს, ფიჭვნარში, ბერძნული სამაროვნის №5 სამარხში აღმოჩნდა ძვ. წ. 475-450 წლებით დათარიღებული პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა (შუბლი – დელფინი; ზურგი – quadratum incusum).

1968 წელს, ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანის №8 სამარხში აღმოჩნდა ნიმფეიონში მოჭრილი დიობოლი, დათარიღებული ძვ. წ. V საუკუნის

უკანასკნელი მეოთხედით (შუბლი – ნიმფას თავის გამოსახულება; ზურგი – quadratum incusum-ში მოთავსებული ვაზის ლერწი, ყურძნის მტევნითა და ფოთლებით) (კახიძე, 1961:121, კახიძე, 1974:79-86, Кахидзе, 1974:88-92)

ფიჭვნარში, 1998 წელს, ძვ. წ. V ს-ის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე აღმოჩნდა პანტიკაპეონის აპოლონიაში ძვ. წ. 460-450 წწ. მოჭრილი ვერცხლის მონეტა, ქ. თეოდოსიის ვერცხლის ძვ. წ. 413-403 წწ. დათარიღებული 2 მონეტა (კახიძე, იაშვილი, 1999:22-23).

2004 წელს, ფიჭვნარშივეა შემთხვევით ნაპოვნი სირაკუზში მოჭრილი ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისით დათარიღებული სპილენძის მონეტა (ტიპი: პეგასი/ათენა კორინთულ მუზარადში) (ვარშალომიძე, 2005:128).

ძვ. წ. V-IV საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის კვლევისათვის მნიშვნელოვანი მასალაა დაცული ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში (8 მონეტა): სირაკუზი (სიცილია) - 3 ერთეული, მათ შორის დიონისე I-ის (ძვ. წ. 406-367,) - 2, დიონისე II-ის (ძვ. წ. 367-357 წწ.) - 1; ამისო (ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე), ძვ. წ. 400-350 წწ. - 1 მონეტა; თებე (ქალაქი ბეოტიაში), ძვ. წ. 363-338 წწ. - 1; მაკედონიის სამეფო: ფილიპე მაკედონელი (ძვ. წ. 359-336 წწ.) - 2 მონეტა; ილირია, ფაროსი (ძვ. წ. 350 წ.), საბერძნეთი - 1 ეგზემპლარი (ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:20-23).

ამკარაა, რომ კლასიკურსა და ადრეელინისტურ პერიოდში ფიჭვნარში და საერთოდ აჭარის სანაპირო ზოლის ფულად მეურნეობაში დომინირებს სინოპური დრაქმები. საფიქრებელია, რომ გაზიურაში მოჭრილი დრაქმა ფიჭვნარში სინოპურ პროდუქციასთან ერთად შემოვიდა. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან არა მხოლოდ ფიჭვნარში, არამედ საქართველოში პირველად გამოვლინდა ამ სამონეტო ცენტრში მოჭრილი საფასე. ასევე ესაა ყველაზე ადრეული კაბადოკიური მონეტა, რაც ჩვენს ქვეყანაშია აღმოჩენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბრამიშვილი, 1987: - აბრამიშვილი თამარ, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული მონეტები (1973-1982 წწ.), ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1978-1982 წწ. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი

დუნდუა, 1975: - დუნდუა გიორგი, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს. - დიდი პიტიუნტი I, თბილისი.

დუნდუა, 1979: - დუნდუა გიორგი, საქართველოს სამონეტო განმეხი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი

დუნდუა, 1997: - დუნდუა გიორგი, გურიის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, გურია I, თბილისი.

დუნდუა., 1977: - დუნდუა გიორგი, ლორთქიფანიძე გურამ, მონეტები ვანიდან, ვანი III , თბილისი.

დუნდუა, 1993: - დუნდუა თედო, კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გამომც. უნივერსიტეტი, თბილისი

ვარშალომიძე, 1996: - ვარშალომიძე ი., სინოპური მონეტა სოფ. განთიადიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ჟურნალი „საისტორიო მაცნე“, ბათუმი

ვარშალომიძე, 2005: - ვარშალომიძე ი., სირაკუზის მონეტა ფიჭვნარიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, ბათუმი

ვარშალომიძე, 1999: - ვარშალომიძე ირინე, გონიო-აფსაროსი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, ლიტერატურული აჭარა, #7, ბათუმი

ვარშალომიძე, 2000: - ვარშალომიძე ირინე, რომაული ხანის ვერცხლის მონეტების განძი გონიო-აფსაროსიდან , ძიებანი, 5, თბილისი.

ვარშალომიძე., 2000: - ვარშალომიძე ირინე, პოლიტიკურ-ეკონომიკური იმარტებანი გონიო-აფსაროსში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (I-III სს.), საისტორიო მაცნე, #9, ბათუმი, უნივერსიტეტის გამომც.

ვარშალომიძე, 2009: - ვარშალომიძე ირინე, მონეტები გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი, გამომც. უნივერსიტეტი.

ვარშალომიძე., 2021: - ვარშალომიძე ირინე, ძნელაძე ნინო, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, გამომც., კოლორი“, ბათუმი

ვაშაკიძე., 1977 : - ვაშაკიძე ნ., კახიძე ა., ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წ. წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI, თბილისი

ვაშაკიძე., 1978 : - ვაშაკიძე ნ., კახიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანის ტერიტორიაზე 1976 წელს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები , VII, თბილისი

ვაშაკიძე, 1983 : - ვაშაკიძე ნ., ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1980 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები , XII, თბილისი

ინაიშვილი, 1993: -ინაიშვილი ნინო, ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი

იაშვილი, 1987 : - იაშვილი ადრეული სინოპური დრაქმა ფიჭვნარიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბილისი

კახიძე, 1961: - კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი.

კახიძე, 1974: - კახიძე ა., ფიჭვნარის სამაროვანზე 1967-68 წწ. აღმოჩენილი უცხოური მონეტები, მაცნე-ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, 3, თბილისი

კახიძე..., 1999: - კახიძე ა., იაშვილი ი., შავიზღვისპირეთის საქალაქო ვერცხლოფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის სამაროვნიდან, ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში, აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმი-ვანი, თბილისი.

ლორთქიფანიძე, 1991: - ლორთქიფანიძე გურამ, ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბილისი, გამომც. უნივერსიტეტი.

მაკალათია, 1944: - მაკალათია სერგი, სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულეების განბი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII, თბილისი

Воронов., 1973: - Воронов Ю. Н., Юшин В. А. Новые памятники цебельдинской культуры в Абхазии. – СА, № 1.

Воронов .., 1979: - Воронов Ю. Н., Юшин В. А. Ранний горизонт (II-IV вв. н.э.) в могильниках цебельдинской культуры (Абхазия). – СА, № 1

Голенко, 1964: - Голенко К. В. Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград, наука.

Голенко, 1957: - Голенко К. В., Кобулетский клад серебрянных монет, СА, XXVII

Дундуа, 1987 : - Дундуа Г. Ф., Нумизматика античной Грузии, Тбилиси, მეცნიერება

Иващенко, 1931: - Иващенко М. М. Герзельский клад монет Кессарии Кападокии, ИГАИМК. вып. 10.

Кахидзе, 1974: - Кахидзе А. Ю., Привозные монеты из могильника Пичвнари, ВДИ, 3

Пахомов, 1954: - Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Баку.

Трапш, 1971: - Трапш М. М. Труды, т. III, Тбилиси. მეცნიერება.

Шамба, 1987 : - Шамба С. М. Монетное обращение на территории Абхазии (V в.– XIII в. н.э.) – Тбилиси, მეცნიერება.

Sydenham, 1978: - Sydenham E. A. The Coinage of Caesarea of Cappadocia, London.

Erkiletlioğlu , 2019: - Halit Erkiletlioğlu, Kappadokia Krallığı ve Roma Bizans dönemi, Kayseri.

ისტორია / History

Reports of the Great Britain's Vice-Consul Frederico Guarracino on the Trade and the Navigation in Batumi (1840-1845)

დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ფრედერიკო გუარაჩინოს
ცნობები ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ბათუმში (1840-1845)

Irakli Baramidze

PhD in History, Associate Professor at
Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: irakli.baramidze@bsu.edu.ge

Tel: +995 577 30 40 20

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-7540-7006>

Khatuna Diasamidze

PhD in History, Associate Professor at
Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: khatuna.diasamidze@bsu.edu.ge

Tel: +995 577 42 71 30

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-9966-0468>

Oleg Jibashvili

PhD in History, Senior Researcher, Head of Department of
History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute,
Batumi Shota Rustaveli State University; Associate Professor,
St. Tbel Abuseridze Teaching University of Georgian Patriarchate

e-mail: oleg.jibashvili@bsu.edu.ge

Tel: +995 593 58 81 67

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-3453-3920>

Abstract: The importance of Batumi (Being a part of the Ottoman Empire for more than two centuries) as a port and trade-transit town has been increasing since the 1830s, which is connected, on the one hand, with the results of the Russian-Ottoman war of 1828-1829 (Ottoman lost the eastern coast of the Black Sea), on the other hand, with the growth of Russian influence in Anatolia. This was followed by the opening of Great Britain's diplomatic representation first in Trabzon (in 1831) and then in Batumi (in 1840).

The first British vice-consul in Batumi (the chief diplomat was sent with this status) was Frederico Guarachino, who left us interesting information about Batumi's trade and

shipping opportunities in 1840-1845. At that time, the town was included in the Sanjak of Lazistan, and the latter was within the boundaries of the Trabzon Province.

The reports presented by the British diplomat – F. Guarracino clearly show the general situation in Batumi under the Ottoman rule and the town's trade-economic and shipping possibilities in 1840-1845. During the mentioned period, trade and cargo turnover in Batumi were not on a large scale, however, according to the diplomat's observation, the beginning of the traffic of steamships would add importance to the town and contribute to its further development.

Key words: Batumi, Frederico Guarachino, British vice-consul, Batumi port, Batumi trade.

ირაკლი ბარამიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ელ-ფოსტა: irakli.baramidze@bsu.edu.ge
ტელ: +995 577 30 40 20
ORCID: <https://orcid.org/0000-0001-7540-7006>

ხათუნა დიასამიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ელ-ფოსტა: khatuna.diasamidze@bsu.edu.ge
ტელ: +995 577 42 71 30
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-9966-0468>

ოლეგ ჯიბაშვილი

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების
ხელმძღვანელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: oleg.jibashvili@bsu.edu.ge
ტელ: +995 593 58 81 67
ORCID: <https://orcid.org/0009-0007-3453-3920>

აბსტრაქტი: XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბათუმისადმი (რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის

მფლობელობაში იყო) ინტერესის ზრდა, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებთან (ოსმალეთმა დაკარგა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხეები: ანაპა, სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი) და ფოთი), მეორე მხრივ კი ანატოლიაში რუსეთის გავლენის ზრდასთან. ამას მოჰყვა ჯერ ტრაპიზონში (1831 წელს), შემდეგ კი ბათუმში (1840 წელს) დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა.

ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსული ბათუმში (მთავარი დიპლომატი ამ სტატუსით იყო გამოგზავნილი) გახლდათ ფრედერიკო გუარაჩინო, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ბათუმის სავაჭრო და სანაოსნო შესაძლებლობების შესახებ 1840-1845 წლებში. ამ დროისათვის ქალაქი შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის საფაშოს საზღვრებში ექცეოდა.

ბრიტანელი დიპლომატის – ფრედერიკო გუარაჩინოს წარმოდგენილი ცნობები ნათლად გვიჩვენებს ზოგად ვითარებას ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფ ბათუმში და ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სანაოსნო შესაძლებლობებს 1840-1845 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ვაჭრობა და ტვირთბრუნვა ბათუმში არ იყო დიდი მასშტაბების, თუმცა, დიპლომატის დაკვირვებით, ორთქმავალი გემების მიმოსვლის დაწყება ქალაქს შესძენდა მეტ მნიშვნელობას და ხელს შეუწყობდა მის შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, ფრედერიკო გუარაჩინო, ბრიტანეთის ვიცე-კონსული, ბათუმის პორტი, ბათუმის ვაჭრობა.

შესავალი: ბათუმის ისტორიის ოსმალური პერიოდი ჯერ კიდევ საკმაო ბურჟუაზიულ მოცული და ბევრ საკითხში სიციხადის შეტანას საჭიროებს. ოსმალების მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე კონტროლის დაწესების შემდეგ დაიწყო ბათუმის, როგორც ქალაქისა და პორტის მნიშვნელობის შემცირება და საქმე იქამდე მივიდა, რომ იმდროინდელ წყაროებში ის მცირე ქალაქად და სოფლადაც კი მოიხსენიება.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბათუმისადმი ინტერესის ზრდა, როგორც ოსმალეთის ხელისუფლების, ისე რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან, რაც დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან:

ა) 1828-1829 წლების ომში რუსეთთან განცდილი მარცხის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავით, ოსმალეთმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად (მათ შორის ახალციხე-ახალქალაქი), დაკარგა შავი ზღვის თითქმის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო ციხეებით: ანაპა, სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი) და, რაც ყველაზე მტკივნეული იყო, ფოთი. ახალმა რეალობამ, ერთი მხრივ, ტრაპიზონის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანზიტო-საპორტო ქალაქის როლის ზრდა განაპირობა, მეორე მხრივ კი ბათუმის, როგორც

შესანიშნავი, ბუნებრივი ნავსადგურისა და, ფაქტობრივად, უკვე რუსეთთან სასაზღვრო პუნქტად ქცეული დასახლების მნიშვნელობის გადააზრება გამოიწვია.

ბ) 30-იანი წლების დასაწყისში, დადმასვლით მიმავალი ოსმალეთის იმპერია შეაზანზარა ეგვიპტის მმართველის – მუჰამედ ალი ფაშას 1831 წლის აჯანყებამ. ოსმალეთმა მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ სანაცვლოდ მიიღო უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება (1833), სტამბოლში რუსული ფლოტი და ანატოლიაში რუსეთის გავლენის ზრდა, რაც, რა თქმა უნდა, არ შედიოდა ევროპის გეგმებში. დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური საქმიანობის გაფართოება ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. თუკი 1825 წლისთვის ბრიტანეთს აქ ჰქონდა მხოლოდ 13 დიპლომატიური წარმომადგენლობა (ვიცე-საკონსულო, საკონსულო და გენერალური საკონსულო), 1834 წლისთვის ეს რიცხვი გაიზარდა 19-მდე, 1846 წლისთვის – 36-მდე, 1852 წლისთვის კი 51-მდე (!). სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ბრიტანული საკონსულოები ტრაპიზონში, ერზრუმში, სამსუნში, ბათუმში... ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ 1831 წლისთვის, როცა ლონდონმა პირველად გახსნა საკონსულო ტრაპიზონში, იქ უკვე ფუნქციონირებდა რუსეთის, საფრანგეთისა და სარდინიის სამეფოს საკონსულოები.

გ) პარალელურად საკონსულოების გახსნისა, რაც პოლიტიკურთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებსაც ემსახურებდა, დიდმა ბრიტანეთმა და ევროპის სხვა დიდმა სახელმწიფოებმა, ფაქტობრივად, აიძულეს პორტა დათანხმებოდა ოსმალეთის იმპერიის მოძველებული სისტემის რეფორმირებას, რასაც 1839 წელს მოჰყვა ე.წ. თანზიმათის პირველი ეტაპი. ევროპის ინტერესებში იყო, რომ მოდერნიზებულ ოსმალეთს უფრო ეფექტურად შეძლებოდა მზარდი რუსული აგრესია-გავლენის შეჩერება. სწორედ განახლების ამ პროცესში ჩაჯდა ბათუმიც, რამაც გამოიწვია საქალაქო ცხოვრების შესამჩნევი აღმასვლა და პორტის თანდათანობითი გამოცოცხლება.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ბათუმში ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსულის – ფრედერიკო გუარაჩინოს ოფიციალური ანგარიშები საკმაოდ მდიდარ მასალებს შეიცავენ 1840-1845 წლების ბათუმის სავაჭრო და სანაოსნო შესაძლებლობებისა თუ სამომავლო პერსპექტივების შესახებ. ეს ანგარიშები გამოქვეყნებულია ინგლისურ (Adjara and the Ottoman Empire, 1830-1878, (British Archives on the Caucasus, Georgia), Editorial Hugo Greenhalgh, Research Robert L. Jarman, “Archival Publications International,” London, 2003) და თურქულ (Şaşmaz M., İngiliz belgelerine göre Trabzon Vilayeti ticari raporları (Trade Reports of the Trebizond Province on British Documents), 1830-1914, I,

Ankara, 2014) ენებზე. ამათგან ერთ-ერთი – ფ. გუარაჩინოს 1840 წლის 4 აგვისტოთი დათარიღებული პირველი ანგარიში ბათუმის შესახებ – თარგმნა და მცირე კომენტარით გამოაქვეყნა მკვლევარმა გია გელაშვილმა (გელაშვილი გ., „ბრიტანეთის ვიცე-კონსული ფრედერიკო გუარაჩინო ბათუმის შესახებ (1840 წ.)“, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, X, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2019, გვ. 106-116), დანარჩენები კი ჯერ კიდევ ნაკლებადაა ცნობილი და გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამდენად, მათი შემოტანა ქართულ სამეცნიერო სივრცეში მნიშვნელოვანია XIX საუკუნის 40-იანი წლების ბათუმის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

გთავაზობთ ფ. გუარაჩინოს 1840-1846 წლების ანგარიშების საფუძველზე მომზადებულ ნაშრომს, რომელიც საკითხით დაინტერესებული ქართველი მკვლევარებისათვის არაერთ საინტერესო ფაქტსა და დასკვნას შეიცავს.

მეთოდოლოგია: წყაროების თარგმნისას ვისარგებლეთ ტექსტის სემანტიკისა და სიტყვასიტყვითი თარგმნის მეთოდით, გავითვალისწინეთ რა სათარგმნი ფრაზების თითოეული კომპონენტის ფორმა და ლექსიკური მნიშვნელობა. ამასთანავე, მაქსიმალურად დავიცავით კონტექსტი. წყაროების შინაარსის შესწავლა-გააზრებისას გამოვიყენეთ წყაროების კრიტიკული ანალიზის, მათი ურთიერთშედარებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერების მეთოდები, რაც, შესაძლებლობის ფარგლებში, დაგვეხმარა საკვლევი პერიოდის ობიექტური ისტორიული სურათის რეკონსტრუირებაში. სტატის ტექსტზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებთ, აგრეთვე, აღწერილობით-ნარატიული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით.

დისკუსია/შედეგები: ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსული ბათუმში (მთავარი დიპლომატი ამ სტატუსით იყო გამოგზავნილი) გახლდათ ფრედერიკო გუარაჩინო, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ბათუმის სავაჭრო და სანაოსნო შესაძლებლობების შესახებ 1840-1845 წლებში. ამ დროისათვის ქალაქი შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის საფაშოს საზღვრებში ექცეოდა.

ბრიტანეთის ვიცე-კონსულები თავიანთი სამანდატო ტერიტორიის შესახებ, პერიოდულად, ანგარიშებს გზავნიდნენ სტამბოლში თავიანთი სახელმწიფოს ელჩთან, რაც ნაკლებადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის, არადა ისინი საკმაოდ მდიდარ მასალებს შეიცავენ თანადროული პერიოდის ბათუმისა და მისი შემოგარენის ისტორიისათვის.

ტრაპიზონში ბრიტანეთის იმდროინდელი ვიცე-კონსულის ჰ. სუტერის კონსულ ჯ. ბრანტისადმი 1837 წლის 31 ივლისის წერილით ნათელი ხდება,

თუ რა მიზანი ჰქონდა ბათუმში საკონსულოს დაარსებას. ბრიტანეთის მთავრობას სურდა მიეღო სწრაფი და სწორი ინფორმაცია ყველა მოვლენის შესახებ, რაც ხდებოდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე, ხელი შეეწყო ბრიტანეთის ვაჭრობისთვის. მისი აზრით, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იყო ბათუმის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე ინტელექტის მქონე, წარმოსადეგი ინგლისელის შერჩევა, რომელსაც ექნებოდა საკმარისი ცოდნა საქმის წარმოებისთვის ამ ქვეყანაში (Adjara and..., 2003: 146-149).

როგორც ირკვევა, 1839 წლისათვის სამი პირი შეირჩა ბათუმის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, სამივემ უარი განაცხადა. ჯ. ბრანტის აღიარებით, მას სურდა, რომ ამ თანამდებობაზე ინგლისელი ეხილა, მაგრამ რადგან ეს ვერ მოხერხდა, მისი არჩევანი შეჩერდა ფრედერიკო გუარაჩინოზე – ტრაპიზონის ვიცე-კონსულ ჰენრიხ სუტერის დის შვილზე. 20 წლის გუარაჩინო მამით იონიელი ბერძენი იყო, დედით კი ინგლისელი. ვიცე-კონსულად დანიშვნამდე იგი 18 თვე ტრაპიზონში მუშაობდა სუტერთან, ხოლო შემდეგ 5 თვე – ერზრუმში ჯეიმს ბრანტთან (Adjara and..., 2003: 157-161).

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰენრი ჯონ ტემპლ პალმერსტონის (შემდგომში პრემიერ-მინისტრი) თანხმობის შემდეგ, 1839 წლის 19 ნოემბერს, ჯეიმს ბრანტმა ბათუმის პირველ ვიცე-კონსულად დანიშნა ფრედერიკო გუარაჩინო, რომელიც 1840 წლის აპრილში ჩავიდა თავისი სამსახურებრივი მოღვაწეობის ადგილზე. სწორედ ამ დროიდან იწყებს ფუნქციონირებას ბრიტანული საკონსულო ბათუმში.

ბათუმში ჩასვლამდე 10 დღით ადრე, ბრანტი ერზრუმიდან აძლევს გუარაჩინოს ვრცელ, 1840 წლის 14 აპრილით დათარიღებულ ინსტრუქციას სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით. მასში კარგად ჩანს, თუ როგორ მოქმედებდა ბრიტანული დიპლომატია.

ინსტრუქციაში ნათქვამია:

„მისი უდიდებულესობის მთავრობის მთავარი მიზანი ბათუმში ვიცე-კონსულის დანიშვნის დროს იყო დროული და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება მეზობელ ქვეყნებსა და პროვინციებში მომხდარი ყველა მოვლენის შესახებ, რომელსაც რაიმე კავშირი ჰქონდა მათ პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობასთან, ან შეეძლო გამოეწვია ცვლილებები არსებულ წესრიგში. ამიტომაც, შეაგროვეთ ინფორმაცია და ფაქტები, რომელიც შეიძლება აჩვენებდეს ამ ქვეყნების რეალურ მდგომარეობას და ასევე, მოსალოდნელ თუ სავარაუდო ცვლილებებსა და განვითარებას. ასეთი ინფორმაცია თანაზრადაა სასურველი როგორც სულთნის კუთვნილი ქვეყნის შესახებ, ასევე რუსეთისა და ჩერქეზეთის შესახებ, რომლის დამორჩილებას ახლა რუსეთის მთავრობა ცდილობს.

თქვენი დანიშნვის სხვა მიზანი, ბუნებრივია, არის ხელის შეწყობა ბრიტანეთის ვაჭრობისა და ნაოსნობისათვის, ასევე, იმ ქვეყნის კეთილდღეობისა და განვითარებისთვის, რომელშიც ცხოვრობთ.

ამ მიზნის მისაღწევად, ნებადართულია ვაჭრობით დაკავება; ახალი კონვენცია თურქეთიდან ნებისმიერი პროდუქტის ექსპორტის საშუალებას იძლევა და მჯერა, რომ ბათუმის მიდამოებში მოიძებნება ისეთი საქონელი, რომელიც საინტერესო იქნება კომერციული თვალსაზრისით...

ნებადართულია ბათუმის დატოვება არაჯანსაღი სეზონის განმავლობაში, რომელიც, როგორც ვიცი, მოიცავს ივლისს, აგვისტოსა და სექტემბერს; მე ვფიქრობ, რომ ეს დრო უნდა გამოიყენოთ ბათუმსა და ყარსს შორის არსებული სივრცის შესასწავლად.

ამ მოგზაურობის დროს თქვენ უნდა მოინახულოთ ყველა მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ შექმნით მოთხოვნას ბრიტანულ პროდუქტიაზე ... მე ვთვლი, რომ ასეთი მოგზაურობა აუცილებელია თქვენი ვაჭრობის გააქტიურებისა და განვითარებისათვის და იმედი მაქვს, რომ შრომა და ხარჯები ანაზღაურდება მის მიერ მოტანილი კომერციული სარგებლით; ამასთან, თუ ამ მოგზაურობის განმავლობაში თქვენ შეაგროვებთ რაიმე საინტერესო ან სასარგებლო ინფორმაციას, გეოგრაფიული, სტატისტიკური, პოლიტიკური ან კომერციული კუთხით და წარმოადგენთ ანგარიშში შესაყვანად, მე მას გავუზიარებ მისი უდიდებულესობის მთავრობას და, შესაძლოა, ვიკონტი პალმერსტონი სიამოვნებით აანაზღაურებს თქვენი მოგზაურობის ხარჯებს...

თქვენ, რა თქმა უნდა, კარგ ურთიერთობაში შეხვალთ ბათუმის აღასთან, ასევე ჩურუქ-სუს ბეგთან, თუმცა, ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ყარსზე და არა ტრაპიზონზე, რომლის საფაშოშიც მდებარეობს ბათუმი, მაგრამ თქვენ უნდა გააგებინოთ ბეგს, რომ თქვენი უფლებამოსილება რუსეთის საზღვრამდე ვრცელდება; თუ ის არ დაგეთანხმებათ, გამოგიგზავნით ყარსის ფაშას წერილს. ჩურუქ-სუს ბეგისაგან, ვფიქრობ, შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოს საზღვარზე, ვინაიდან მე ვთვლი, რომ ჩურუქ-სუს მაცხოვრებლები ქართველებთან ყოველდღიურად ურთიერთობენ.

იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენ გაამართლებთ თქვენთვის მოცემულ რეკომენდაციას და, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, გაუმკლავდებით ასეთ მნიშვნელოვან გამოწვევას. მჯერა, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობას ექნება საფუძველი, რომ კმაყოფილი იყოს თქვენი მონდომებით და ინტელექტით“ (Adjara and., 2003: 165-171).

ფრედერიკო გუარაჩინო თითქმის 6 წელი ასრულებდა ბათუმში ბრიტანეთის ვიცე-კონსულის მოვალეობას. თუმცა, ჯერ კიდევ 1844 წლის 24 დეკემბრის წერილით ითხოვა ხელისუფლებისგან, მძიმე საცხოვრებელი

პირობების გამო, გადაყვანა სხვა მხარეში, რისი ნებართვა მხოლოდ 1846 წელს მიიღო. იგი ვიცე-კონსულად დარჩა 1846 წლის 11 ივნისამდე.

ბათუმში ჩასვლიდან მალევე, რამდენიმე თვეში ფ. გუარაჩინო, როგორც ჩანს არაჯანსაღი თვეების გასატარებლად, დაბრუნდა ერზრუმში, სადაც შეადგინა 4 აგვისტოთი დათარიღებული პირველი ანგარიში ბათუმის შესახებ, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ბევრ ცნობას შეიცავს.

ამდენად, 1840 წელს ბათუმში ბრიტანეთის საკონსულოს გახსნა, - პოლიტიკურ მოსაზრებებთან ერთად, ითვალისწინებდა ბრიტანეთის ვაჭრობის ხელშეწყობასა და განვითარებას. შესაბამისად, ფ. გუარაჩინოს ანგარიშებში ამ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი. ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი დიპლომატი ამავე დროს გამჭრიახი კომერსანტიცაა და ინგლისური გულმოდგინებით სწავლობს ბათუმის კომერციულ შესაძლებლობებს.

ბათუმის პირველივე გაცნობიდან ვიცე-კონსულს თვალში მოხვედრია, რომ აქ „ვაჭრები არიან უცხოელები ტრაპიზონიდან, რიზედან და აჭარის მეზობელი მხარიდან; ისინი ცხოვრობენ თავიანთ მალაზიებთან არსებულ პატარა ოთახებში“, ხოლო „ბათუმის მხარის პროდუქტებია სიმინდი, ბრინჯი, ლობიო, ცვილი, თაფლი და კარაქი“. „მე მითხრეს, - წერს ფ. გუარაჩინო, - რომ წლიურად უნდა გაჰქონდეთ 20-30 ათასი კილო სიმინდი, 30000 კილო ბრინჯი, 3000 ოყა ცვილი და 10000 ოყა თაფლი. ამ რაოდენობაში შედის აჭარის მომიჯნავე მხარის ნაწარმიც, რომელიც მოაქვთ გასაყიდად ბათუმში. ლობიო არ ითვლება კარგ საექსპორტო პროდუქტად, ხოლო კარაქის რაოდენობა ვერ დავადგინე“ (Adjara and..., 2003: 115-135).

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ბათუმში შემოტანილი საქონელი, რომელთა შორის, თურქულს თუ არ ჩავთვლით, სჭარბობდა ინგლისური და რუსული: მატყლი, რუსული რკინა, ფოლადი, კალა, ხელსახოცები, ყავა, წიწკა და სანელებლები, ბრიტანული ნაწარმი - ჩითი, საპერანგეები, შალეები, მიტკალი... ფ. გუარაჩინოს შენიშვნით: „ბათუმში ვაჭრები ფლობენ მცირე კაპიტალს“ (არ უნდა აჭარბებდეს 200 ფუნტს). მისივე განმარტებით, „მათ არ აქვთ საქონლის იმ რაოდენობით იმპორტირების საშუალება, რა რაოდენობაც მათ შეუძლიათ გამოეყოს მეზობელი პროვინციებისათვის. მაგრამ აქ ევროპის დამკვიდრება შეავსებს ამ დეფიციტს და ეს ფაქტი გახდება არა მხოლოდ უფრო მეტი მეზობელი ხალხის, არამედ ქვეყნის სიღრმიდან, უფრო შორეული მხარეების მცხოვრებთა მოზიდვის საშუალება და უეჭველია, რომ ბრიტანული წარმოების საქონლის მოხმარება თანდათან გაიზრდება. ამის იმედი ვერასდროს იქნებოდა, რომ არა საკონსულოს დაარსება და მუდმივი კონტროლი ადგილობრივი ხელისუფლებისა, რომელიც დღემდე ყველა სახის თვითნებურ გადასახადს აწესებს იმპორტირებულ ევროპულ საქონელზე“ (Adjara and..., 2003: 115-135).

ჯერ კიდევ უძველეს დროში კოლხეთი მდიდარი იყო ხე-ტყის მასალით. ეს ვითარება შენარჩუნებულია XIX საუკუნის 40-იან წლებშიც: „წიფელი და ხე-ტყის მასალა შეუზღუდავი ოდენობით გააქვთ, – წერს გუარაჩინო, – ოღონდ, გამომდინარე იქედან, რომ მთები, სადაც ეს ხეები იზრდება, მიუღვომელია, საჭიროა ხარჯები გზების გასაყვანად, რათა ხალხმა შეძლოს მათი ქვემოთ ზღვამდე ჩამოტანა... ხე-ტყე ახლოა ნაპირთან და სამხედრო გემების ასაგებად ხარისხის თვალსაზრისით – შესაბამისი...“ (Adjara and., 2003: 115-135).

ფ. გუარაჩინო ღვინის უძველეს კულტურასაც უსვამს ხაზს და საგანგებოდ აღნიშნავს: „ღვინოს ამზადებენ ჩურუქ-სუს მხარეში, ბათუმთან ახლოს, სადაც ვაზი კარგად იხარებს, თუკი ადგილობრივები მოინდომებენ მის მოვლას. ვაზი ტყეებში ველურადაც იზრდება“ (Adjara and., 2003: 115-135).

თევზჭერა ზღვისპირა რეგიონების ერთ-ერთი მთავარი საქმიანობის სფერო და შემოსავლის წყაროა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ბათუმი ყოფილა: „ბათუმის ყურე და ირგვლივ წყლები ძალზე მდიდარია თევზით. ზამთარში, მეთევზეები სანაპიროს სხვადასხვა მხარეებიდან, მოდიან აქ და იჭერენ ზღვის გოჭს, რომლისგანაც ამზადებენ ზეთს საწვავად; იჭერენ, ასევე, ზუთხს, ქაშაყს, ანჩოუსს, სკუმბრიას, პალტუსს და ბევრ სხვა თევზს“ – მიუთითებს დიპლომატი.

ბრიტანელი ვიცე-კონსულის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია მდ. ჭოროხის სანაოსნო შესაძლებლობები და ადგილობრივი სპეციფიკა: „მდინარე ჭოროხი სანაოსნოა მთელი წელი, გარდა ერთი თვისა – შუა მაისიდან შუა ივნისამდე, როცა თოვლის დნობა მის დინებას ძალზე აჩქარებს. ნავები, რომლებსაც გამოიყენებენ, ბრტყელია, 50 ფუტი¹ სიგრძის და შუაში 4-5 ფუტი სიგანის; ორივე ბოლო წაწვეტებულია. შეუძლიათ 6-8 ტონა ტვირთის გადატანა. ართვინს ზევით არ ადიან და ბათუმიდან სჭირდებათ 5-8 დღე, მაშინ როცა დაშვებისთვის – მხოლოდ 8 საათი“ (Adjara and., 2003: 115-135).

ფ. გუარაჩინო კარგად ხედავდა და აცნობიერებდა ბათუმის სავაჭრო შესაძლებლობებსა და მისი გაზრდის პერსპექტივას: „ვფიქრობ, რომ ორთქლით მავალი მისაბმელი იქნებოდა კარგი საშუალება ართვინამდე ნავების გადასაყვანად. ნავიგაციის ამ რეჟიმის, აგრეთვე ტრაპიზონსა და ბათუმს შორის ორთქლავალი ტრანსპორტით კავშირის დამყარების შემთხვევაში, ვაჭრები, რომლებიც საქმიანობენ ხოფის გავლით, უეჭველად გამოიყენებენ ამ მარშრუტს და ბათუმი გახდება მნიშვნელოვანი სატრანზიტო-სავაჭრო ცენტრი, რომლითაც ისარგებლებენ როგორც თურქეთის შიდა, ისე საქართველოს მთავარი ქალაქები. ახალციხის, ერევნისა და გიუმრის ვაჭრები და მგზავრები, რომლებიც, თითქმის ყველა, მოძრაობენ ერზრუმიდან ტრაპიზონის

¹ 1 ინგლისური ფუტი = 0,3048 მეტრს.

მიმართულებით, ასეთ პირობებში აირჩევენ ბათუმის უმოკლეს და ყველაზე იაფ მარშრუტს. მანძილი ყარსიდან ართვინამდე 24 საათია, იქიდან მდინარით ბათუმამდე – 8 საათი, ხოლო ბათუმიდან ბორნით ტრაპიზონამდე – 12, რაც ჯამში მხოლოდ 44 საათია, მაშინ როცა ყარსიდან ტრაპიზონამდე 90 საათია სახმელეთო გზით“ – წერს იგი (Adjara and., 2003: 115-135).

თავის წლიურ ანგარიშებში ფ. გუარაჩინო ცდილობს ახსნას მიზეზები თუ რა განაპირობებდა ბათუმის ვაჭრობის ზრდას თუ შემცირებას. 1840 წელს იმპორტი გაზრდილა. „სიმინდის, როგორც ძირითადი პროდუქტის, მოსავალი, უხვი იყო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა შეეღია მხოლოდ მათი მარაგის მცირე ნაწილს, იმ იმედით, რომ ფასები ზაფხულისკენ გაიზრდებოდა. მათი იმედები, სავარაუდოდ, გამართლდება, რადგან სხვაგან მოსავლიანობა დაეცა“ (Şaşmaz, 2014:102-103).

1840 წელს, ქორ-ჰუსეინის აჯანყების გამო, ქობულეთელ ვაჭრებს საქონელი შეუძენიათ არა ტრაპიზონში, არამედ ბათუმში და მომავალშიც იგივეს აპირებდნენ. „მიზეზი, რომელიც ადრე ხელს უშლიდა ამას, იყო დამატებითი გადასახადი, რომელსაც იღებდნენ აქაურ საბაჟოზე. ამასთან, ტრაპიზონში ყველა დადგენილი გადასახადის გადახდის შემდეგაც კი, საქონელი, აიანის² თვითნებური დადგენილებების საფუძველზე, ისევ იბეგრებოდა მის მიერვე შექმნილ საბაჟოზე. ეს ვალდებულება ახლა გაუქმებულია და ჩურუქ-სუს მოვაჭრეებისთვის უფრო სარფიანი იქნება საქონლის ბათუმში შექმნა, რაც მათ თავიდან ააცილებს ნავით მგზავრობის რისკს“ (Şaşmaz, 2014:102-103).

ბრიტანული ბიზი და შალი ბათუმიდან გაჰქონდათ კონტრაბანდული გზით ქართველ ვაჭრებს. საინტერესოა, რომ საქონელი ჩამოჰქონდათ სტამბოლიდან. ფ. გუარაჩინო შეეცადა გაერკვია, თუ რატომ არ იღებდნენ საქონელს უფრო ახლოს, ტრაპიზონში. როგორც აღმოჩნდა, „ამის გაკეთება არ შეეძლოთ რუსეთის კონსულის ნებართვის გარეშე, რომელიც ამ გზით გაიგებდა მათი საქმიანობის შესახებ. კონსტანტინოპოლში კი მათ შეეძლოთ საქონლის შექმნა მეთვალყურეების გარეშე“ (Şaşmaz, 2014:102-103).

ბრიტანელი დიპლომატის 1840 წლის ანგარიშის მიხედვით, წლის მანძილზე ბათუმში შესულა სულ 9 გემი, მათგან 1 იონური, 5 თურქული და 3 რუსული.

გუარაჩინოს დაკვირვებით, 1841 წლისთვის ვაჭრობის მოსალოდნელი ზრდა არ მომხდარა. ვიცე-კონსული ამის ერთ მიზეზად აიანის თანამდებობაზე სეფერ ბეგის არასტაბილურობის განცდას ასახელებს; მეორე მიზეზი

² აიანები იყვნენ ქალაქის ან მხარის მიმართველები ადგილობრივ დიდებულთაგან, რომელთაც ჰქონდათ სხვადასხვა ხარისხის ძალაუფლება. ისინი სარგებლობდნენ გარკვეული ავტონომიით და ჰყავდათ შეიარაღებული ძალაც კი.

კი იყო ის, რომ 1841 წლის თებერვალში რუსეთის მთავრობამ მოახდინა საქართველოში კონტრაბანდული გზით შეტანილი ბრიტანული საქონლის კონფისკაცია, რასაც კონტრაბანდული ვაჭრობის შემცირება მოჰყვა. კიდევ ერთი მიზეზი კი იყო 1841 წლის გურიის აჯანყება, რამაც აიძულა აქ მყოფი ვაჭრები შეეჩერებინათ სავაჭრო გარიგებები. ამ აჯანყებამ მოახდინა ვაჭრობის სრული პარალიზება რეგიონში. ამას გარდა, აჭარაშიც დაეცა საქონელზე მოთხოვნა, რადგან, როგორც ჩანს, გურიის აჯანყების გამო, აქედან ქობულეთში 2500 ჯარისკაცი იქნა მობილიზებული (Şaşmaz, 2014:108-109).

ევროპაში ბზაზე ფასის წამოწევის პირობებში, თურქმა მოვაჭრეებმა გადაწყვიტეს ბათუმის შემოგარენიდან მისი გატანა, მაგრამ აქაური ბზის შედარებით დაბალი ხარისხის გამო, მათი წამოწყება წამგებიანი აღმოჩნდა (Şaşmaz, 2014:108-109).

1841 წლის მანძილზე ბათუმის პორტში შესულა სულ 14 გემი, მათგან 1 ბრიტანული, 10 თურქული და 3 რუსული.

1841 წლის მოვლენებმა ინერციით მომდევნო წელსაც იქონია გავლენა ბათუმის ვაჭრობაზე. ბაზარი მთლიანად დაკეტილი იყო მთელი წლის განმავლობაში. იგივე სიტუაცია იყო ქობულეთშიც. მოვაჭრეები ფიქრობდნენ, რომ ამ რეგიონში წესრიგი არ აღდგებოდა სასაზღვრო საკითხის საბოლოო მოგვარებამდე. თუმცა წლის მიწურულს სიტუაცია თანდათან გამოსწორდა. საბოლოო ჯამში, იმპორტმა გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს. ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხე-ტყის მასალას. დაეცა თევზის რეწვის საქმე, სიმინდის მოსავალიც ძალზე მწირი იყო. თუმცა, ამ წელს ადგილი ჰქონდა ერთ მნიშვნელოვან სიახლეს – ბათუმში გამოჩნდა ავსტრიული, ორთქლით მავალი ხომალდი (Adjara and., 2003: 399-409).

1842 წლის მანძილზე ბათუმში, წინა წელთან შედარებით ორჯერ ნაკლები, სულ 7 გემი შესულა, მათგან 4 თურქული, 1 რუსული, 1 ავსტრიული და 1 ბერძნული.

1843 წლის გაზაფხულზე ბათუმის ვაჭრობა გამოცოცხლდა. ბათუმში აქამდე არასოდეს ყოფილა საქონლის ასეთი დიდი მარაგი. „ვაჭრებმა კონტრაბანდული გზით გაგზავნეს დაახლოებით 7000 ფუნტის ღირებულების ნაწარმი აფხაზეთსა და ჩერქეზეთში. თითქმის ყველა კატარლამ, რომლითაც გაიგზავნა საქონელი, უსაფრთხოდ მიაღწია ნაპირებამდე, მიუხედავად რუსული კრეისერების სიფხიზლისა ... შემოდგომით ვაჭრობა დაეცა. ბაირამი დაემთხვა ზუსტად იმ პერიოდს, როდესაც მოვაჭრეები აქ ბრუნდებიან არაჯანსაღი სეზონის შემდეგ. მათი დიდი ნაწილი საკუთარ სახლებში დარჩა დღესასწაულის გასატარებლად; მას შემდეგ უჩვეულო და ძალიან ცუდმა ამინდმა შეაჩერა თითქმის ყველა კომუნიკაცია მეზობელ სანაპიროებთან და რაიონებთან, ასე რომ, ჯერჯერობით, მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შეძლო დაბრუნება. შესაბამისად, ბოლო ორი თვის განმავლობაში

იმპორტი ძალიან უმნიშვნელო იყო“ – ნათქვამია ვიცე-კონსულის ანგარიშში (Şaşmaz, 2014:121-123).

გუარაჩინო 1843 წლის მეორე ნახევრისათვის ბათუმის მხარეში კომერციული საქმიანობის შესუსტების კიდეც ერთ მიზეზად ინდური სიმინდის მცირე მოსავალს ასახელებს – მოწეული რაოდენობა მხოლოდ ადგილობრივი მოხმარებისთვის აღმოჩნდა საკმარისი. სანაცვლოდ, უფრო იმედიანად უყურებს მომდევნო წელს. „მომავალი წლის გაზაფხულზე, – წერს იგი, – მოსალოდნელია ჩვენს ყურეში საზღვაო გადაზიდვების გააქტიურება, რადგან აქ ახლა ამზადებენ ქაფუდან ფაშას³ მიერ შარშან ზაფხულში ვიზიტისას გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებულ ხე-ტყის მასალას, რომლის ღირებულება შეიძლება იყოს დაახლოებით 3,000 ფუნტი...“ (Şaşmaz, 2014:121-123). ვიცე-კონსულის ვარაუდი არ გამართლდა. როგორც 1844 წლის ანგარიშიდან ჩანს, აღნიშნული კონტრაქტის შესრულება, რთული რელიეფისა და გამწევი ხარების არასაკმარისი რაოდენობის გამო, ამ წლის ბოლოსთვის შეუძლებელი იქნებოდა. ანგარიშის შედგენის დროისთვის, 1500 მუხის მორიდან მხოლოდ 900 იყო გადაზიდული, 600 არც კი იყო მოჭრილი (Şaşmaz, 2014:132-133).

1843 წელს ბათუმში სტუმრობისას, ქაფუდან ფაშა შეხვედრია ბრიტანეთის ელჩს და დაუიმედებია, რომ მალე ბათუმის პორტში მიმოსვლას დაიწყებდნენ ორთქმავალი გემები (Şaşmaz, 2014:121-123).

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ვაჭრობა 40-იან წლებში არასტაბილურობით ხასიათდება. 1844 წელს ისევ იკლო ტვირთბრუნვის მოცულობამ. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 2 გემი დაიტვირთა ხე-ტყით. ფ. გუარაჩინო იმედეგაცრუებულია: „მატერიალური გაუმჯობესება, ვფიქრობ, დამოკიდებული იქნება იმ მოვლენებზე, რომელსაც ახლა ვერ ვხედავ. ვერც პერსპექტივას ვხედავ დღეისათვის, რომ ორთქმავალი გემების მიმოსვლა დაიწყება ბათუმსა და ტრაპიზონს შორის... სტიმული ორთქმავალი გემების მიმოსვლისათვის იქნებოდა აქედან აჭარის გავლით ახალციხისკენ მიმავალი გზის შეკეთება. შემოდგომით, როცა აქ დავბრუნდი, მუსელიმმა მითხრა, რომ იგი აპირებდა ყველა სეზონზე ქარავენებისთვის გამოსადეგი გზის გაკეთებას. მაგრამ, რამდენიმე დღის წინ, ამ საკითხზე საუბრისას მან ამიხსნა, რომ როდესაც დაადგინა, აღნიშნული გზის ზოგიერთი ნაწილის შეკეთებას რაოდენ მძიმე ხარჯი მოჰყვებოდა სოფლის მცხოვრებთათვის, უარი თქვა მიზნის განხორციელებაზე, ვიდრე აბდულა ფაშა არ გამოჰყოფდა საჭირო თანხას. ამ უკანასკნელის მიღწევა კი ძალიან რთულია, თუ საერთოდ შეუძლებელი არა, ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ ოდესმე ამოქმედდება ეს გეგმა“ (Şaşmaz, 2014:132-133).

³ ოსმალეთის საზღვაო ძალების ადმირალი

კომერციული საქმიანობა ბათუმში დეპრესიულ მდგომარეობაში დარჩა 1845 წლის ივნისამდე. „ივნისში გამოიცა ბრძანება, რომ ბრიტანული ნაწარმი და სხვა აკრძალული საქონელი, ქართულ ბაზრებზე შეტანისას, არ იქნებოდა კონფისკირებული მესაზღვრეთა მხრიდან, რამაც მოულოდნელად გამოაცოცხლა აქაური ვაჭრობა, რადგან დილერებმა ერთბაშად დაინახეს კონტრაბანდული გზით თავიანთი მარაგების გასაღების შესაძლებლობა“. თუმცა, საქონლის გასაღება ნაღდი ანგარიშსწორებით ვერ მოხერხდა და იძულებულნი გახდნენ შეკვეთილის სიახლოვეს ბზაზე გადაეცვალათ, იქედან კი ნავებით მოეზიდათ ბათუმში გემზე დასატვირთად (Şaşmaz, 2014:141-144).

საინტერესოა, რომ გუარაჩინო ახსენებს მონებით ვაჭრობას აფხაზეთში: „მიზეზთა გამო, რომელთა შესახებ ზუსტად არ ვიცი, ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში, ამ რეგიონიდან კონსტანტინოპოლის ბაზარზე გადაყვანილი მონები ვერ გაიყიდა“ (Şaşmaz, 2014:141-144).

რაც შეეხება ბათუმს, მან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა რამდენადმე მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს მიმართულებით ვაჭრობაში. გუარაჩინოს შენიშნავს: „მე ვერ მოვახერხე დაახლოებითი სურათის შედგენაც კი საქართველოს მიმართულებით გზავნილების რაოდენობაზე წლის განმავლობაში, რადგან მათგან ძალიან ცოტამ გაიარა ბათუმზე.“ ქართველი მოვაჭრეები არჩევდნენ ტრაპიზონიდან წაეღოთ საქონელი, ან პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან. თუმცა, ინგლისელი დიპლომატი, რამდენიმე მიზეზის გამო, მაინც იმედიანად იყო. ერთი მიზეზი უკავშირდებოდა აბრეშუმის ჭიის გამრავლებით და მერქნის იმპორტით ფრანგი კაპიტალისტების დაინტერესებას, მეორე მიზეზი იყო 1846 წლისათვის ინგლისური კომპანიის მიერ ორთქმავალი გემებისათვის ნავსადგურის მოწყობა ბათუმში. „მესამე მოვლენაა საქართველოს გავლით სატრანზიტო ვაჭრობის დაწყება, რომელსაც, სავარაუდოდ მომავალი წლისთვის, გეგმავს პრინცი ვორონცოვი⁴. ბათუმი არის ერთადერთი კარგი პორტი საქართველოს საზღვრის სიახლოვეს და, სავარაუდოდ, ეს ადგილი მიიღებს უზარმაზარ უპირატესობას ამ წამოწყებისაგან, რადგან აშკარაა, რომ სანამ უსაფრთხო პორტს აშენებენ რედუტ-კალეში ან მის მახლობლად მდებარე სხვა ადგილას, ბათუმიდან მოხდება ტვირთის გადატანა ხმელეთით ოზურგეთის მიმართულებით, ან მშვიდი ამინდის პირობებში – ზღვით რედუტ-კალეში ან შეკვეთილში“ (Şaşmaz, 2014:141-144).

1846 წლის 26 იანვარს კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის ელჩ სტრეტფორდ კანინგთან გაგზავნილ წერილში ფ. გუარაჩინო ეხება ერთ-ერთი

⁴ იგულისხმება მიხეილ ვორონცოვი – [1844](#) წლის 27 დეკემბრიდან [1854](#) წლის 29 ნოემბრამდე კავკასიის მეფისნაცვალის და [კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი](#).

ადგილობრივი აიანის მიერ თვითნებური სავაჭრო მოსაკრებლის დაწესების ფაქტს. წერილი შეიცავს საინტერესო დეტალებს, ამიტომ მოგვყავს შედარებით ვრცლად:

„ექვსი წლის წინ, როდესაც აქ ჩამოვედი, ბათუმის ბეგებისა და აიანების მიერ დადგენილი იყო დაებეგრათ ადგილობრივი პროდუქციის ყველა მყიდველი, ვიდრე მოხდებოდა მისი ექსპორტირება. ამას ისინი უწოდებდნენ ხარჯს, რაც ნიშნავს ბაჟს სამი, ზოგიერთ საქონელზე ოთხი პროცენტის ოდენობით. ხარჯი ეკისრებოდათ გლეხებსაც, რომელთაც გასაყიდად გამოჰქონდათ თავიანთი პროდუქცია, რასაც სააღო გამოსაღები ერქვა.

ადრე, ამავე ოდენობის გადასახადით (ხარჯი) იბეგრებოდა ვაჭრების მიერ აქ ჩამოტანილი ბრიტანული და სხვა ევროპული საქონელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებებით დადგენილი ბაჟი მათ სრულად ჰქონდათ გადახდილი ან კონსტანტინოპოლში, ან ტრაპიზონში.

მას შემდეგ, რაც დაინახეს იმპორტსა თუ ექსპორტზე ასეთი გადასახადის მიუღებლობა, მათ უარი თქვეს ევროპელთაგან მისი გადახდის მოთხოვნაზე და არც ადგილობრივ ან ტრაპიზონელ ვაჭრებს ახვევდნენ თავს, რომელთაც გამოხატეს დაუმორჩილებლობა.

თუმცა, ბოლო თვის განმავლობაში, ერთ-ერთმა აიანმა – ჰამით-ბეგმა, რომელსაც თავისი ნათესავის თანხა ემართა, ამ უკანასკნელს, ვალის დაბრუნების ანგარიშში, გარკვეული დროით ხარჯის აკრეფის უფლება მისცა. ეს ადამიანი ახლა მოითხოვს ყველა საექსპორტო და შემოტანილ საქონელზე ბაჟის გადახდას განსხვავებული პროცენტით, რაც იყო დაწესებული მრავალი წლის წინ. ამავე დროს, უარს ამბობს გადახდილი თანხის თეხქერეს, ანუ ქვითრის მოცემაზე.

ტრაპიზონის საბაჟო ოფიცერი კი არ გამოქვითავს ასეთი ხარჯის თანხას იმ 9-პროცენტიანი შიდა გადასახადიდან, რაც ხელშეკრულებით არის დაწესებული ტრაპიზონში გასაყიდად შეტანილ საქონელზე. ასე რომ, 9 პროცენტის გარდა, რეგიონის პროდუქცია დამატებით ექვემდებარება სახარჯო გადასახადს, რაც, როგორც ეს ზემოთ იყო მითითებული, მისი ღირებულების სამ-ოთხ პროცენტს უდრის, რაც ჯამში 12-13 პროცენტს შეადგენს.

აქ არ არის საბაჟოს არც ერთი თანამშრომელი და რადგან რაიონის პროდუქცია, როგორც წესი, პირდაპირ ტრაპიზონში ან კონსტანტინოპოლში მიდის, ოფიციალური გადასახადი მთლიანად ამ ადგილებში გადაიხდება.

ეს რაიონი იყოფა ორ სააიანოდ და ხარჯი თანაბრად აიღება ორი აიანის მიერ, რომლებიც მას სულთნის ბარათის, ანუ ფირმანის ძალით აკისრებენ მოსახლეობას იმ წესის შესაბამისად, რაც თოთხმეტი წლის წინ, სულთან მაჰმუდის დროს იქნა დადგენილი. ამასთან, ბალთა-ლიმანის

ხელშეკრულება⁵ ადგენს, რომ ოსმალეთის იმპერიის ყველა პროდუქტი იბეგრება მხოლოდ 9 პროცენტის შიდა ბაჟით. ჩემი მოკრძალებული აზრით, აიანების საკუთრებაში არსებული ბარათები ან ფირმანი არ შეიძლება ჩაითვალოს მოქმედად შეთანხმების ხელმოწერის დღიდან.

აქ ძირითადი საექსპორტო საქონელია ინდური სიმინდი და ბრინჯი და სწორედ ამ საქონლისთვის ხარჯის წილი არის სამი და ოთხი პროცენტი. თუ თქვენი აღმატებულება ამას უსამართლოდ მიიჩნევს, გთხოვთ, გამომიგზავნოთ მთავრობის წერილი ხარჯის გაუქმების შესახებ, თუნდაც ევროპელებისათვის. ამასთან, გავბედავ აღვნიშნო, რომ თუ არ ვცდები, ევროპელები ან ბრიტანეთის ქვეშევრდომნი, ბალთა-ლიმანის ხელშეკრულების თანახმად, იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც ყველაზე პრივილეგირებული ადგილობრივი ვაჭრები. რადგან ხარჯის აღება ზრდის საბაჟო მოსაკრებლის ოდენობას, რომელიც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, სამართლიანი იქნებოდა, თუ იგი გაუქმდებოდა” (Adjara and..., 2003: 236-240).

მოთხოვნილი წერილი გუარაჩინომ ორ თვეში მიიღო და მას მიეცა შემდგომი მსვლელობა (Adjara and..., 2003: 258-259). უნდა აღინიშნოს, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა თვალნათლივ აჩვენებს ოსმალეთის საქმეებში ინგლისის ჩარევის ხარისხს.

ბრიტანელი დიპლომატის – ფრედერიკო გუარაჩინოს წარმოდგენილი ცნობები ნათლად გვიჩვენებს ზოგად ვითარებას ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფ ბათუმში და ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სანაოსნო შესაძლებლობებს 1840-1845 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ვაჭრობა და ტვირთბრუნვა ბათუმში არ ყოფილა დიდი მასშტაბების, თუმცა, დიპლომატის დაკვირვებით, ორთქმავალი გემების მიმოსვლის დაწყება, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ფაქტორი (საფრანგეთის დაინტერესება რეგიონში მებარემუმეობის განვითარებითა და აქედან მერქნის გატანით, რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობაში ბათუმის აქტიურად ჩართვის პესპექტივები), ქალაქს სამომავლოდ შესძენდა მეტ მნიშვნელობას და ხელს შეუწყობდა მის შემდგომ განვითარებას.

⁵ ბალთა-ლიმანის ხელშეკრულება – სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა ოსმალეთის იმპერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის 1838 წელს. იგი კომერციული ხასიათის იყო და არეგულირებდა საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებს. ხელშეკრულების თანახმად გაუქმდა ყოველგვარი მონოპოლიები. ხელშეკრულების IV მუხლის თანახმად, საექსპორტოდ შეძენილ თურქულ პროდუქტზე თუ საქონელზე, გადაიხდებოდა ერთი ფიქსირებული გადასახადი ღირებულების ცხრა პროცენტის ოდენობით, ყველა სხვა შიდა გადასახადის ნაცვლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი, 2019: – გელაშვილი გ., „ბრიტანეთის ვიცე-კონსული ფრედერიკო გუარაჩინო ბათუმის შესახებ (1840 წ.)“, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, X, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2019, გვ. 106-116
2. Adjara and., 2003: – Adjara and the Ottoman Empire, 1830-1878, (British Archives on the Caucasus, Georgia), Editorial Hugo Greenhalgh, Research Robert L. Jarman, “Archival Publications International,” London, 2003.
3. Şaşmaz, 2014: – Şaşmaz M., İngiliz belgelerine göre Trabzon Vilayeti ticari raporları (Trade Reports of the Trebizond Province on British Documents), 1830-1914, I, Ankara, 2014.

**Geopolitical Processes at the Turn
of the XVIII-XIX Centuries and the Caucasus**

**გეოპოლიტიკური პროცესები XVIII-XIX საუკუნეების
მიჯნაზე და კავკასია**

Jemal Karalidze

PhD. in History, Professor, Head of the department of History,
Archeology and ethnology of Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: jemal.karalidze@bsu.edu.ge

Tel: +995 577 17 97 70

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7179-0455>

Abstract: In the 18th century, the contradictions between the great powers due to dominance in the Caucasus became more intense. Together with traditional rivals - Iran and Ottomans, the strengthened Russian state actively engaged in the struggle for influence in the Caucasus. He conveniently benefited from the goodwill of Transcaucasian peoples, especially Christian Georgians, and used them to realize his interests. Both Caucasian political forces in general and Georgian political forces, in particular, could not properly assess the international situation created at the end of the 18th century and the end of the 19th century, and they still considered Russia to be the only hope to get out of the difficult situation.

This attitude of political units of the Caucasus made it easier for Russia to implement its plans, which resulted in the conquest of Kartli-Kakheti, then the kingdom of Imereti, and then the entire Caucasus at the beginning of the 19th century.

Key words: Caucasus, geopolitics, Georgia, Ottoman Empire, Iran, Russia

ჯემალ კარალიძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ელ-ფოსტა: jemal.karalidze@bsu.edu.ge

ტელ: +995 577 17 97 70

ORCID: <https://orcid.org/0000-0002-7179-0455>

აბსტრაქტი: XVIII საუკუნეში უფრო გამწვავდა წინააღმდეგობები დიდ სახელმწიფოებს შორის კავკასიაში გაბატონების გამო. ტრადიციულ მეტოქეებთან - ირანთან და ოსმალეთთან ერთად კავკასიაზე გავლენისათვის

ბრძოლაში აქტიურად ჩაება გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო. იგი მოხერხებულად სარგებლობდა ამიერკავკასიის ხალხების, განსაკუთრებით ქრისტიანი ქართველების კეთილგანწყობით და მათ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად იყენებდა. როგორც ზოგადად კავკასიური, ისე განსაკუთრებით ქართული პოლიტიკური ძალები სათანადოდ ვერ აფასებდნენ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და რთული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთ იმედად კვლავ რუსეთი მიაჩნდათ.

კავკასიის პოლიტიკური ერთეულების ასეთმა დამოკიდებულებამ რუსეთს საკუთარი გეგმების განხორციელება გაუიოლა, რასაც შედეგად XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ იმერეთის სამეფოს, ხოლო შემდეგ მთელი კავკასიის დაპყრობა მოჰყვა.

საკვანძო სიტყვები : კავკასია, გეოპოლიტიკა, საქართველო, ოსმალეთი, ირანი, რუსეთი

შესავალი: კავკასია უაღრესად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, უხსოვარი დროიდან იყო მსოფლიოში გავლენის მოპოვების მქონე ახლო თუ შორეული ძლიერი სახელმწიფოების პირველხარისხოვანი სამიზნე. აღსანიშნავია, რომ არ დარჩენილა მსოფლიოში ჰეგემონობისთვის მებრძოლი არცერთი სახელმწიფო, რომელიც არ ცდილობდა კავკასიის დაქვემდებარებას. კავკასიაში გავლენისათვის ბრძოლაში თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო გადამწყვეტი როლი საქართველოს ენიჭებოდა.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: განსახილველ პრობლემაზე ნაშრომები გამოქვეყნებული აქვთ როგორც ქართველ (ბერძენიშვილი ნ., ბოცვაძე თ., სვანიძე მ., და სხვ.), ისე უცხოელ (ბედლი ჯ., დეგოევი ვ., პეტროსიანი იუ. და სხვ.) ავტორებს, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნულ სტატიაში

მეთოდოლოგია: სტატიაში კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ლინგვისტური, შედარებითი, სისტემური ანალიზის, შედარებითი-ისტორიული, ლოგიკისა და სხვა.

დისკუსია/შედეგები: XV-XVI სს-დან კავკასიაში გაბატონებისთვის სამი დიდი სახელმწიფოს: ოსმალეთის ირანისა და რუსეთის ინტერესები

გადაიკვეთა, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ კავკასიაში საკუთარი გავლენის გაფართოებას და სრული უპირატესობის მოპოვებას. ამ დაპირისპირებას უფრო ამწვავებდა კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. XV ს. მეორე ნახევრიდან, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ, კავკასიაში აღარ არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელსაც შეეძლებოდა უკიდურესად გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში მაკოორდინირებელი და აგრესიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მათგანიზებული როლი შეესრულებინა. XVI-XVII საუკუნეებში კავკასიის ხალხები ირანისა და ოსმალეთის მხრიდან მუდმივი აგრესიის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელთა მიზნების განხორციელება საფრთხის ქვეშ აყენებდა კავკასიელთა არა მარტო სუვერენიტეტს, არამედ თვითმყოფადობასა და ფიზიკურ არსებობასაც კი. მხოლოდ საკუთარი ძალებით წინ აღდგომოდნენ აგრესორთა შემოტევას, კავკასიელ ხალხებს არ შეეძლოთ პირიქით, გაზრდილი საგარეო საფრთხის პირობებში, ხშირად გარე ძალების პროვოცირებითაც, თანდათან ღრმავდებოდა ეთნოპოლიტიკური თუ შიდაფეოდალური დაპირისპირებები, რომლებიც ხშირად ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ ბრძოლებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ეს კი კიდევ უფრო ზღუდავდა საგარეო საფრთხის აღსაკვეთად კავკასიელთა ისედაც შეზღუდულ შესაძლებლობებს. აღნიშნული ურთულესი სიტუაციიდან ერთადერთ რეალურ გამოსავალს კავკასიელები საგარეო მოკავშირის ან მფარველის მოძიებაში ხედავდნენ. სწორედ ამით აიხსნება XVIII ს. მანძილზე რუსეთისადმი არა მარტო ქრისტიანი ქათველებისა და სომხების, არამედ კავკასიის თვით მაჰმადიანური ეთნიკურ ჯგუფების წარმომადგენელთა გარკვეული კეთილგანწყობაც.

გადაჭარბების გარეშე XVIII საუკუნე გარდამტეხი პერიოდია კავკასიაზე გეოპოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლაში. ამ დროიდან ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გეოპოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ახლო და შუა აღმოსავლეთში უპირატესი გავლენის მოპოვების საკითხმა. ამჟამად მწვავდებოდა მეტოქეობა ინგლისს, საფრანგეთს, ავსტრიასა და რუსეთს შორის დასუსტებული ირანისა და ოსმალეთის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად. ამ კონტექსტში განსაკუთრებით გამძაფრდა კავკასიაზე ჰეგემონობისთვის ბრძოლა.

XVIII ს. დასაწყისში რუსეთისათვის უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს ყირიმის სახანოს მხრიდან მომდინარე საფრთხის აღკვეთა და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება წარმოადგენდა. შავსა და კასპის ზღვებზე პოზიციების გაძლიერებისაკენ რუსეთს უბიძგებდა ეკონომიკური ინტერესებიც. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა პირდაპირ იყო დაკავშირებული კავკასიაში გავლენის საკითხთან, რომელიც ოსმალეთთან ომის გარეშე ვერ გადაწყდებოდა. ამიტომაც პეტრე I 1695 წელს შეუერთდა „სადვთო ლიგას“, ხოლო იმავე წელს მოაწყო ლაშქრობა აზოვზე, თუმცა

წარუმატებლად. მაგრამ პეტრე დაჟინებით ცდილობდა ჩანაფიქრის მიღწევას - აზოვის ზღვაზე ააგო ფლოტილია და 1699 წელს დაეუფლა მას. თუმცა შავ ზღვაზე გასასვლელი რუსეთისთვის მაინც ჩაკეტილი იყო. პეტრე I სცადა ანტიოსმალური კოალიციის გაფართოება და ევროპაში „დიდი ელჩობა“ მოაწყო. აშკარა გახდა, რომ ოსმალეთთან ომში რუსეთს მოკავშირეები არ ჰყავდა, ამიტომ პეტრემ ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად „ჩრდილოეთის ომისთვის“ დაიწყო სამზადისი. ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ამიერიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი კვლავ შავიზღვისპირეთის საკითხმა დაიკავა, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ყირიმის სახანოსა და კავკასიის საკითხთან. XVIII ს. დასაწყისიდან ირანის ღრმა კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა კასპისპირეთში გავლენის გადანაწილებისათვის ბრძოლის საკითხი. რუსეთმა ქართლის მეფე ვახტანგ VI მოკავშირეობით სცადა ამიერკავკასიაში შემოღწევა, მაგრამ სხვა ფაქტორებთან ერთად ოსმალეთის მძაფრმა რეაქციამ აიძულა უკან დაეხია. 1724 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული სტამბულის ხელშეკრულებით, რომელიც „დანაწილების ხელშეკრულების“ სახელითაც არის ცნობილი, რუსეთმა მიიღო კასპისპირეთის სანაპიროების გარკვეული ნაწილი, თუმცა აღიარა აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალეთის ხელში გადასვლა. პეტრე I გარდაცვალების შემდეგ რუსეთმა კასპის სანაპირო ზოლიც დაუბრუნა ირანს. კიდევ უფრო შესუსტდა რუსეთის პოზიციები კავკასიაში 1736-1739 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ბელგრადის ზავით, როცა მან ოფიციალურად ქვეშევრდომობაში მყოფ ყაზარდოზეც დაკარგა გავლენა.

კავკასიაზე გავლენისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა XVIII ს. მეორე ნახევარში. რუსეთის სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა პოზიციების განმტკიცებას შავი და კასპის ზღვების აუზში. ძირითადი მეტოქეების - ოსმალეთისა და ირანის დასუსტება რუსეთს გაბედული ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებდა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ეკატერინე II საგარეო პოლიტიკა. 1768-1774 წწ. ოსმალეთთან ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთმა მალე, 1783 წელს მოახდინა ყირიმის სახანოს გაუქმება და შეერთება, ხოლო იმავე წელს ქართლ-კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით ამიერკავკასიაშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი. რუსეთის აღნიშნული წარმატებები ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პასიურობის შედეგიც იყო. ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებს. ეკატერინე II ხელისუფლება ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან გეგმაზომიერად ცდილობდა კავკასიის ათვისებას - აგებდა ციხესიმაგრეებს, ეწეოდა კოლონიზაციას, ქმნიდა კაზაკურ დასახლებებს, დაიწყო კავკასიის ხაზის მშენებლობა.

XVIII ს. ბოლოს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რამდენიმე ათწლეულით განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება. ამან გამოიწვია არა თუ ინგლისისა და რუსეთის, არამედ გარკვეულ ეტაპზე დაუნდობელი მეტოქეების - რუსეთისა და ოსმალეთის დაახლოება.

რუსეთმა მოსახერხებლად გამოიყენა XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დასაწყისში საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება, კავკასიის ხალხთა პრობლემები და განწყობილება საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნის - კავკასიაზე სრული გავლენის დამყარების განსახორციელებლად.

გაძლიერებული რუსეთის ეკონომიკურ და სტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა მისი პოზიციების განმტკიცებას შავი და კასპიის ზღვების აუზში. შავ ზღვაზე პორტების მნიშვნელობა, სრუტეების გავლით ხმელთაშუა ზღვის აუზში გასვლა ბიძგს მისცემდა სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას დანარჩენ მსოფლიოსთან, რაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთის სახელმწიფოს შემდგომი განვითარება. „სწორედ ამიტომ სამხრეთის პრობლემა გახდა მთავარი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში და რუსული დიპლომატიის მოღვაწეობა დაექვემდებარა მის გადაჭრას (История внешней политики России, 2000, 110). ამ ეტაპზე რუსეთისათვის გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ჩრდილოეთ კავკასიას ენიჭებოდა. „შეაფასა რა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც ერთი წლისა და ერთი სამხედრო კამპანიის საქმე არ იყო, მან (ეკატერინე II-ჯ.კ.) დაიწყო ამ რეგიონის გეგმაზომიერი სამხედრო-პოლიტიკური ათვისება“ (Дегоев, 2001,15) რუსეთის გააქტიურებამ ჩრდილოეთ კავკასიაში, ირანისა და ოსმალეთის გაღიზიანება გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის გაძლიერების და შესაბამისად მისი გააქტიურების პარალელურად მისი ძირითადი მეტოქეები კავკასიაში - ირანი და ოსმალეთი სუსტდებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ძირითადი მეტოქის, შავიზღვისპირეთში პირველობისათვის ბრძოლაში, ოსმალეთის დასუსტება. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ოსმალეთის იმპერია იმყოფებოდა უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში“ (სვანიძე, 2007:260). ფაქტიურად XVIII საუკუნის მანძილზე (განსაკუთრებით მეორე ნახევარში - ჯ.კ.) რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდნენ. „რუსეთის სახელმწიფო მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა, ხოლო ოსმალეთის იმპერია სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტდებოდა“ (Россия и восток, 2002:338).

შავი ზღვის აუზში რუსეთის სულ უფრო მზარდი ინტერესების მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გააჩნდათ ევროპის სახელმწიფოებს. ინგლისი, რომლის მიზანი იყო „ძალთა თანაფარდობის“ პრინციპი, ცდილობდა ხელი შეეშალა საფრანგეთის გაძლიერებისათვის. ამ მოსაზრებით XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების შუა ხანებამდე ინგლისი

არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას შუა შავი ზღვის აუზში... ბრიტანეთის კაბინეტი მიიჩნევდა, რომ როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო-საზღვაო თვალსაზრისით რუსეთის სახელმწიფოს არ შეეძლო ინგლისთან მეტოქეობა“ (История внешней политики России, 2000:115). საფრანგეთს კი რუსეთი კონკურენტად მიაჩნდა მახლობელ აღმოსავლეთში. საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 60-იან წლებში კიდევ უფრო დაძაბა ინგლის-რუსეთის დაახლოებამ. თავადაც უკმაყოფილო და საფრანგეთის წაქეზებულმა ოსმალეთმა რუსეთი ელჩისაგან ალექსეი ობრესკოვისგან ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა რუსეთისაგან პოლონეთის საკითხში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. ასეთი საკითხის გადაწყვეტა ელჩს ბუნებრივია არ შეეძლო, რასაც მისი დაპატიმრება მოჰყვა. 1768 წლის 18 ნოემბერს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთისათვის ეს ომი მოსალოდნელი იყო და ამისათვის ემზადებოდა კიდევ. „შვიდწლიანი ომის შემდეგ რუსეთის სამხედრო რესურსები ევროპის ქვეყნებთან შედარებით საუკეთესო მდგომარეობაში იყო, არმიაში მიიღო მნიშვნელოვანი გამოცდილება. შესაძლებელია ეს ჰქონდათ მხედველობაში ეკატერინე 2, როცა ომის დაწყების შესახებ გრაფ სალტიკოვს თვითდაჯერებით სწერდა: „პირველად არ არის რუსეთმა გაიმარჯვოს მტრებზე“ (История России, 1998:251). რუსეთმა სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები გადადგა წარმატების მოსაპოვებლად : შეძლო ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყვანა; საბერძნეთსა და ჩერნოგორიაში ანტიოსმალური მოძრაობის გასაძლიერებლად ემისრები მიავლინა; ბალკანეთში ანტიოსმალური მოძრაობის მხარდასაჭერად ბალტიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში ადმირალ გ. სპირიდონოვის დიდი ესკადრა გაიგზავნა. ამასთანავე რუსეთმა შეძლო ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერის შენარჩუნება. „ყაზარდოს ფეოდალთა უმრავლესობამ დაიცვა რუსეთის ერთგულება. ომის მსვლელობაში რუსეთთან დაახლოებას ცდილობდნენ ასევე ოსებიც (История народов северного Кавказа, 1988: 440). 1769-1770 წწ. სამხედრო მოქმედებებში ხმელეთსა და ზღვაზე რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, რომელთაც მოითხოვეს საზავო მოლაპარაკებების დაწყება. 1772 წ. დაწყებული მოლაპარაკება მალე შევიდა ჩიხში და 1773 წლის მარტში შეწყდა. გაჭიანურებული ომი არ აწყობდა რუსეთსაც, მით უფრო რომ იძაბებოდა ვითარება ბალტიისპირეთში. საჭირო იყო რუსეთს იარაღის ძალით აემულეებინა ოსმალეთი კვლავ დაეწყო მოლაპარაკებები. ამ მიზნით ჰ. რუმინანცევის არმია 1774 წ. ივნისში კვლავ გადალახა დუნაი და ოსმალები რამდენჯერმე დაამარცხა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ქ. კოზლოუჯასთან ა. სუვოროვის მიერ ოსმალთა 40-ათასიანი არმიის სასტიკად დამარცხება. ოსმალეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა, რომელიც გაფორმდა სოფ.

ქუჩუკ-კაინარჯში 1774 წლის 10 ივლისს. ზავის პირობები შეესაბამებოდა რუსეთის წარმატებებს: ყირიმის სახანო დამოუკიდებლად ცხადდებოდა. ციხესიმაგრეები: ქერჩი, ენი-კალე და კინბურნი მდ. ბუგსა და დნესტრს შორის მდებარე მიწებით გადაეცემოდა რუსეთს, მასვე უბრუნდებოდა ყაზარდო, შავი და მარმარილოს ზღვები რუსეთის სავაჭრო გემებისათვის ღიად ცხადდებოდა. რაც შეეხება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა რომ არ შეავიწროვებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს. სხვა მხრივ, ქართველთა მონაწილეობა ამ ომში არ დაფასებულა. „გამოიყენა რა თავისი მიზნებისათვის ქართველი მეფეები, რუსეთმა მათ ფაქტიურად არავითარი დანაპირები არ შეუსრულა. პირიქით, კრიტიკულ მომენტში მარტო დატოვა მოძალეებული მტრის რკალში. იმედგაცრუებულ მეფეებს კვლავ საკუთარი ძალების მაქსიმალური დაძაბვის ფასად უხდებოდათ მტრების მოგერიება (ბულიეიშვილი, 1991:96-97).

რუსეთი ყველაფერს აკეთებდა რომ მოეხდინა ყირიმის სახანოს გაუქმება და მისი შეერთება. მართლაც, 1783 წლის 8 აპრილის იმპერატორის აქტით რუსეთის მფლობელობაში შევიდა არა მარტო ყირიმის ნახევარკუნძული, არამედ ტამანის ნახევარკუნძული და ყუბანის მხარე“ (სოხვაძე, 1996:243). ამრიგად რუსეთმა მყარი პოზიციები შეიქმნა კავკასიაში ბატონობის დასამყარებლად. 1783 წ. 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით რუსეთმა ამიერკავკასიაშიც მტკიცედ შემოდგა ფეხი. ცხადი იყო, რომ რუსეთი „საქართველოს დაპატრონებით“ მთელ ამიერკავკასიასაც ჩაიგდებდა ხელში, მით უფრო, როცა დაღესტნისა და ამიერკავკასიის სახანოები თავის მხრივ ითხოვდნენ რუსეთის მფარველობაში მიღებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი მთელ კავკასიაში გაბატონდებოდა, ხოლო თუ იგი შეჩერებული არ იქნებოდა, შეიძლება რულაც ირანს დაპატრონებოდა“ (ბოცვაძე, 1990:244). ყოველივე ამან XVIII საუკუნის 80-იან წლებში კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობები რუსეთს, ოსმალეთსა და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. ოსმალეთის დასუსტება, არასტაბილურობა ირანში და რუსეთის მზარდი ძლიერება „გარდაუვალს ხდიდა „ძველის“ დარღვევას და „ახალი“ ბალანსის ჩამოყალიბებას კავკასიაში“ (Внешняя политика России, 1960: 40).

ეკატერინე II ხელისუფლება ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან გეგმაზომიერად ცდილობდა კავკასიის ათვისებას - აგებდა ციხესიმაგრეებს, ეწეოდა კოლონიზაციას. დაიწყო კავკასიის ხაზის მშენებლობა, რომელშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი კაზაკური დასახლებების შექმნას ენიჭებოდა. კაზაკები დიდი მამაცობით და სიმტკიცით იცავდნენ თავს. სწორედ მათი ამ თვისებებისა და კაზაკთა ხელში მახვილისა და გუთნის შეხამებით შეძლო რუსეთმა შეექმნა უზარმაზარი იმპერია და ეფექტურად დაეცვა თავისი საზღვრები როგორც აღმოსავლეთში, ისე სამხრეთში“ (Баддели , 2007:44).

სამხრეთში ექსპანსიისათვის რუსეთის ხელისუფლება ეფექტურად იყენებდა კავკასიელი ხალხების სირთულეებსა და ინტერესებს. „ოსებთან რუსების მიერ დამყარებულმა კავშირებმა ჩრდილო კავკასიაში რუსების პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა. ამიერიდან რუსებს შეეძლოთ შეუფერხებლად გადაადგილება სამხრეთ კავკასიაში, საქართველოში, რომელიც მათ კავკასიაში გავლენიან მოკავშირედ ეგულებოდათ“ (კვიციანი, 2017:161).

მოვლენათა ასეთი განვითარება მიუღებელი იყო ოსმალეთისათვის. „თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეები ცდილობდნენ ნებისმიერი საშუალებით წინ აღდგომოდნენ რუსეთის გაძლიერებას შავ ზღვაზე და მზად იყვნენ საომარი მოქმედებებისათვის (История России (1682-1861), 1998: 258). ასეთ ვითარებაში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი გარდაუვალი ხდებოდა, მით უფრო, რომ ოსმალეთს ამკარად აქეზებდნენ ევროპის ქვეყნები ინგლისის თაოსნობით.

1787-1791 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო 21 აგვისტოს ოსმალთა თავდასხმით კინბურნზე, მაგრამ რუსულმა სამხედრო ნაწილებმა ა. სუვოროვის მეთაურობით მოიგერიეს მოწინააღმდეგე და შემდეგ შეტევაზეც გადავიდნენ. 1788 წ. რუსეთს ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა შვეცია და მოითხოვა ბალტიისპირეთისა და შავიზღვისპირეთის დატოვება. აქტიური საერთაშორისო იზოლაციის მიუხედავად, რუსეთის ჯარებმა შეძლეს როგორც შვედების, ისე ოსმალების დამარცხება, „1792 წლის დეკემბერში გაფორმებული ზავით რუსეთმა განიმტკიცა შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში მოპოვებული წარმატებები“ (История России (1682-1861), 1998:287). რუსეთის მიზანი რომ კავკასიის სრული დაპყრობა იყო ეს ამკარა გახდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან დამოკიდებულებით - არაერთგზის დაარღვია რა მფარველობითი ტრაქტატის პირობები, მან ერეკლე II 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის თავდსხმის დროს, მარტოლმარტო დატოვა. ცხადი გახდა, რომ „რუსეთს პერსპექტივაში არ აწყობდა ერთიანი და ძლიერი საქართველო. იგი ეხმარებოდა მას როგორც მოკავშირეს ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მანამ, სანამ ეს კავშირი მომგებიანი იყო თავად რუსეთისათვის“ (Дегоев, 2001:14).

ეკატერინე II ხელისუფლებამ აღა-მაჰმად-ხანის მიერ საქართველოს აოხრების შემდეგ ირანზე ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. კორპუსის მეთაურად დაინიშნა ეკატერინეს ფავორიტის პლატონ ზუბოვის უმცროსი ძმა ვალერიან ზუბოვი. 1796 წლის სამხედრო კამპანიის დროს რუსებმა იერიშითა აიღეს დერბენტი, შემდეგ დაიკავეს ბაქო, ყუბა, შემახა, ყარაბახი. როგორც ჩანს ამ ლაშქრობის მიზანი უფრო დიდი იყო, ვიდრე საქართველოს აოხრებისათვის სპარსეთის დასჯა. „გრავ პლატონ ზუბოვის გეგმით გამიზნული იყო კონსტანტინეპოლის დაპყრობა და საბერძნეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში შეყვანა. ეს გეგმა მოწონებული ყოფილა იმპერატორის მიერ. უმცროსი ზუბოვის მთავარსარდლად დანიშვნა კი ამ ვერსიას უფრო

სარწმუნოს ხდის“ (Баддели, 2007:62). მაგრამ ეკატერინე II მოულოდნელმა გარდაცვალებამ ეს ჩანაფიქრი ჩაშალა. ახალმა იმპერატორმა პავლე I ლაშქრობის შეწყვეტის და ჯარების თერგის ხაზზე დაბრუნების ბრძანება გასცა. ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები, უპირველესად კი ქართლ-კახეთი ირანის მხრიდან ახალი აგრესიის მუქარის ქვეშ აღმოჩნდა. კავკასიით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოს პოზიციის შეცვლა თავისთავად იწვევდა აქ არსებული ვითარების ცვლილებასაც. „საბოლოო ჯამში ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები დიდი პოლიტიკის უფრო ობიექტები იყვნენ, ვიდრე სუბიექტები“ (Внешняя политика России, 1960:51).

საფრანგეთის წარმატებები საფრთხეს უქმნიდა ინგლისის გავლენას. ამიტომ ბრიტანულმა დიპლომატიამ ყველაფერი იღონა მეორე ანტიფრანგული კოალიციის შესაქმნელად. მასში გაერთიანდნენ ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, თურქეთი და ნეაპოლიტანის სამეფო. „1798 წელს საფრანგეთის გავლენის დამყარება ჰოლანდიასა და შვეიცარიაში, ბონაპარტეს მიერ მალტის დაპყრობა და ლაშქრობა ეგვიპტეში გახდა საფრანგეთის წინააღმდეგ მეორე კუალიციის ჩამოყალიბების მიზეზი“ (История дипломатий, 2005:399).

საყურადღებოა, რომ საფრანგეთის საფრთხემ გააერთიანა ისეთი დაუძინებელი მეტოქეები, როგორებიც იყვნენ რუსეთი და ოსმალეთი. ნაპოლეონის პოლიტიკით უკმაყოფილო სულთანმა 1798 წლის სექტემბერში ომი გამოუცხადა საფრანგეთს, მანამდე კი - 1798 წლის ივლისში ბრწყინვალე პორას თხოვნით რუსეთის სამხედრო ეკადრა თ. უშაკოვის სარდლობით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. 1799 წლის 3 იანვარს გაფორმდა რუსეთ-თურქეთის სამოკავშირეო შეთანხმება (Петросян, 2003:264). ამ შეთანხმებით რუსეთის სამხედრო ფლოტისათვის ღია ხდებოდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, ხოლო შავი ზღვა რუსეთ-ოსმალეთის დახურულ ზონად ცხადდებოდა (История внешней политики России, 2000:143). ამრიგად, „ევროპა არაჩვეულებრივი მოვლენის მომსწრე გახდა - გაფორმდა თურქეთისა და რუსეთის კავშირი საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ (История дипломатий, 1959:359). 1798 წლის შემოდგომასა და 1799 წლის გაზაფხულზე რუსეთისა და ოსმალეთის გაერთიანებულმა ესკადრამ თ. უშაკოვის მეთაურობით ფრანგებისაგან გაათავისუფლეს იონიის კუნძულები (История России (1682-1861), 1998:329).

საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი გამწვავების პირობებში რთული რჩებოდა ვითარება საქართველოში. 1798 წელს ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი გიორგი XII ავიდა, რომელსაც საკუთარი ძმებიც კი არ უჭერდნენ მხარს. დაიწყო დაპირისპირება ბატონიშვილთა დაჯგუფებებს შორის. ასეთი დამაბული საშინაო და საგარეო მდგომარეობით შეწუხებული გიორგი XII რუსეთში ახალ „სათხოვარ პუნქტებს“ აგზავნის და ჯარსა და ფულად დახმარებას ითხოვს. 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII

გარდაიცვალა. რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა შექმნილი ვითარება და 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და იგი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა. „აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დაეცა არა მარტო, როგორც ქვეყნის შინაური კრიზისის მსხვერპლი, არამედ რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის წყალობითაც, რომელიც ძველთაგანვე მიისწრაფოდა ამიერკავკასიისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას“ (ცქიტიშვილი, 1982:40). ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე რუსმა პოლიტიკოსებმა „კარგად შეისწავლეს საქართველო, სწორად შეაფასეს მისი მნიშვნელობა ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში გაიცნეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და საქართველოს შექმნას რუსეთისათვის ისინი ეხლა უკვე სიკეთედ თვლიდნენ“ (ბერძენიშვილი, 1965:242).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი, 1965: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1965.

ბოცვაძე, 1990: – ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.), თბილისი, 1990.

ბულეიშვილი, 1991: – ბულეიშვილი მ., ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბილისი, 1991.

კვიციანი, 2017: – კვიციანი ჯ., კავკასია, თბილისი, 2017.

სვანიძე, 2007: – სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007.

სოხვაძე, 1996: – სოხვაძე ბ., რუსეთი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნეში, თბილისი, 1996.

ცქიტიშვილი, 1982: – ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბილისი, 1982.

Баддели , 2007: – Баддели Дж., Завоевание Кавказа русскими 1720-1860, Москва 2001

Внешняя политика России, 1960: – Внешняя политика России (документы Российского министерство иностранных дел), т. I, Москва, 1960.

Догаев, 2001: – Догаев В., Большая игра на Кавказе (история и современность), Москва, 2001.

Россия и восток, 2002: – Россия и восток, Санкт-Петербург, 2002.

История России, 1998: – История России, Москва, 1998.

История внешней политики России, 2000: – История внешней политики России, 18 век, Москва, 2000.

История народов северного Кавказа, 1988: – История народов северного Кавказа, Москва, 1988.

История России (1682-1861),1998: – История России (1682-1861), Москва, 1998.

История дипломатий, 1959: – История дипломатий, т. I, Москва, 1959.

История дипломатий ,2005: – История дипломатий , Москва, 2005.

Петросян, 2003: – Петросян Ю., Османская империя, Москва, 2003.

The Main trends of Georgian Historiography in the Era of Nationalism and the Concept of Historical Hero

ქართული ისტორიოგრაფიის ძირითადი ტენდენციები
ნაციონალიზმის ეპოქაში და ისტორიული გმირის კონცეფცია

Dodo Tchumburidze

PhD in History, Professor at Georgian University,
Chief Researcher at Tamaz Beradze Georgian Studies Institute

e-mail: dodochumburidze@yahoo.com

Tel: +995 599 96 64 19

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-6286-1708>

Abstract: In the second half of the 19th century, in Georgia, which was conquered by Russia, was born a new approach to historical science and the historical past of the country. The main goal of historiographic research of this century was the struggle for the restoration of the Georgian statehood abolished by Russia, the revitalization of history and the consolidation of the Georgian nation around the national idea and history of the Georgian nation. The memory of the historical past, when the country was strong and united, should neutralize the defeatist syndrome, nihilism and collaborationist sentiments in the Georgian people, at the same time, a reaction should be given to the conscious belittlement of the historical past of Georgia by the imperial ideologists, which they did to complete assimilation of the Georgian nation.

In Georgian historical consciousness was born a new concept of a historical hero.

The Russian authorities had to see the heroism of the kings of Georgia in the past, the dignity of the Georgian state and international recognition. In the press of the national direction (newspapers: "Droeba", "Iveriya", "Tsnobis Purtseli", "Kvali" and others) letters were printed about David Aghmashenebeli, George Brtskinvale, Tsar Iraklii and other Georgian kings, who fought to preserve and strengthen the Georgian statehood to defend the ethno-historical and cultural traditions were encouraged and served as an example for the people in their struggle against foreign expansion. Of special weight was the representation of the personality of David Aghmashenebeli as an example of the restorer and strengthener of the state on the brink of destruction. Also, many places were devoted to the display of heroism and public merits of Heraklion II. This last topic was directly related to the attitude of Russia to Georgia, the lack of understanding of the empire - the use of the Treaty of St. George and the steps taken by the Georgian king for rapprochement with Russia. The article talks about the relation of Georgian historical thought to the domestic and foreign policy of King Irakli II, the vicissitudes of the struggle for the throne and the point of view of the Georgian feudal society of the XVIII century on the topic of legitimacy, the context that historians of that time considered within the framework of the theme of the king-hero.

Key words: The Era of Nationalism, the Concept of a Hero, Georgian Statehood, David Agmashenebeli, Erekle II.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, თამაზ ბერამის სახელობის ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
ელ-ფოსტა: dodochumburidze@yahoo.com

ტელ: +995 599 96 64 19

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-6286-1708>

აბსტრაქტი: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში გაჩნდა ახლებური მიდგომა ისტორიული მეცნიერებისა და ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი. ისტორიოგრაფიულ კვლევების ძირითადი მიზანი გახდა რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა, ისტორიის აქტივაცია და ქართველი ერის კონსოლიდაცია ეროვნული იდეისა და ქართველი ერის ისტორიის გარშემო. იმ ისტორიული წარსულის გახსენებით, როდესაც ქვეყანა ძლიერი და ერთიანი იყო, უნდა მომხდარიყო ქართველ ერში დამარცხებულის სინდრომის, ნიჰილიზმისა და კოლაბორაციონისტული განწყობების ნიველირება, ამასთანავე, პასუხი უნდა გასცემოდა საქართველოს ისტორიული წარსულის მიზანმიმართულ დაკნინებას იმპერიული იდეოლოგიების მხრიდან, რასაც ისინი ქართველი ერის სრული ასიმილაციის მიზნით აკეთებდნენ. ქართულ ისტორიულ ცნობიერებაში წარმოიქმნა ისტორიული გმირის გმირის ახლებური კონცეფცია. რუსულ ხელისუფლებას უნდა დაენახა საქართველოს წარსულში მოღვაწე მეფეების გმირობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ღირსებები და საერთაშორისო ცნობადობა. ეროვნული მიმართულების პრესაში (გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“ და სხვ.) იბეჭდებოდა წერილები დავით აღმაშენებელზე, გიორგი ბრწყინვალეზე, ერეკლე მეფეზე და სხვა ქართველ მეფეებზე, რომლებიც იბრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად, ამხნევებდნენ ერს უცხოელთა ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა დავით აღმაშენებლის პიროვნების წარმოჩენას – როგორც განადგურების პირას მყოფი სახელმწიფოს ხელახლა აღმშენებლისა და გამამლიერებლის მაგალითს. ასევე, დიდი ადგილი ეთმობოდა ერეკლე II-ის გმირობისა და სახელმწიფო დედაქალაქის ჩვენებას. ეს უკანასკნელი თემა პირდაპირ პასუხობდა რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, გეორგიევსკის ტრაქტატის არასწორად გაგება-

გამოყენებას იმპერიის მიერ და ქართველი მეფის რუსეთთან დაახლოვებისთვის გადადგმული ნაბიჯების არასწორ გაგებას.

საკვანძო სიტყვები: ნაციონალიზმის ეპოქა, გმირის კონცეფცია, ქართული სახელმწიფოებრიობა, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე.

შესავალი: საისტორიო აზროვნება მჭიდროდ უკავშირდება ერის თვითშემეცნების, ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის თემას. ქართული ისტორიოგრაფია ყოველთვის ასახავდა და ასახავს ეპოქის ძირითად ტენდენციებს, ერგება იმ იდეოლოგიურ დაკვეთას, რაც ამ ეპოქის საზოგადოებას გააჩნია; მეცნიერებად ისტორიული აზროვნების გადაქცევა, ევროპის მსგავსად, საქართველოშიც მე-18 საუკუნეში დაიწყო. მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მთავარი მიზანი იყო იმ სულისკვეთების ჩანერგვა, რომ ქართველ ხალხს კვლავ შეეძლო გაერთიანება, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა (*ბაგრატიონი, 1983*); მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ამ მხრივ განსხვავებული იყო, რადგან არათუ ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის იდეა, მთლიანად სახელმწიფოებრიობის იდეა გაცამტვერდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარმა ამ თვალსაზრისით ახალი რეალობა შემოიტანა: ამ საუკუნის ისტორიოგრაფიული კვლევების ძირითადი მიზანი გახდა რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა, ისტორიის აქტივაცია და ქართველი ერის კონსოლიდაცია ეროვნული იდეისა და ქართველი ერის ისტორიული წარსულის გარშემო. გარდა დამარცხებულის სინდრომის, ნიჰილიზმისა და კოლაბორაციონისტული განწყობების დამარცხებისა, პასუხი უნდა გასცემოდა საქართველოს წარსულის მიზანმიმართულ დაკნინებას იმპერიული იდეოლოგიების მხრიდან, რასაც ისინი ქართველი ერის სრული ასიმილაციის მიზნით აკეთებდნენ. „თერგდალეულობა“ იმთავითვე წინააღმდეგობრივი შინაარსის მატარებელ ტერმინად იქცა. ამ დეფინიციის კონტექსტში მოიაზრებოდა ახალი იდეოლოგიის მქონე ჯგუფი, რომელიც ლიბერალური შეხედულებებით აქტიურად დაუპირისპირდა ძველი თაობის– კონსერვატორების აზროვნებას. „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარში“ დაწყებული პაექრობა ორ თაობას შორის არცთუ ისე მძაფრად და რადიკალურად, მაგრამ სადავო თემებზე საკმაოდ პრინციპულად მიმდინარეობდა. სადავო თემებად გამოიკვეთა ეროვნული იდენტობის მთავარი მარკერები, რაც იმპერიული ხელისუფლების მიერ ქართველი ერის ასიმილაციის მიზნებს დაქვემდებარებული, იდევენებოდა, ან ითრგუნებოდა. წარმოიშვა სრულიად ახალი მიდგომა ისტორიული თემებისადმი, ჩამოყალიბდა ისტორიული და მხატვრული გმირების ახალი კონცეფცია. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინეს დავით აღმაშენებლის, როგორც

ახალი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შემქმნელისა და ერეკლე მეორის, როგორც სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლებისთვის მამაცი მებრძოლის სახეებმა. პირველი – ნიჰილიზმისა და კოლაბორაციონიზმის მავნე მოვლენას დაუპირისპირდა, მეორე იმ რუსულ იმპერიულ ნარატივს, თითქოსდა ქართველმა მეფეებმა – ერეკლე მეორემ და გიორგი XII-მ საქართველო საკუთარი ნებით გადასცეს რუსეთს.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: საკითხის სიღრმისეული შესწავლა, უპირველესად, 60-იანელთა ნაწერებით, მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით, არის შესაძლებელი. ესაა: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და სხვათა შემოქმედება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მე-19 საუკუნის 60-80-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკაში განხილული თემები. ეს იყო ენის, სარწმუნოების, კულტურისა და განათლების, საქართველოს ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის გააზრების პროცესი. თავად ილია წერილში – „თერგდალეულნი და ახალი თაობა“, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა 1888 წელს, თერგდალეულების შესახებ წერდა: ეს თაობა „ჩაუკვირდა ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი ამისი ღირსება-ნაკლულევალება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. ვინც თვალხილული იყო და ყურთა სმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელჩასაჭიდებელი და საზრუნველი. ასე თუ ისე, საზოგადოებამ ცოტათი მაინც იგრძნო, რამდენად საჭიროა საკუთარი ვითარების გამორკვევა და შეგნება. ამის ნაყოფი იყო ისიც, რომ ჩვენმა მწერლობამ ხელი მიჰყო ძველის ვითარებისა და მწერლობის შესწავლასა. საზოგადოების ყურადღება და აზრი მიიპყრო იმანაც, რაიცა ამ დრომდე მივიწყებული და უკუგდებული იყო, და აი მაშინდელმა თაობამ ხელი ჩასჭიდა ამ მივიწყებულსა და საზოგადოებას მისდამი სიყვარული გაუღვიძა. გადაათვალიერეთ საუკეთესო ნაწერები იმ ძველის თაობისა და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი აზრი უსაბუთო და ქვიშაზე აშენებული არ არის. მას აქეთ თანდათანობით ძლიერდება საკუთარის წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარყოფს, რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც სამირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია.“ (ჭავჭავაძე 1986: 273). ნაციონალიზმის ისტორიასა და მის მოდერნისტულ გაგებას ბევრი უცხოელი მკვლევარი შეეხო. მათ შორის არის ინგლისელი მკვლევარი ენტონი სმითი. ის მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში ნაციონალიზმის აღორძინების გეოგრაფიასაც გვიხატავს, შეჰყავს ამ სიაში სომხეთი და არსად ახსენებს ქართველებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობისა და ნაციონალიზმის აღორძინებას ქართველ ხალხში. ის არც მე-20 საუკუნის 80-იანი წლების „გლასტონსტით“ მიღებულ შედეგს აკავშირებს საქართველოსთან, 1991 წელს

სსრკ-ს დაშლის მიზეზად ზოგად მოვლენათა შორის კავკასიის მოვლენებსაც ასახელებს, თუმცა, საქართველოს წვლილს ამ პროცესებში სრულიად არ ეხებ (სმითი: 2004).

საინტერესოა წიგნის ქართულად მთარგმნელის – პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილის მოსაზრებები ნაციონალიზმისა და ერების თვითგამორკვევის საკითხზე, ქართველი ერის იდენტობის პრობლემაზე, რომელზეც მას ბევრ სხვა ნაშრომთან ერთად საინტერესო თვალსაზრისი აქვს გამოხატული ენტონი სმიტის ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში (ჩხარტიშვილი, 2004).

ქართველთა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ერთობის შესახებ ბევრი უცხოელი მკვლევარიც საუბრობს, მათ შორის ამ საკითხზე სტივენ ჯონსიც მიუთითებს (ჯონსი 2007: 58, 59).

ნაციონალიზმის ჩამოყალიბებასა და მის მიერ განვლილ ეტაპებს ეხება მილოსლავ ჰროში, რაც ქართული ნაციონალიზმის მიერ განვლილ გზასაც ესადაგება (ჰროში 2007).

ჰროშის მიერ მოცემული ყველა მიმართულება ასახულია ქართველი მკვლევრების უამრავ ნაშრომში, ამ თემაზეა საუბარი ირაკლი ჩხაიძის ნაშრომში – ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“). კონკრეტულად, დავით აღმაშენებლისა და ერეკლე მეორის, როგორც ეროვნული გმირის ახლებურ კონცეფციაზე, ნაშრომი არ არსებობს. პრესის, პოლიევექტოვ კარბელაშვილის, ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელის), ალექსანდრე ფრონელის და სხვათა ჯერ შეუსწავლელი ისტორიული ნაშრომების გაცნობამ დაგვარწმუნა ნაციონალიზმის კონტექსტში ისტორიული გმირის ახლებური კონცეფციის საინტერესო გააზრებაში, ქართული ისტორიოგრაფიისათვის ამ თემის დამუშავების აუცილებლობაში.

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთ განპირობებულობისა და ურთიერთკავშირის დადგენის პრაგმატული მეთოდოლოგია, ასევე, ისტორიულ-შედარებითი, მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

დისკუსია (პირთადი ტექსტი): ის ნაციონალურ-სოციალური პროექტი, რაც 60-იანელებს ეკუთვნის, ქართული ნაციის (ქართველი ერის) და მისი ისტორიის ახლებურ გააზრებას ითხოვდა.. თერგდალეულთა წინააღმდეგობრივი მოძრაობა იმპერიის დამპყრობლურ -კოლონიური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებისადმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი შინაარსითა და ფორმით გაგრძელება, საქართველოს ისტორიაში ახალ ეტაპზე გადასვლას ნიშნავდა და ამას ჰქონდა როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კონტექსტი.

„ილიას გზის“ იდეას ის ეროვნული კონტექსტი ჰქონდა, რომ აუცილებელი გახდა წინააღმდეგობრივი მოძრაობის მშვიდობიანი მეთოდების გამოყენება: ეროვნული იდენტობის გამყარება კულტურული იდენტობით, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის აქტივაციით. ის მარცხის სინდრომი, რაც რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან აჯანყებებით დაპირისპირებამ გააჩინა, უნდა შეცვლილიყო ოპტიმიზმით, ახალი კულტურული და სოციალური პროექტების განხორციელებით (სკოლების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ბანკების და სხვა დაწესებულებების შექმნით), საშინაო მართვაში ავტონომიურობის მოპოვებისათვის ბრძოლით.

„ილიას გზის“ იდეის საერთაშორისო კონტექსტი – ეს იყო ევროპული ორიენტაცია, ახალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიღწევების დაუფლების აუცილებლობა განათლების გზით, ასევე, ახალი იდეებისა და იდეოლოგიების გაცნობა-გამოყენება, „შრომის ახსნა“, რევოლუციური ცვლილებების შეტანა ტრადიციად ქცეულ ცხოვრების წესში, რაც აღარ შეესაბამებოდა ახალ დროს (ამის ახსნას ცდილობს ილია თავის პუბლიცისტურ წერილებში, იმავეს აკეთებენ ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი და სხვ.).

მილოსლავ ჰროშის მიხედვით, ნაციონალიზმი ჩამოყალიბების პროცესში სამ გზას გადის: 1. კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; 2. „პატრიოტების“ ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანას; 3. საზოგადოების საყოველთაო მობილიზაციას. სამივე ეს ეტაპი კლასიკურად აისახა ქართველი 60-იანელების აზროვნებასა და მოღვაწეობაში. მათ დაიწყეს ენის დაცვითა და რეფორმირებით, ეთნო-კულტურული ღირებულებების წინ წამოწევითა და ქართველ ხალხში კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებით, ეროვნული ისტორიის აქტივაციით. ეს იყო მათი პირველი ნაბიჯები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მეორე ნაბიჯი ახალი ჟურნალ-გაზეთების („საქართველოს მოამბე“, „დროება“, „ივერია“, ცნობის ფურცელი“ და სხვ) და საგანმანათლებლო დაწესებულებების (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბა და მისი განათლების კერები) დაარსება და მათი საშუალებით ეროვნული იდეების ხალხამდე მიტანა იყო.

მესამე ნაბიჯი – საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია და დარაზმვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის გარშემო ხდებოდა იმ წინააღმდეგობრივი სულისკვეთებით, რასაც ისინი უპირისპირებდნენ რუსი მოხელეების ანტიქართულ ქმედებებს საქართველოში, ან, რა თვალსაზრისსაც გამოხატავდნენ რუსეთის სახელმწიფო ორგანოებში(სახელმწიფო საბჭო, სათათბირო).

მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში გაჩნდა გმირის ახლებური კონცეფცია, წარსულის ახლებურად გააზრება: რეალური თუ გამოგონილი ისტორიული პერსონაჟები, უნდა მორგებოდნენ იმ ახალ მოდელს, რასაც ნაციონალიზმის ეპოქა და ილია ჭავჭავაძის ეროვნული გზა გულისხმობდა ისტორიასთან მიმართებაში.

მწერალთა ტექსტებში (ილიას პუბლიცისტური და მხატვრული ტექსტები, აკაკის „თორნიკე ერისთავი“, „ბაში აჩუკი“, „თამარ ცბიერი“ და სხვ.,) ისტორიულმა თემატიკამ გამორჩეული ადგილი დაიჭირა. ერთ–ერთ წერილში ილია წერს: „ისტორია ის დიდებული ტაძარია, სადაც ერის ერთიან სულს უწირავს, სადაც თავის დიდებულ და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი აღუმართავს და მათზე, ვით საშვილიშვილო ანდერძი, დიდთა საქმეთა მოთხრობანი წარუწერია. ერი, რომელსაც ახსოვს ეს თავისი ერთიანი სულის წირვა, თავისი დიდბუნებოვანნი კაცნი, დიდთა საქმეთა ამბავნი, კეთდება, მხნევდება, გულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირსა თუ ლხინში. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუმაბუნდება არავითარ ზედმოსულ უბედურებასა და განსაცდელს. იგი გულგაუტეხელად იბრძვის და იღვწის, თავისი მამა–პაპის მაგალითითა და ანდერძით გამხნეებული“ (ჭავჭავაძე, 1984: 611).

ამ ნიშნით ქმნიდა ილია გმირთა სახეებს, გამონაგონსა თუ ისტორიულს, მაგალითად, ერის გულისთქმას გამოხატავდა მისი მხატვრული გმირი (გამონაგონი) ლელთ ლუნია.

აკაკი წერეთელმაც, მისი თაობის სხვა მწერალთა მსგავსად, განსაკუთრებული დატვირთვა მისცა ისტორიულ თემატიკას, იგი თავისი შემოქმედებითი მიზანდასახულების განხორციელებისათვის მოხერხებულად გამოიყენა. პოეტი წარსულის გამორჩეულ მომენტებს არ ტოვებდა უყურადღებოდ და მათ ხან მხატვრული, ხანაც პუბლიცისტური მსჯელობის საგნად აქცევდა. მის შემოქმედებით ინტერესში მოხვდა კოლხეთის მეფის ასულის – მედეას, გიორგი სააკაძის, თეიმურაზ კახთა მეფის, კახეთის აჯანყების მონაწილე გმირების – შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ერეკლე მეორის და სხვათა ისტორიული სახეები. პოეტმა სცადა მათი მხატვრული ტიპების შექმნა, ზოგ შემთხვევაში კი პუბლიცისტური ტექსტებით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ამ ადამიანთა ეროვნულ–საზოგადოებრივი ღვაწლის მიმართ. მართალია, აკაკის ზოგიერთი შეხედულება მის თანამედროვეებშიდაც კამათს იწვევდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ბევრმა მისმა თვალსაზრისმა შეინარჩუნა აქტუალობა, ბევრი პრობლემა ჩვენს ისტორიოგრაფიაში კვლავაც საკამათო თემად დარჩა. პოეტის ყველა შეხედულება გულწრფელი პატრიოტიზმის გამოხატვა იყო, მისი ყველა ნააზრევი, მეცნიერულად მისაღები თუ მიუღებელი, საინტერესოა, რადგან დიდი ქართველი პოეტისა და მოღვაწის სულიერი პორტრეტი, ამ ნააზრევის გარეშე, ვფიქრობ, სრული ვერ იქნება.

ცნობილია, რომ აკაკი აკრიტიკებდა და მტრების მიერ ქვეყნის აწიოკებაში ადანაშაულებდა კახეთის მეფე თეიმურაზ პირველს, ეროვნულ გმირად და დიდ პატრიოტად მიიჩნევდა გიორგი სააკაძეს, აქებდა და ადიდებდა რუს მოხელეს – მიხეილ ვორონცოვს, რაშიც არც ზოგი მისი თანამედროვე მოღვაწე ეთანხმებოდა. აკაკის შეხედულება, რეალურისაგან რაც არ უნდა განსხვავებული იყოს, მის პატრიოტიზმსა და გულწრფელობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. პოეტის ყველა თვალსაზრისს ჰქონდა მყარი არგუმენტაცია და მხოლოდ მის ეროვნულ სულისკვეთებას გამოხატავდა.

„თორნიკე ერისთავში“ ისტორიულ ფონზე ნათლად იკვეთება ქართველების სამხედრო ნიჭი და შეუდარებელი ბრძოლისუნარიანობა, მათი გამორჩეული საბრძოლო სტრატეგია და ტაქტიკა, ჰუმანურობა და მიმტევებლობის უნარი. ამ აზრს დიდი მხატვრული დამაჯერებლობით განამტკიცებს პოეტი მის მიერ გამოგონილი გმირებით –ჯავშანიძის, გამრეკელის, ორბელიძისა და ლომკაც სავარსამიძის ქმედებებით, თუმცა, ჩვენი ქვეყნის ისტორია სავსეა ამგვარი გმირებითა და ისინიც ბუნებრივად ისე ჩანან, როგორც ნამდვილი, ისტორიულად არსებული ქართველი გმირები.

პოეტმა მკითხველზე უფრო ძლიერი მხატვრული ზემოქმედების მოსახდენად ნაწარმოებში შემოიტანა გაბრიელ-სალოსის, ივერიის ღვთისმშობლის ხატის (პორტაიტის) ამბავი, რომელიც თავისთავად მართლმადიდებელი ქრისტიანი ერისთვის დიდი სასწაული და უფალთან ერთიანობის სიმბოლოა. პოემაში ამ სასწაულის ახლებურ განცდას აძლიერებს დააგვირგვინებს – ღვთისმშობლისადმი ლოცვა. ეს ფინალი, პოემის შესავალთან, რომელიც გენიალურ უვერტიურად აღიქმება, პოემაში გაბნეული ბუნების სურათების აღწერის, მიჯაჭვულ ამირანზე შექმნილი ლაშქრული სიმღერის ფონზე, ანუ სიმბოლურად მტრის მიერ დამონებულ საქართველოზე, რომელიც აუცილებლად „თავს აიწყვეტს“, კიდევ უფრო მაღლა სწევს მკითხველის ემოციურ განწყობილებას და პოეტის მხატვრული ოსტატობის კულმინაციის შთაბეჭდილებას ქმნის.

ისტორიულმა თემატიკამ მოიცვა ეროვნულ-დემოკრატიული პრესა, მისი ავტორები, მიუცხედავად იმისა, რომ ისინი არ ყოფილან პროფესიონალი ისტორიკოსები, მთელი ჩაღრმავებითა და სერიოზულობით ეკიდებოდნენ ისტორიული ხასიათის კვლევებს და მათში ეროვნული იდეალების განხორციელებისთვის საჭირო აზრს დებდნენ. ასეთები იყვნენ „ივერიისა“ „დროების“, „მოამბისა“ და სხვა გამოცემების ისტორიულ სტატიათა ავტორების – ალექსანდრე ფრონელის, ნიკო ხიზანაშვილის, პოლიევქტოს კარბელაშვილის და სხვათა სულისკვეთება.

განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა დავით აღმაშენებლის პიროვნების წარმოჩენას – როგორც განადგურების პირას მყოფი სახელმწიფოს ხელახლა აღმშენებლისადაგამაძლიერებლის მაგალითს. თუ კონსერვატორი „მამების ჯგუფი“ თამარს მიიჩნევდნენ საქართველოს სახელოვანი წარსულის

ერთადერთ სიმბოლოდ, “შვილებმა“ ეს მისია დავით აღმაშენებელზე გადმოიტანეს. ამ მხრივ საინტერესოა 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი საინტერესო ისტორიკოსის – ნიკო ხიზანაშვილის (ურბნელის) თხზულება – „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“; მანვე წამოსწია წინ იმავე ნიშნით, რითაც აღმაშენებელი, მეფე გიორგი ბრწყინვალე. თხზულებაში – „გიორგი ბრწყინვალე, მეფე საქართველოსი“ ის ქართულ საზოგადოებაში არსებულ ნიჰილიზმს გიორგი ბრწყინვალეს საუკეთესო მოღვაწეობის მაგალითით უპირისპირდება.

ასევე, დიდი ადგილი ეთმობოდა ერეკლე II-ის გმირობისა და სახელმწიფო ღვაწლის ჩვენებას. ეს საკითხი დააყენა და მეცნიერულად დაასაბუთა პოლიევქტოს კარბელაშვილმა. ეს უკანასკნელი თემა პირდაპირ პასუხობდა რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, გეორგიევსკის ტრაქტატის არასწორად გაგება-გამოყენებას იმპერიის მიერ და ქართველი მეფის რუსეთთან დაახლოებისთვის გადადგმული ნაბიჯების არასწორ გაგებას.

ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში საუბარი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ერეკლეს საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, ტახტისათვის ბრძოლის პერიპეტიებსა და ლეგიტიმურობის თემაზე, სტატიები გამოხატავდნენ მე-18 საუკუნის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების თვალსაზრისსაც, იმ კონტექსტს, რასაც ამდროინდელი ისტორიკოსები მეფე-გმირის თემის ქვეშ მოიაზრებდნენ. ერეკლე მეორეს „ივერიის“ და სხვა დემოკრატიული მიმართულების გაზეთები დადებით ჭრილში განიხილავდნენ. თუმცა, „კავკაზი“ არ ცნობდა ქართლის ბაგრატიონთა ლეგიტიმურ უფლებებს. მიუხედავად სასტიკი შურისძიებისა, რაც ერეკლემ გამოიჩინა პაატა ბატონიშვილის, ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟისა და მისი თანამზრახველების მიმართ 1765 წლის გამოსვლის გამო, ქართული პრესა მეფის მოწინააღმდეგეებს აკრიტიკებდა და მეფეს ხოტბას ასხამდა.

სამაგიეროდ, ქართულ პრესაში მოღალატე რუსი გენერლები დაუფარავად იყვნენ გაკრიტიკებულნი. პოლიევქტოს კარბელაშვილის ერთ-ერთი ვრცელი ნარკვევი შეეხებოდა რუსი გენერალ-მაიორის– გოტლიბ ტოტლებენისა და მისი თანმხლები, რუსეთის არმიაში მომსახურე გარუსებული ქართველი მაღალჩინოსნების მიერ ერეკლე მეორის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას.

სანამ კარბელაშვილის (ცხვილოელის) ეს ნარკვევი გამოქვეყნდებოდა გაზეთ „ივერიაში“, ილია ჭავჭავაძეს მოუხდა აზრის გამოთქმა ტოტლებენზე, „ქვათა ღაღადში“. ილიამ მკითხველს ტოტლებენის ცხოვრება და რუსეთისადმი შვიდწლიან ომში ღალატი, იმპერატორ ეკატერინესგან მისი დასჯა გაახსენა და პასუხი ასე გასცა ქართველთა სომეხ კრიტიკოსს: „ეს, რუსთა ოფიციალური დოკუმენტებით სამაგელი კაცი, ეს უსირცხვილო ადამიანი, მექრთამე, მყვლეფავი, ორგული, ცრუ და მახეზლარი იმოწმა ბატონმა ეზოვმა რომ

ქართველების სახელი ხელახლად ლაფში ამოავლოს, აი, ტოტლებენი რასა სწერს ქართველებზედაო.” (ჭავჭავაძე, 1984: 766-767).

ილიამ ნათლად დაინახა, რომ ტოტლებენის ღალატი ერეკლე მეფისადმი ერთი ახირებული გენერლის საქციელი კი არა, თავად იმპერიის დამოკიდებულების ამსახველი ქმედება იყო, მაგრამ ამას მაშინ ხმამაღლა ვერავინ იტყოდა, მათ შორის ვერც ილია ჭავჭავაძე. ამიტომ თემა კიდევ უფრო უნდა გაშლილიყო და დაკონკრეტებულიყო. ეს გააკეთა პ. ცხვილოელის სტატიამ – „გენერალ-მაიორი გოტლიბე გენრიხის ძე გრაფი ტოტლებენი და ირაკლი მეფე“ („ივერია“, 1891, №11). სტატია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც XIX საუკუნის II ნახევარში, ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა იდეოლოგიამ ისტორიის კუთხით მძაფრად შეუტია რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ და წინ წამოსწია მსგავსი ისტორიული ფაქტები. პ. კარბელაშვილმა ერეკლეს შესახებ რამდენიმე სხვა სტატიაც გამოაქვეყნა. 1765 წლის შეთქმულების შესახებ „მომამბეში“ („მომამბე“ 1896, №1), ასევე „მომამბეში“ „ერეკლე მეფე და ალექსანდრე ამილახვარი“, „მადანჩა და ერეკლე მეფე“ („საქართველო“, 1916, №№123-124), „ერეკლე მეფე და განაპირა პატარა ერები“, („საქართველო“, 1917, №13.), „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შედეგები“, რომელიც მონოგრაფიად ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა ჩვენამდე ფრაგმენტებია მოღწეული (სცსა, 1461, აღწ.1, საქმე საქმე 29, ფურც.10.).

ერეკლეს სახელმწიფოებრივ ცნობიერებასა და ღვაწლს ეხებოდა კარბელაშვილის სხვა სტატიებიც, მაგალითად: „ერეკლე მეფე, როგორც თავისი სამეფოს აღმაშენებელი, მისი ეკონომიური წარმატების მონატრე და მზრუნველი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერია“ გამოაქვეყნა („ივერია“ 1891წ. № 131). ამავე კონტექსტით „ივერიაში“ კარბელაშვილის მიერ გამოქვეყნდა ერეკლე მეორის წერილები და სიგელები („ივერია“ 1890, 1902, 1903).

ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული პოლიევექტოს კარბელაშვილის ერეკლესადმი ამგვარი დამოკიდებულება, მისი ნიჭისა და ავტორიტეტის ქება იგივე ქართული სახელმწიფოებრიობის დაფასებასა და მისი დიდი როლის ჩვენებას წარმოადგენდა. მის პუბლიკაციებში საქართველოს სამეფო კარი მისი ხალხისა და ქვეყნის ერთგულ დამცველად წარმოდგებოდა, არადა, რუსული იდეოლოგია საპირისპიროს ამტკიცებდა: როგორ გადასცა საკუთარი ქვეყანა და ხალხი საქართველოს სამეფო კარმა რუსეთს.

როგორც მკვლევარი ირაკლი ჩხაიძე წერს, იმპერიის რეაქციული პოლიტიკის და შეზღუდვების შედეგად, ნაციონალიზმის გამოვლინების არეალი საქართველოში მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ამის გამო იგი, ზოგჯერ, სიმბოლურ აქტებში გამოიხატებოდა. ასეთი სიმბოლური გამოხატვის ადგილად უნდა მივიჩნიოთ ქართული თეატრი, სადაც უდიდესი

წარმატებით იდგმებოდა პატრიოტულ თემაზე შექმნილი სპექტაკლები (“სამშობლო”, აკაკი წერეთლის “პატარა კახი” და სხვა.), ცნობილ მოღვაწეთა დაკრძალვების სახალხო ხასიათი. მაგალითად, ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟის, ერეკლე ბაგრატიონის გარდაცვალება 1882 წელს, თბილისში. მის დაკრძალვაზე მცხეთაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, ხოლო დაკრძალვის წინ ცხედრის საიდუმლო მეფედ კურთხევაც კი გამართეს. გარდა ამისა, ნაციონალიზმის გამოვლინების სიმბოლურ აქტებად უნდა განვიხილოთ კრწანისის ბრძოლისა და ერეკლე II-ის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი ღონისძიებები. (ჩხაიძე 2004:50-51).

„ივერიამ“, რომელიც ერეკლეს განადიდებდა, ვერ აიტანა მისი გარდაცვალებიდან 100 წლის საიუბილეო ზეიმისადმი ოფიციალური ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება: „რით გადაუხადა ესეთი ღვაწლი ტფილისმა მართლა-და მისთვის ღვაწლითმოსილ მეფეს იმ დღეს, როცა ქართველობამ მისდა საოხად და სახსენებლად წირვა-ლოცვა გადაიხადა?, – კითხულობდა გაზეთის რედაქტორი, – მით, რომ ტფილისის საბჭომ და გამგეობამ არც კი იკადრაწირვასა და პანაშვიდზედ დასწრებოდა. თუ მთელი კრებული საბჭოსი და გამგეობისა მეტის-მეტი პატივი იქნებოდა, მათის გაკადნიერებული აღმატებულობის ფიქრით, ერთი ორი წევრი მაინც გამოეგზავნათ!.. ვთქვათ არც ეს იკადრეს და არდაიმდაბლეს აღვირაშვებული თავი, თვით ქალაქის მოურავის მოადგილემ რატომ არ დაინახა საჭიროდ, რომ ამისთანა დღეს პატივი ეცა ქართველებისთვის და მობრძანებულიყო ეკლესიაში! რას შეუფრთხა? ნუთუ მომავლინებელთა თვისთა? მოვლინებულმა არ უღალატა განა თვისთა მომავლინებელთა და მათის უმართებულობის წინაშე დაივიწყა მოვალეობა ქალაქის მოურავის თანამდებობისა!...“ (ჭავჭავაძე 1984:682).

დასკვნა:

- ისტორიული აზრი ეპოქის ინტერესების გამომხატველი და ხელისუფლების იდეოლოგიური იარაღია, იგი მტკიცედ უკავშირდება ერის თვითშემეცნების, ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის თემას;
- მე-19 ს-ის 60-იანი წლებიდან ისტორიოგრაფიული კვლევების ძირითადი მიზანი გახდა რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა, ისტორიის აქტივაცია და ქართველი ერის კონსოლიდაცია ეროვნული იდეისა და ქართველი ერის ისტორიული წარსულის გარშემო.
- ქართულმა საისტორიო აზრმა შეიძინა როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კონტექსტი;

- მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში გაჩნდა გმირის ახლებური კონცეფცია, წარსულის ახლებურად გააზრება: რეალური თუ გამოგონილი ისტორიული პერსონაჟები უნდა მორგებოდნენ იმ ახალ მოდელს, რასაც ნაციონალიზმის ეპოქა და ილია ჭავჭავაძის ეროვნული გზა გულისხმობდა ისტორიასთან მიმართებაში.

- ისტორიულმა თემატიკამ მოიცვა ეროვნულ-დემოკრატიული პრესა, მისი ავტორები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ყოფილან პროფესიონალი ისტორიკოსები, მთელი ჩაღრმავებითა და სერიოზულობით ეკიდებოდნენ ისტორიული ხასიათის კვლევებს და მათში ეროვნული იდეალების განხორციელებისთვის საჭირო აზრს დებდნენ.

- გამორჩეული ფუნქცია დაეკისრა დავით აღმაშენებელს და ერეკლე მეორეს; ერთს ქართული სახელმწიფოებრიობის განახლებისა და აღორძინების გამო, მეორეს თავისუფლებისათვის დაუღალავი ბრძოლისა და იმ რუსული ნარატივის საწინააღმდეგოდ, თითქოს საქართველო და ქართველი ხალხი ერეკლემ და მისმა მემკვიდრემ ნებაყოფლობით უანდერძა რუსეთს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი, 1983: – თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა - საქართველოს ისტორიის წყაროები 33 - ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები IV - თბილისი - 1983;

2. „ივერია“, 1891, №11: – 3. ცხვილოელი (პოლიევქტოს კარბელაშვილი), გენერალ-მაიორი გოტლიბე გენრიხის ძე გრაფი ტოტლებენი და ირაკლი მეფე“, გაზეთი „ივერია“, 1891 წელი, №11;

3. „ივერია“, 1891 წ. № 131: – პოლიევქტოს კარბელაშვილი, „ერეკლე მეფე, როგორც თავისი სამეფოს აღმაშენებელი, მისი ეკონომიური წარმატების მონატრე და მზრუნველი“, „ივერია“, 1891 წ. № 131.

4. „ივერია“ 1890, 1902, 1903: – პოლიევქტოს კარბელაშვილი, მეფე ერეკლეს წერილები, გაზეთი „ივერია“, 1890, №№232 – 236, 249, გაზეთი „ივერია“, 1902 წელი, №№18, 54, 55, 101; „ივერია“ 1903, №№26ტ, 28, 31, 65, 69, 73, 104, 108, 110, 112, 115, 118, 120, 121, 127, 131.

5. „საქართველო“, 1916, №№123-124: – პოლიევქტოს კარბელაშვილი, „მადანჩა და ერეკლე მეფე“, გაზეთი „საქართველო“, 1916, №№123-124.

6. სმიტი, 2004: – ენტონი დ. სმიტი, „ნაციონალიზმი, თეორია , იდეოლოგია, ისტორია“, თბილისი, 2004.

7. სცსა, 1461, აღწ.1, საქმე29, ფურც.10 – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, პოლიევექტოს კარბელაშვილის პირადი ფონდი №1461, აღწერა 1, საქმე 29, ფურც. 10.

8. ჩხაიძე, 2004: – ირაკლი ჩხაიძე, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“), თბილისი, 2009.

9. ჩხარტიშვილი, 2004: – მარიამ ჩხარტიშვილი, შესავალი ენტონი დ. სმიტის წიგნისა – „ნაციონალიზმი, თეორია, იდეოლოგია, ისტორია“, თბილისი, 2004.

10. ჭავჭავაძე, 1986: – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1986.

11. ჭავჭავაძე, 1984: – ილია ჭავჭავაძე, ერი და ისტორია (დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე), თხზულებანი, ერთტომეული, შეადგინა მურმან ლებანიძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.

12. ჭავჭავაძე, 1984: – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ერთტომეული, შეადგინა მურმან ლებანიძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.

13. ჭავჭავაძე, 1984: – ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან, თხზულებანი, ერთტომეული, შეადგინა მურმან ლებანიძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.

14. ჯონსი, 2007: – ჯონსი, ფ. ს. სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917. თბილისი 2007.

15. ჰროში, 2007: – Hroch, M. `National Romanticism~ Diskourses of Collective Identity in Central and Souteast Europe(1770-1945); Volume Two: Nacionl Romanticism – The formation of National Movements, GEU PRESS, Budapest, New York, 2007.

The Cultural Heritage of the Pontic Greeks of the Black Sea Coast of Ajara

აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელ ბერძენთა
კულტურული მემკვიდრეობა

Teona Abuladze

PhD in Philology, Assistant professor at
Batumi Shota Rustaveli State University;

e-mail: teona.abuladze@bsu.edu.ge

Tel: +995 577 97 27 43

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-3622-1870>

Abstract: The article aims to highlight the language of the Pontic Greeks who live in the Adjara geographic area and reveal interdisciplinary and sociocultural specifications.

The research object is the language of the Ajara Black Sea Greeks in its social context. Studying Pontic Greek's life routine is one of the most urgent issue due to the necessity of ethno-cultural process analyses and importance of cultural influence studying that the newcomer Greeks and local dwellers underwent.

Studying Pontic Greek's life routine might become impossible in the future, because back-migration threatens losing value of historically established cultural values of the Greeks living in Georgia and Greek- Georgian unified cultural identity.

Key words: Linguistics, Pontic, Identity, Sociocultural, Heritage.

თეონა აბულაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ელ-ფოსტა: teona.abuladze@bsu.edu.ge

ტელ: +995 577 97 27 43

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-3622-1870>

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომი ეხება აჭარის შავიზღვისპირეთში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების კვლევას, ინტერდისციპლინარული და სოციოკულტურული ასპექტების გამოვლენას. პონტოელ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა, ცხადია, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რაც ეთნოკულტურული პროცესების განაალიზების

აუცილებლობით და იმ კულტურული ურთიერთგავლენების შესწავლის მნიშვნელობითაა განპირობებული, რომლებიც როგორც მოსულმა ბერძნებმა, ისე დამხვედურმა მოსახლეობამ განიცადა.

კვლევების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად უცხო ენათა გავლენებისა, სხვა კულტურათა შერწყმისა ტრადიციულ კულტურასთან, პონტოელი ბერძნები არ კარგავენ თვითმყოფადობას და ეროვნულ მენტალობას, ცდილობენ აქამდე მოტანილის შენარჩუნებას და რუდუნებით ასრულებენ წინაპართა წესებს, რაც მათი იდენტობის დასტურია. ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის, იდენტობის მთავარი დასტური კი მაინც ენაა. აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძნებმა კარგად იციან პონტოური და დღემდე ერთმანეთში ურთიერთობის ენად პონტოური აქვთ.

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, პონტოური, იდენტობა, სოციოკულტურული, მემკვიდრეობა.

უცხო ენობრივ გავლენებს, კულტურათა დიალოგის კვლევას, სოციოკულტურული ასპექტების გამოვლენას მნიშვნელოვანი შედეგების მოცემა შეუძლია კონკრეტული ენის განვითარების ისტორიის საერთო პროფილის დასადგენად. ენა ხომ, თავის მხრივ, უშრეტი წყაროა ტრადიციული ყოფითი კულტურის, ეროვნული მემკვიდრეობის, იდენტობის ნიშანთა სისტემისა. იმ ნიშანთა სისტემისა, რომლებიც ერის არსებობის თვითმყოფადობის, მენტალობის მთავარი დასტურია.

პონტოური გავრცელებულია ძირითადად ანატოლიის მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, მიგრაციის შედეგად ამ დიალექტზე მოლაპარაკენი ცხოვრობენ სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოშიც (გორდეზიანი, 2001:17).

წინამდებარე სტატია ეხება კონკრეტულად აჭარის შავიზღვისპირეთში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის კვლევის საკითხს. ჩვენს მიზანს წარმოადგენს პონტოელთა ყოფის სოციოკულტურული ასპექტების გამოვლენა, რაც მათი იდენტობის, მენტალობის მთავარი მახასიათებელი ნიშანია.

პონტოელ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა, ცხადია, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სამომავლოდ, შესაძლოა, შეუძლებელი გახდეს პონტოელი ბერძნების ტრადიციული ყოფის შესწავლა, რადგანაც უკუმიგრაციები საქართველოში მცხოვრები ბერძნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ ფასეულობებს და ტრადიციული ცხოვრების წესის ბერძნულ-ქართული ერთიანი კულტურული იერსახის დაკარგვის საშიშროებას ქმნის.

საკვლევად, ძირითადად, ვიყენებთ საველე მუშაობის დროს სპეციალური კითხვარის მიხედვით ჩვენ მიერვე შეგროვებულ ემპირიულ მასალას, რომელიც მოპოვებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა“ ფარგლებში.

საკითხის კვლევისას ვიყენებთ საველე მეთოდს, რაც ველზე, ბუნებრივ პირობებში მასალის შეგროვების მიზნით, ენის, ტრადიციულ-ყოფითი კულტურის კვლევის საშუალებას გვაძლევს. გამოვიყენეთ დაკვირვების და ანალიზის მეთოდებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალმხრივი უცხოენობრივი გავლენებისა, პონტოური დიალექტი არ კარგავს თვითმყოფადობას, რაც ბერძენთა მეობის, იდენტობის დასტურია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჭარის შავიზღვისპირეთიდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა შორის შეინიშნება მცდელობა, შვილებს, შვილიშვილებს ასწავლონ პონტოური, რომ არ დაიკარგოს მათი ენა და გადაეცეს თაობიდან თაობას.

„სამი წლის იყო ჩემი ბიჭი, რომ იქ მივეცი, ისწავლა ბერძნული სუფთა ენა. მერე მე შემეშინდა და ვუთხარი, რომე სახლში უნდა ვილაპარაკოთ პონდიურათ, რომ ბავშვი არ დაავიწყდეს, რომ იცოდეს“ (მარია სალვარიდი, სოფ. დაგვა) - ცდილობენ, შვილების თაობამ მაინც იცოდეს პონტოური ენა.

პონტოელი ბერძნები მორწმუნეები არიან და დიდი რუდუნებით ასრულებენ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. ცნობილია, თუ როგორი ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა თურქებსა და თურქების გარემოცვაში მოქცეულ ბერძენთა შორის, ვინაიდან „ბერძნებისთვის მართლმადიდებლური ეკლესია მხოლოდ სალოცავს არ წარმოადგენდა, ეს იყო „ხალხთა თავმოყრის ადგილი“, ერთგვარი სათათბირო (ბერძენიშვილი..., 1990:41). ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ბერძნები განსაკუთრებული ძალისხმევით ზრუნავენ ეკლესიებზე, რომლებიც თავად ააშენეს ძველ ქართულ ეკლესიათა ნანგრევებზე. წირვა-ლოცვას ბერძნულ ენაზე ატარებენ. ყველა წმინდა რელიგიურ დღესასწაულს ერთად ზეიმობენ, გარდა ამისა, ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან ეკლესიაში. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შენახვისა და გაფრთხილების მცდელობები ნათლად აისახება ენაში.

ბერძნულ ეკლესიებს წმინდანების სახელებს არქმევენ, ერთ პატარა ეკლესიას კვირიკეში **აიას კერეკის** ეძახიან. **აიას კერეკი** – სახელდებას ასე ხსნიან: ერთი მოხუცი ქალი ყოფილა და უთქვამს, მოდი, ერთი უქმე გავაკეთოთო, ანუ დასვენების დღე გამოვაცხადოთო, გამომდინარე იქედან, რომ კვირა დღე დასვენების დღეაა გამოცხადებული და კვირა ბერძნულად ითქმის **კირიაკი**, ეკლესიისთვის დაურქმევიათ **კერეკი <კირიაკი**.

ეროვნული მემკვიდრეობის დაცვას აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელები პონტოურ სამზარეულოშიც ცდილობენ. ხშირად ამზადებენ პონტოურ კერძებს, ჩამოთვლიან:

ღალატოფაი, ბრინძოსილ - ეძახიან, (რიზი), ვრასტი, ლახანა, ჩურვან, ხასილია, ხავიწ, ტრიმან, კრომიზატონ, ტილანია, ხაფსოპულია, კარტოფლინ.

ვრასტის მომზადება: „ფხალი, ჭარხალი, პრასა, ქინძი, მაკილო, ყველაფერს ურევთ, კიდევ რაცხა ბალახი არის, იმასაც ურევთ, ბერძნულია. ნიორიც უნდა, პირპილა უნდა, კორკოტა უნდა“ (კვირიკე).

კინდეატას ჭინჭრისგან დამზადებულ კერძს ეძახიან. **ჯინჭრი შორვას** ზემოაჭარაშიც ამზადებენ და აღმოსავლეთშიც იციან. კერძის მომზადების რეცეპტი ერთნაირია, თუმცა კერძი თავად რამდენად პონტოურია, ძნელი სათქმელია. აქ მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ბერძნულ სახელს არქმევენ, რაც იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი მახასიათებელია. შდრ. თანამედროვე ბერძნულად ჯინჭარს ეძახიან (τσουκνίδα - ცუკნიზა).

შავშურ მასალებშიც დასტურდება **ჯინჭრი შორვა**, რასაც ჭინჭრით დამზადებულ წვნიან კერძს ეძახიან.

ამზადებენ **ხავიწს**, კაიმალით და მჭადის ფქვილით. იმერხევის მასალებში „ხავიწი“ ნაღბისგან კეთდება. აჭარულშიც ფართოდაა გავრცელებული ეს კერძი და ასევე ნაღბს, ფქვილს და კარაქს იყენებენ მის დასამზადებლად, თუმცა აღნიშნავენ, რომ კერძი ბერძნულია.

ამზადებენ კერძს **ღულია** – „ლახანას ვუძახით ბერძნულათ, შავი ფხალი რომ არის. სიმინდს ცოტა მოხალავთ, მერე იმას, კრუპნი უნდა იყოსო.. მაგი და ხმელი ლობიო ერთათ იხარშება. სანამ ის მეემზადებოდეს, მერე წვრილათ გარეცხილ ფხალს ვჭრი და ვდობთ შიგნით და იგიც რომ მეიხარშება და არის მზად, მერე მოთუშავ ზეთში ხახვს, ხოდა მერე იმას მოხალავენ ჩაყრიან მარილს და ვსიო. ქვია იმას „ღულია“. ესაა ბერძნული ღულია (კვირიკე). აღნიშნული კერძი ახლოსაა აჭარულ **ფხალ-ლობიოსთან**.

„ღალატოკოლონ“ რეცეპტია, - გაჭრი ხაპს, კანს მოაცილებ, იგი მეიხარშება, მერე ჩაასხამ რძეს, ხოდა ქაშივით კეთდება.. ისევე მზადდება, როგორც აჭარაში **„ხაპიშორვა“**.

„კერძებს ახლა ყველაფერს ვერ გეტყვი მე, რა სახელი უნდა გითხრა.. **ხაფსოპულია** კაია, დამარილებული ხამსიადან ვაკეთებთ, ხამსიას ვამარილებთ“ (კვირიკე). ლობიოსგან დამზადებულ კერძს **„ფასულიას“** ეძახიან. იციან **ზომერა ფასულია** – წვნიანი ლობიო და **სტერნა ფასულია** – მშრალი ლობიო, – „უწვეწვით შეკაზმული“ (ახალშენი). როგორც თავად აღნიშნავენ, პონტოელები წვნიან ლობიოს ამზადებენ ძველთაგანვე, თუმცა როცა აჭარაში დასახლდნენ, მათგან ისწავლეს მშრალი ლობიოს დამზადება, – „შეკაზმული ლობიო რომაა, ესეიგი უწვეწვით, იმას ვუძახით ქართულ ლობიას, ქართველების ლობიას“.

წადილის მოსამზადებლად ხარშავენ პურის „კეკალს“, მერე გაწურავენ „დრუშლაკში“, მერე „სტოლზე დააფენ ტილოს და კოვზით კიდო მოურევ დროგამომშვებით. ის იქნება თითო-თითო. იმას დიდ თასში ჩამოვყრი, მაქ დამზადებული მოხალული პურის ფქვილი, დანაყილი ნიგოზი, შაქარი მზათ სტოლზე და „არნამენტს“ ვაკეთებ. ზემოდან ვაფორმებ ჯვარი და მშრალი რჩება“ (**ბათუმი**). წადილს ბერძნულად „**კოლივა**“ ქვია.

სააღდგომო პასკის საკუთარი რეცეპტი აქვთ, „**პონდიურ პასხას**“ ეძახიან.

ახალ წელს აცხოვენ ტრადიციულ – **პიტას** (ერთგვარი ნამცხვარია), რომელსაც ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც ხაჭაპურს საქართველოში.

„პიტაში „კაპიკს“ ვდეფ, როგორც კეიკი (სხვა – პონტიურად ჩურეკია). მერე ვჭრი ნაჭრებად. არ ვუყურებ სადაა და ვჭრი. მერე მიდის. მე ვარ უფროსი, მერე ჩემი ბიჭი, მერე ჩემი რძალი და მერე ბავშვები. მაი დედა აკეთებდა, ბებია აკეთებდა. ეს ბერძნულია. აკეთებენ იქაც“ (**დაგვა**).

საინტერესოა პონტოური სამზარეულოს შედარება სხვა ქვეყნების (ქართული, თურქული..) სამზარეულოებთან და კერძების ინტეგრაციის გზების კვლევა, რაც კიდევ ერთი დასტურია კულტურათა შერევის ხანგრძლივი პროცესისა.

მიცვალებულის გასვენებისას ელოდებიან ჭირისუფალს საბერძნეთიდან და ისე ასვენებენ, განსაკუთრებული კერძი აქვთ – **კოკია**, მას გასვენების დღეს აკეთებენ, გასვენებიდან მეცხრე და მეორმოცე დღესაც კეთდება. **კოკიას** ძირითადად კაცები ამზადებენ, ქალმა არ უნდა გააკეთოს, „**კანონას**“ (წადილი) აკეთებენ, წინ მიდის კანონა და მერე ჯვარი. აღნიშნავენ, რომ შავებს იცვამენ ორმოცი დღე, „მეზობელს ორმოცი დღე, მთავარი მეზობელია, კაი, გლახა - მეზობელია“.

მეტ-ნაკლებად განსხვავებული სააღდგომო ტრადიცია აქვთ. აღდგომის დღეს ოჯახში დღესასწაულობენ, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, კვირა დღეს მიდიან საფლავებზე, მიცვალებულთა მოსახსენიებლად, რასაც **ფომას** ეძახიან.

ხილის ჯიშების ჩამოთვლისას (დემირალა ვაშლი, ფაშა მსხალი, თეთრი გულაბი, სხალყვითელა, მესხიძურაი..) იხსენებენ განსაკუთრებული არომატის მსხალს, რომელსაც ბერძნული სახელი ქვია „**ქიტრონაფე**“ – ბაბუის სამოსახლოზე ყოფილა გაზრდილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კიდევ ერთი დასტურია ის, რომ შვილებს ბერძნულში გავრცელებულ სახელებს არქმევენ, როგორცაა:

ხრისტო, ლაზარე, ესტაფი, პავლე, ტრიანდაფილე, პანაიოთი, გიორგი, იანე (ივანე), კონსტანტინე, თეოდორე, ლისანდრე, ნიკოლოზი, ანესტი, სტავრო, სპირიდონი, ვასილი, ჰერიკლი, პავლე, ლისანდრე, ტრიანაპოლი, ქალის სახელებში კი ჭარბობს: მარიამი, ეფიმია, ემორფილე, მორფილი, ევრიკლი, ელენე, ანთიგონა (ანთიღონა), მარინა, ანგელინა, არღირო, სოფიო, ზინა, ქსენია, მარგარიტა, ოლღა...

შვილებს სახელს ბებია-ბაბუის საპატივცემულოდ არქმევენ. შვილებიდან ვიღაცა მაინც უნდა ატარებდეს მშობლის სახელს. „ბებიაჩემს რვა შვილი ყავდა და იმდენი შვილიშვილებიდან მე მომცენ ბებიაჩემის სახელი -ეფიმი“ (ახალშენი).

პონტოელი ბერძნების საქორწინო ტრადიციათა ციკლს მიეკუთვნება საქორწინო მაცრიონისთვის ბაწრის გაბმის ტრადიცია. ეს ტრადიცია არც ქართული კულტურისთვის არის უცხო, განსაკუთრებით გავრცელებულია აჭარულში, ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც და დღემდე სრულდება. თუმცა განსხვავებით აჭარულისა, სადაც ბაწრის გაბმის ტრადიცია ძირითადად სრულდება პატარძლის წაყვანისას (პატარძლის „გატანების“ სანაცვლოდ სიძის, ზოგჯერ მეჯვარის მხრიდან თანხის გადახდის მიზნით) პონტოელ ბერძნებში ეს ტრადიცია ქათმის გამოსყიდვის სახელითაა ცნობილი. ბაწარს გააბამდნენ სიძე-მაცრიონის მოსვლისთანავე. პატარძალთან შესვლის ნებართვის სანაცვლოდ, სიძის მეჯვარეს ქათამი უნდა გამოესყიდა, რომელიც სპეციალურად საქორწინოდ იყო მორთული.

ქორწილში ცეკვავენ ტრადიციულ ცეკვას – „კოჩარი“, თუმცა არც „სემსოროკი“, „განდაგანა“, „შალახო“ ავიწყლებათ.

პონტოელ ბერძენთა ყოფისთვის დამახასიათებელია ნიჟარების ასხმა ე.წ. სათვალოები, რაც ოჯახისა და კარმიდამოს თითქის ყველა ელემენტზე გვხვდება, თვალსაჩინოდ არის მიმაგრებული და ბერძენთა გადმოცემით ოჯახს ავი თვალისა და ბოროტი ძალებისგან იცავს. მსგავსი სათვალოები არც სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაა უცხო საქართველოში ხშირია ხარის რქა, ნალი, ჯინჭარი, ეკალი, პიმპილი... საქართველოში ნიჟარას აკვანზე დაკიდებენ - ბავშვი არ გაითვალოსო.

რელიგიისადმი დიდ სიყვარულსა და წინაპართა პატივისცემაზე მეტყველებს პონტოელ ბერძენთა ოჯახებში განთავსებული სალოცავი კუთხე, რასაც ხატების კუთხეს ეძახიან, სადაც დიდი სიყვარულით უვლიან და უფრთხილდებიან ხატებს, რომელთა შორისაც მათ წინაპართა მიერ საბერძნეთიდან ან ტრაპიზონიდან წამოღებული ხატები ინახება დღემდე. მას შემდეგ თაობიდან თაობას გადასცემენ თვით ხატებს და ხატებთან დაკავშირებულ წინაპართა ისტორიებსაც.

„(ხატებს) ბერძნები ზოგადად წინაპრებს უწოდებენ, რომლებიც სამშობლოსთან, საბერძნეთთან და მცირე აზიასთან -ტრაპიზონის მხარესთან დამაკავშირებელ ერთგვარ უხილავ ძაფებს წარმოადგენდნენ“ (გიორგაძე..., 2017:88).

ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის ნიშანი უნდა იყოს სპეციფიკური სასაფლაოები, რომელთაც ოთხი ძირითადი ნიშანი აერთიანებთ: ოთხკუთხა და მომალლო ფორმა-მოყვანილობა, ეპიტაფია ბერძნულად შესრულებული, ქვაზე ზემოდან დადგმული ჯვარი და

სასანთლე, რომელიც ზოგან საფლავის ქვაშია გამოკვეთილი, ზოგს სპეციალური დასახური კარიც აქვს (იხ. გიორგაძე..., 2017).

ილია წინასწარმეტყველის დღესასწაულზე დღისით თანასოფლელები ერთმანეთს შეხვედრისა და დამშვიდობებისას მისალმების ნაცვლად ურთიერთს მიმართავდნენ როგორც „ნა ვოითა“, რაც ნიშნავს - „დაე მან გვიშველოს“.

ბერძნული საზოგადოების რელიგიურმა, კულტურულმა და სულიერმა ცხოვრებამ განაპირობა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება უცხო მიწაზე.

უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრილი ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფები ყოველთვის ცდილობდნენ სათუთად დაეცვათ მათთვის დამახასიათებელი ტრადიციები, ყოფითი რეალიები, კულტურა და ენა, რაც ეროვნული მეობისა და ეროვნული ცნობიერების დაცვის ტოლფასი იყო. სწორედ კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტობის დაცვამ შეაძლებინა პონტოელ ბერძნებს როგორც ანატოლიაში, ისე სხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოში, ეთნიკური მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება (გიორგაძე..., 2017: 287).

მემკვიდრეობითი ღირებულებების შენარჩუნებას ხელს ისიც უწყობდა, რომ მეზობლად მცხოვრები ლოკალურ-ნათესაური ჯგუფის წევრები ურთიერთობათა ყველა სფეროში ერთად იყვნენ, რაც განსხვავებულ ეთნიკურ გარემოში საკუთარი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გამოხატულებაა.

ბერძენთა კულტურული მემკვიდრეობის, **იდენტობის მთავარი დასტური** კი მაინც **ენაა**. აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძნებმა კარგად იციან პონტოური და დღემდე ერთმანეთში ურთიერთობის ენად პონტოური აქვთ.

ბერძენთა იდენტობის, თვითმყოფადობის საკითხებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია, რომ ეს ბერძენთა მასობრივი ცნობიერებით ასახული კულტურაა, რომელიც ბერძენი ხალხის მეტყველების, ეროვნული ცნობიერების და კომუნიკაციის თავისებურებებს ავლენს. ეს იმ კულტურის ნაწილია, რომელიც მათ მეხსიერებას შემორჩა და დღემდე მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს თვითმყოფადობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი..., 1990: – ბერძენიშვილი ლ., გარაყანიძე ი., გორდეზიანი რ., მიქაბერიძე ა., ტონია ნ., ფხაკაძე მ., შახპაზიდი მ., ჩეპიდი ა., ჯანაშია ნ., „ბერძენები საქართველოში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი.

2. ბერძნულ-ქართული, 2005: – ბერძნულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი; „Ελληνο-Γεωργιανο λεξικο“, რედაქტორი ლელა ხოჭოლავა, თბილისი.

3. გიორგაძე..., 2017: – გიორგაძე მ., მგელაძე ნ., ტუნაძე თ., ძნელაძე ნ., ლორია მ., აბულაძე თ., ჩხარტიშვილი ს., „პონტოელი ბერძნები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა“, გამომც. „ემ ჯი ემ“, ბათუმი.

4. გორდეზიანი, 2001: – გორდეზიანი რ., დარჩია ი., შამანიდი ს., „ძველი და ახალი ბერძნული შედარებითი გრამატიკა“, „ლოგოსი“, თბილისი.

Type of Residential House from Khelvachauri

საცხოვრებელი სახლის ტიპი
ხელვაჩაურიდან

Jemal Varshalomidze

PhD in History, Chief scientific researcher,
Niko Berdzenishvili Institute,
Batumi Shota Rustaveli State University;
e-mail: jemal.varshalomidze@bsu.edu.ge

Tel: +995 599 67 34 21

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-2690-3020>

Abstract. The monuments of material culture of different parts of Georgia reflect the level of cultural-historical, socio-economic development and ethnic characteristics of its own population. In this regard, special attention must be paid to the residential and agricultural buildings of Adjara, which have reached the ethnographic reality, which are distinguished by their constructive-architectural characteristics, the use of construction-technical methods and artistic-decorative value.

The paper aims at the ethnographic study of the house of Memed Varshalomidze in the village of Varshalomidzeebi, municipality of Khelvachauri, which was built around the second half of the 19th century. The house is completely destroyed, but its study and introduction into scientific circulation will contribute to the research of residential houses in South-West Georgia, to distinguish a new and different type. Although the architectural sketch of the house was published, nothing was said about the family, the purpose of the paper is to discuss the ethnographic aspects and economic factors that influenced the construction of the house of this plan. The house is also remarkable for the fact that it preserved the samples of folk decorative ornaments, both in the interior and exterior. The peculiarity of the decor lies in the fact that it is a rarity, and its content is based on views from ancient times, such as the motif of the tree of life with the female and male snakes protecting the apartment.

Key words: Khelvachauri, house, fireplace, ornament

ჯემალ ვარშალომიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,

ელ-ფოსტა: jemal.varshalomidze@bsu.edu.ge

ტელ: +995 599 67 34 21

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-2690-3020>

აბსტრაქტი. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლები გარკვეულად ასახავს მისი შემოქმედი მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და ეთნიკურ თავისებურებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩვენამდე მოღწეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, რომელიც გამოირჩევა თავისი კონსტრუქციულ-ხუროთმოძღვრული მახასიათებლებით, სამშენებლო-ტექნიკური ხერხების გამოყენებითა და მხატვრულ-დეკორატიული ღირსებით.

ნაშრომი მიზნად ისახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარშალომიძეებში მემედ ვარშალომიძის სახლის ეთნოგრაფიულ შესწავლას, რომელიც აშენდა დაახლოებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სახლი ამჟამად დანგრეულია, მაგრამ მისი შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა ხელს შეუწყობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი სახლების კვლევას, ახალი განსხვავებული ტიპის გამოყოფას. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული იყო სახლის არქიტექტურული ჩანახატი, არაფერი იყო თქმული ოჯახის შესახებ. ნაშრომის მიზანია ეთნოგრაფიული ასპექტებისა და ეკონომიური ფაქტორების განხილვა, რამაც განაპირობა ამ დაგეგმარების სახლის მშენებლობა. სახლი აღსანიშნავია იმითაც, რომ დაცული იყო ხალხური დეკორატიული შემკულობის ნიმუშები, როგორც ინტერიერში, ასევე ექსტერიერშიც. დეკორის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იშვიათობაა და მის შინაარსობრივ საფუძვლებს წარმოადგენს უძველესი დროიდან მომდინარე შეხედულებები, როგორცაა სიცოცხლის ხის მოტივი ბინის მფარველ დედალ-მამალ გველებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: ხელვაჩაური, სახლი, ბუხარი, ორნამენტი.

შესავალი: საცხოვრებელმა ნაგებობამ აჭარაში განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უძველესი ნაკვალევი არქეოლოგებმა აჭარის ალპურ ზონაში – ბულულას სერზე (ხულოს მუნიციპალიტეტი) დაადგინეს, რომელიც ძველი ქვის ხანითაა დათარიღებული. აქ ნაპოვნია ანდეზიტ-ბაზალტისაგან დამზადებული

მარტივი იარაღები დროთა განმავლობაში უფრო ეფექტური ნეოლითური, ენეოლითური, მოგვიანებით კი ბრინჯაოსა და რკინის ბასრი იარაღებით შეიცვალა. იარაღების ტექნიკურმა განვითარებამ ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ხე-ტყით მდიდარ მხარეში ხის დამუშავების კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. მრავალპროფილიანმა ხელოსნობამ, მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ყოფითი მოთხოვნებიდან გამომდინარე, განაპირობა მატერიალური კულტურის, კერძოდ, აღმშენებლობითი სფეროს მეგალითებიდან და კუმტულებიდან დაწყებული, უფრო მოგვიანო პერიოდის დარანების, ჯიხურების, კოშკების სახით დაწინაურება. ცნობილია, მუდმივი თუ სეზონური სადგომ-სათავსოები: ფაცხების, ყუდე-ქოხების, კარვების/ჩადირის არსებობა. მრავლისმთქმელია: ვანი//ნავანები//სავანე, ნაოდვარი//ნაოდიევი, დარბაზული და ა.შ. აღნიშნული ტერმინები, მატერიალური კულტურის ამსახველი ტოპონიმური მემკვიდრეობაა, რაც მრავალწახნაგოვანი ისტორიული სპექტრის მომცველია. უდაოდ საინტერესო და დიდი ინფორმაციის შემცველია XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქვემო აჭარაში აგებული საცხოვრებელი სახლების შესწავლა.

ლიტერატურის/წყაროების მიმოხილვა: საცხოვრებელი სახლების კვლევას აჭარაში დიდი ხნის ისტორია აქვს. სხვადასხვა დროს ამ პრობლემას სწავლობდნენ დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, თედო სახოკია, გიორგი ჩიტაია, ივანე ჯავახიშვილი, ილია ადამია, მიხეილ გარაყანიძე, ალექსი რობაქიძე, თეიმურაზ ჩიქოვანი, ვლადიმერ მგელაძე, ნუგზარ მგელაძე, ლონგინოზ სუმბაძე, ჯემალ მიქელაძე. საკვლევ სახლთან დაკავშირებით საფუძვლიანი გამოკვლევა დღემდე არ არსებობდა.

მეთოდოლოგია: კვლევის ჩასატარებლად გავეცანით სპეციალურ ლიტერატურას, წყაროებს. შევეცადეთ, დაგვედგინა ამ სახლის არამარტო ხუროთმოძღვრული, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები. ნაშრომი შესრულდა უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდით, რომელიც შეჯერდა საარქივო (ოსმალურ) დოკუმენტებთან.

დისკუსია (ძირითადი შედეგები): ნაშრომის მიზანია სოფელ ვარშალომიძეებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული სახლის ეთნოგრაფიული რაკურსით შესწავლა. სახლი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიშალა. იგი თავისი დაგეგმარებით, ინტერიერისა და ექსტერიერის დეკორატიული შემკულობის გამო წარმოადგენს საცხოვრებელი სახლის გამორჩეულ ტიპს. ამიტომ მისი სიღრმისეული შესწავლა საჭიროდ მივიჩნიეთ. აღნიშნული სახლით ჩვენ დავინტერესდით ჯერ კიდევ 1969 წელს. ბატონ ნოდარ კახიძესა და გურამ ჟვანიასთან ერთად მოვინახულეთ

სახლი, გადავიღეთ ფოტოები. გ. ჟვანიამ არქიტექტურა დააფიქსირა (მიქელაძე, 1982: 78), ასევე ჩავიწერეთ ეთნოგრაფიული მასალა.

სახლი ორსართულიანი იყო, ოთხფერდა გადახურვით. ქვედა სართული ქვის, ხოლო ზედა ხის იყო. სახლს ჰქონდა 2 შესასვლელი. ცენტრალური შესასვლელი, ქვის კიბეებით, განკუთვნილი იყო სტუმრებისათვის. საპირისპირო მხარეს იყო ოჯახის წევრებისათვის კარები, საიდანაც შედიოდი წინკარში. წინკარში განლაგებული იყო თაროები, სადაც გამოსაცვლელ ფეხსაცმელებს აწყობდნენ. წინკარში მდებარე კიბეებით შეიძლებოდა შესვლა მუთვალში (სამზადი). აღსანიშნავია, რომ წინკარი არის ის დეტალი, რაც ამ სახლს გამორჩეულს ხდის. ამ დეტალს ანალოგი არ მოეპოვება. იგი სახლს განსხვავებულ საცხოვრებელ ტიპად წარმოაჩენს. აქედან გაისვლებოდა საძინებელში, აქვე დერეფნის საშუალებით შედიოდი მეორე და მესამე საძინებლებში, მათ შორის პატარა დერეფანს მიჰყავდი საპირფარეშოში, რომელიც კერამიკული მილებით იყო გაყვანილი. დერეფანი, რომელიც ყველა ოთახს აერთიანებდა, შენობას თავიდან ბოლომდე კი არ გასდევს, არამედ მკლავისებურად არის მოღუნული და რუსულ Γ -ს მოგვაგონებს, რაც თ. ჩიქოვანს მიაჩნია ქვემო აჭარის სახლებლისათვის დამახასიათებლად (ჩიქოვანი, 1959: 10). სახლს ჰქონდა 4 ბუხარი. ეს სახლი 2 ძმაზე იყო გათვლილი. პირველ სართულზე იყო სამეურნეო დანიშნულების საწყობი. ეზოში კი - ბეღელი და ბოსელი. სახლი შეძლებულ- დაწინაურებულ ოჯახს ეკუთვნოდა. ამ მიმართულებით საინტერესოა, რომ სახლის დაშლის დროს, სახურავში აღმოჩნდა სამალავი, სადაც 22 ოსმალური ოქროს ფული - ალთუნი (ე.წ. ბეშბილები) აღმოჩნდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტრაპოზონის არქივში მოპოვებული დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1880 წლით. არქივიდან კი გამოთხოვილია 1913 წელს. ჩამომტანს მისი საარქივო შიფრი არ შემოუნახავს. დოკუმენტი წარდგენილი იყო ბათუმის ხელისუფლებაში, რის საფუძველზეც გაფორმდა მიწის საკუთრება კონკრეტულ ოჯახზე, რაც პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა ოჯახს. დოკუმენტის ერთი პირი ვარშალომიძეების ოჯახში ინახებოდა. დოკუმენტი ოსმალურადაა შედგენილი, ახლავს პარალელური რუსული ტექსტები/თარგმანი. ოსმალური ტექსტი თარგმნა ბსუ პროფესორმა ზ. შაშიკაძემ. მასში ჩანს მიწის ოდენობა და მესაკუთრეთა ვინაობა. ერთერთი მიწის მესაკუთრე აღნიშნული სახლის მეპატრონე ჰაჯი ახმედ ალა (ახმედ ალას შვილ დურაყის შვილი იყო მემედი, საკვლევი სახლის პატრონი მე-20 საუკუნეში). დოკუმენტში ჩანს მისი გარდაცვალების თარიღი 1868 წელი და მემკვიდრეები (იზეთი, ქუჩუკ ალა, ჰასანი, დურაყი, გულსუმი, გული), რომლებზეც გაიყო მიწები. აღსანიშნავია, რომ ქალიშვილებსაც თანაბრად ეკუთვნოდათ წილი მამისეული ქონებიდან. მათ დამატებით ჰქონდათ შემოსავალი საზიარო მიწებიდანაც, სადაც თესავდნენ მარცვლეულს.

საკვლევო სახლის ეზოში შემორჩენილია მარცვლეულის საცხველი, სადაც ბრინჯის და ღომის მარცვლების დამუშავება ხდებოდა.

სახლის ექსტერიერიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხის კედელზე გამოსახული საქონლის თავი, რომელიც რკალებად გადახრილი რქებით და ყურების გარეშე ბრტყელ ფიცარზე კონტურის სახითაა გამოკვეთილი. საქონლის თავის ანალოგიური ნიმუში ჯავიდ თედორადის (სოფელი ჯოჭო) სახლის აივნის კარის თავზეც ყოფილა, მხოლოდ ცხოველის რქები ოდნავ მოკაუჭებული ჰქონია. ამ ნიმუშების გათვალისწინებით საქმე გვაქვს ხარის თავის გამოსახულებასთან (ვარშალომიძე, 1970: 73). ხარის კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანიდან. ამ პერიოდში მთელი კავკასიისათვის დამახასიათებელია სარიტუალო დანიშნულების რქისებრი და ნავისებრი სადგარები, რომელთა შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული, მაგრამ უმეტესად მათ ხარის გამოსახულებად და ხარის კულტთან დაკავშირებულ ძეგლებად თვლიან. მეცნიერთა ნაწილი ხარს მთვარის „ნაწილიან“ არსებად მიიჩნევს. ხარის რქებს მის სიმბოლოებად მიიჩნევენ. სხვები კი უკავშირებენ სიცოცხლის ხეს. ქართულ ხალხურ წარმოდგენებში ხარის რქები და ხე იდენტური მნიშვნელობის მქონე საკრალური ობიექტებია. ხშირია ხარის გამოსახულებები არქეოლოგიურ არტეფაქტებზე, გრაფიკულ ხელოვნებაში, კერამიკულ ჭურჭელზე. უძველესი ქართული ფულის - კოლხური თეთრის (ძვ.წ. V-III სს) რამდენიმე ნომინალზე სწორედ ხარის თავია გამოსახული (Дундуа, 1987: 3-20, დუნდუა..., 2006: 3-15) მისი სახეა მოცემული მრავალ ხალხურ ლექსსა თუ ზღაპარში. ხარის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული და ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანაარსებობდა ნაყოფიერების, მცენარეულ თუ ასტრალურ კულტებთან ერთადაც (ხუციშვილი, 2010: 396).

სიცოცხლის ხის მოტივი არის გამოსახული საკვლევო სახლის ინტერიერში ბუხრის გვერდით დოლაბზე (მუსანდარა). მცენარე ამ შემთხვევაში სიმეტრიულად გაშლილი რტოებით და მომცრო ზომის ფოთლებითაა გამოხატული. შტოები ორ რიგადაა განლაგებული რკალური ფორმით რამდენიმე იარუსად. ყოველი იარუსის შემდეგ შემოკვეთილია ვარდულის ფორმის ორი ერთმანეთისაკენ რაოდენობრივად განსხვავებული სხივების მქონე ასტრალური სიმბოლოებით. ორთავე მხარეზე შტოები დაბოლოებულია გველის კლავნილით, მის ორივე ბოლოზე თავის გამოსახულებით. მცენარის, კერძოდ. სიცოცხლის ხის სიუჟეტში გველის ამგვარი ფორმით გამოსახვა იშვიათია არა მარტო აჭარისათვის, არამედ საერთოდ. ამ მოვლენის ახსნისას უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ იგი ბუხართან, კერძოდ ახლოს მდებარეობს. იგი გარკვეულად უკავშირდება კერას, ოჯახის ძირითადი ატრიბუტის კულტს. სიცოცხლის ხის მოტივის გამოსახვა კერის მახლობლად სავსებით ბუნებრივი ჩანს, ისევე, როგორც ქართული დარბაზის დედაბომის სიცოცხლის ხედ აღიარება. სიცოცხლის ხის

აღნიშნულ ვარიანტზე გველის ამგვარი გამოსახვა უნდა მივიჩნიოთ ოჯახის მფარველ დედალ-მამალი გველის გადმოცემად (ვარშალომიძე, 1979: 70-71).

ამრიგად, სიცოცხლის ხის მოტივი კერის კულტთან მტკიცე კავშირს ამჟღავნებს, რაც აშკარად ჩანს გველის გამოსახვითაც ამ კომპოზიციაში, სიცოცხლის ხისა და ბინის გველის მითოლოგიური გადმოცემები შორეული წარსულიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენათა რიგს მიეკუთვნება. იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობაში შესაბამის პარალელებს პოულობს. გველი ხალხური რწმენით პატრონობს და იცავს ოჯახს ბოროტი ძალებისაგან. ასეთ გველს ბინის გველს ან სახლის გველს უწოდებდნენ. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, გველთან დაკავშირებული შეხედულებები დუალისტური ხასიათისაა. ცალკეულ შემთხვევაში გველი ბოროტ ძალად არის წარმოდგენილი და ზოგადად ბოროტი ძალების განსახიერებაა. აჭარაში შეკრებილ ხალხური რწმენა-წარმოდგენების ამსახველ მასალებში გველი დახასიათებულია შემდეგნაირად: ყოველ სახლს გააჩნია ბინის პატრონი დედალ-მამალი გველების სახით, რომლებიც ადამიანს არ ვნებენ. თუ წყვილის ცალი ვინმემ ხელყო, მაშინ მეორე საშიში ხდება, შურს იძიებსო. ოჯახის გველს ხშირად რძეს დაუდგამდნენ ჯამით. აჭარისწყლის ხეობაში ბინის გველი ოჯახის გარდა დოვლათის მფარველ სულადაც მიაჩნდათ (ჩხეიძე, 1961: 90).

დასკვნა: ამრიგად, სოფელ ვარშალომიძეებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში აშენებული სახლის ეთნოგრაფიული ასპექტით შესწავლამ გამოავლინა აჭარაში საცხოვრებელი სახლის განსხვავებული ტიპი, რაც წინკარის დეტალით არის გამოხატული. სახლი შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა, რასაც ადასტურებს ტრაპიზონის არქივიდან 1913 წელს გამოთხოვილი დოკუმენტიც. სახლის ინტერიერი და ექსტერიერი შემკული იყო ხალხური დეკორატიული ხელოვნების იშვიათი ნიმუშებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. დუნდუა, 2006:** - გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, „ქართული ნუმიზმატიკა“, I, გამომც. „არტანუჯი“, თბილისი, 2006.
- 2. ვარშალომიძე, 1979:** - ჯემალ ვარშალომიძე, „ორნამენტი ხეზე“, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1979.
- 3. მიქელაძე, 1982:** - ჯემალ მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1982.
- 4. ჩიქოვანი, 1959:** - თეიმურაზ ჩიქოვანი, ძეღური საცხოვრებელი სახლი ბათუმის რაიონში, ბათუმი, ხელნაწერი, ინახება ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივში, 1959.

5. ჩხეიძე, 1961: - ჯემალ ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1961.

6. ხუციშვილი, 2010: - ქეთევან ხუციშვილი, წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები, „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2010.


7. Дундуа, 1987: - Дундуа Г. Ф. Нумизматика античной Грузии. Тбилиси. 1987.

ტაბულების აღწერა:

1. მემედ ვარშალომიძის სახლი
2. სახლის გეგმა
3. ხარის თავის გამოსახულება სახლის ფასადზე
4. ორნამენტით შემკული დოლაბის კარი
5. დედალ-მამალი გველებისა და სიცოცხლის ხის გამოსახულება



1




2



3



4



5

Tradition as a Marker of National Identity of the Georgians living in Turkey

ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის ქართველებში

Tamila Lomtadze

PhD in History, Senior Researcher, Niko Berdzenishvili
Institute, Batumi Shota Rustaveli State University,

e-mail: tamila.lomtadze@bsu.edu.ge

Tel: +995 593 37 13 94

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6163-5876>

Abstract: The paper deals with the attitude of ethnic Georgians, who ended up in the Republic of Turkey due to the historical circumstances, to the ethno-cultural values of their native nation. The ontological and pragmatic strategies for preserving identity, developed by Georgians living in Turkey during a long stay in a foreign environment, are studied; Tradition is considered as a mechanism and determining the value of preserving national identity; The indicators that determine the mental attitude of different generations of Georgians living in Turkey to national identity are revealed as well.

Key words: Ethnoculture, tradition, national identity

თამილა ლომთაძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,

ელ-ფოსტა: tamila.lomtadze@bsu.edu.ge

ტელ: +995 593 37 13 94

ORCID: <https://orcid.org/0000-0001-6163-5876>

აბსტრაქტი: სტატია ეხება ისტორიული ვითარების გამო თურქეთის რესპუბლიკაში მოხვედრილი ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებას მშობლიური ხალხის ეთნოკულტურულ ფასეულობებთან. შესწავლილია თურქეთელი ქართველების მიერ უცხო გარემოში ხანგრძლივი ყოფნის დროს

შემუშავებული იდენტობის შენარჩუნების ონტოლოგიური და პრაგმატული სტრატეგიები; ტრადიცია განიხილება, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მექანიზმი და განმსაზღვრელი ღირებულება; მიმოხილულია ის ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავს თურქეთში მცხოვრები ქართველების სხვადასხვა თაობის მენტალურ დამოკიდებულებას ეროვნული იდენტობისადმი.

საკვანძო სიტყვები: ეთნოკულტურა, ტრადიცია, ეროვნული იდენტობა

შესავალი: ყველა ერს აქვს ის ფასეულობები და ღირებულებები, როლებიც ეროვნული იდენტობის საფუძველს წარმოადგენს და არა მარტო ამთლიანებს ერს, არამედ უნარჩუნებს მას თვითმყოფადობას. ეროვნულ იდენტობას ქმნის ეთნონიმი, საერთო მითები წინაპრებზე, საერთო ისტორიული მეხსიერება, კულტურული თვითმყოფადობა, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასთან კავშირი და ამ მემკვიდრეობასა და ელემენტებთან ინდივიდის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიცირება (სმიითი, 2008).

ეთნიკურ იდენტობას სხვადასხვა მნიშვნელოვანი მარკერი აქვს: ფენოტიპური და გენოტიპური ნიშნები, ფსიქოლოგიური კრიტერიუმები, კულტურული მახასიათებლები და სხვ. კულტურული მახასიათებელი მოიცავს არამატერიალურ ფასეულობებს, კერძოდ, ენას, რწმენას, ტრადიციებს, ადათ-წესებს და ეს ყველაფერი თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურული ელემენტები, ერთი მხრივ, განაპირობებენ ერის შიგნით სოლიდარობის განცდის გაძლიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობენ, ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საკუთარი თავის ასოცირებას ეროვნულ კულტურულ სიმბოლიკასთან. მეცნიერთა ნაწილი კულტურას ერის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად აღიარებს (Space, Place, Identity – part II).

იდენტობის მარკერების ფორმირება ხდება თანდათან და ერისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუმცა თაობიდან თაობაში ხდება ღირებულებათა გადაფასება და ტრანსფორმაცია სხვადასხვა ეპოქების თუ რელიგიების გავლენით. კიდევ უფრო დიდ სახეცვლილებას განიცდის იდენტობის მარკერები განსხვავებულ ეთნიკურ გარემოში, როცა აქტუალური ხდება ჯგუფის ან ინდივიდის გამიჯვნა „სხვებისაგან“, თუნდაც ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში. მაშინაც კი, როცა სხვადასხვა კუთხით კულტურული განსხვავებები ნაკლებად შესამჩნევი ხდება მომეტებული

ურთიერთობისა და მოდერნიზაციის საერთო პროცესის გამო, ეთნიკური იდენტობისა და თვითგამორკვევის პროცესები მაინც მეტ მნიშვნელობას იძენს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რაც უფრო მეტად ემსგავსება ხალხი ერთმანეთს, მით უფრო მეტად განიხილავენ არსებულ განსხვავებებს (ერიქსენი, 2018:324).

ჩვენს მიზანს სწორედ ისტორიული ვითარების გამო თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში, მოქცეული ეთნიკური ქართველების ხანგრძლივი დროით უცხო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრებისას იდენტობის შენარჩუნების ონტოლოგიური და პრაგმატული სტრატეგიების კვლევა წარმოადგენს.

მეთოდოლოგია: კვლევა ხორციელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების სოფლებში. აქ წარმოებული საველე კვლევა-ძიების შედეგად შეგროვდა დიდძალი ემპირიული მასალა. მოვლენების ფიქსაციის დროს, მათი სუბიექტურ-რაოდენობრივ აღწერილობასთან ერთად ყურადღებას ვამახვილებდით ობიექტურ-ხარისხობრივ აღწერილობაზე. საველე სამუშაოების დროს ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოვიყენეთ დაკვირვებისა და ინტერვიუების მეთოდები. ინტერვიუები ფოკუსირებული იყო როგორც ცალკეული თემების გარშემო, კონცენტრირებული კონკრეტულ საკითხებზე, ასევე არასტრუქტურირებული, რაც დაგვეხმარა საკვლევი საკითხის შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნაში. მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ნახევრად ფორმალური - წინასწარგანსაზღვრული კითხვარით, ასევე თავისუფალი ინტერვიუებით. ნარატივები დაგვეხმარა საკითხის სიღრმისეულ კვლევაში, რადგან რეალობა ავთენტურად, მართებულად და სრულად შეიძლება რეკონსტრუირდეს არა მხოლოდ ობიექტურ ფაქტებზე, არამედ ადამიანთა მონათხრობზე დაყრდნობითაც. ინფორმაციის მოპოვების პარალელურად ჩატარდა კამერალური სამუშაოები - საველე მასალების დამუშავება და ანალიზი. გამოყენებული იქნა შედარებითი ანალიზისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. შესწავლილი იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა მოცემულ თემაზე, რაც დაგვეხმარა კვლევასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებაში.

ძირითადი ნაწილი: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ოსმალთა ამოხრებელი დაპყრობების სარბიელს. ავტოქთონი მოსახლეობის ისტორიული საცხოვრისის დაპყრობისა და მე-19 საუკუნეში მუჰაჯირობის პროვოცირების შედეგად ქართველების დიდი ნაწილი თურქეთის ფარგლებში აღმოჩნდა. ეთნიკური ქართველების ოსმალეთში ინკორპორაციას ეროვნული ცნობიერების ტრანსფორმაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამუსლიმანებას გზით ახდენდნენ, მაგრამ მიუხედავად ამ მცდელობებისა, აქაურებმა შეძლეს ხანგრძლივი დროით უცხო გარემოში ცხოვრებისას შეემუშავებინათ საკუთარი კულტურის ერთგულების და დომინანტურ კულტურასთან შეგუების სტრატეგიები. პარალელურად, ბუნებრივია, განსხვავებულ ვითარებაში მოქცეული ეთნოკულტურული მემკვიდრეობა იცვლებოდა და ეგუებოდა ახალ რეალობას. ხდებოდა წინაპართაგან მიღებული ფუნდამენტური ღირებულებების სხვა ეთნოკულტურასთან ინტეგრირება, კულტურული მახასიათებლების გაცვლა, განსხვავებული გამოცდილებების გაზიარება, ყოფის ტრანსფორმაცია, მაგრამ, მიუხედავად ამ გავლენებისა და ტრანსფორმაციებისა, უცხო გარემოში მოხვედრილი ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის თვითგადარჩენის საშუალებად მოგვევლინა ეთნოკულტურის ელემენტები: ტრადიციები, რიტუალები, დღესასწაულები, ფოლკლორი, ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობები, ტრადიციული ღირებულებები, ყველაფერი ის, რაც აყალიბებს პიროვნების ეთნიკურ იდენტობას და რაც თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა.

მიუხედავად განსხვავებული დეფინიციების არსებობისა, ეთნოსს, ზოგადად, ახასიათებენ, როგორც საკუთარი თვითდასახელების, საერთო წინაპრის (წარმომავლობის), საზიარო ისტორიული მახსოვრობის, საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტის, საერთო ენის, სამშობლოს, მშობლიური მიწა-წყლის (ტერიტორიის) მქონე ერთობად, რომლის წევრებსაც, ელიტის დონეზე მაინც, გააჩნიათ სოლიდარობის გრძნობა ერთმანეთისადმი (სმითი 2008:27). შესაბამისად, ეთნიკური იდენტობა ამ მარკერებთან გარკვეულ თანაზიარობას გულისხმობს. ჩამოთვლილთაგან ყველა მარკერი მნიშვნელოვანია, მაგრამ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა ყოფა აჩვენებს, რომ ყველა ელემენტს როდი აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა და აუცილებლობა ეთნიკური იდენტობის განცდისათვის. მაგალითად, მიჩნეულია, რომ „ტერიტორიული იდენტობა

ადამიანის ეროვნული თვითცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ამ ცნობიერების განვითარების ყველა საფეხურზე, იქნება ეს ნაციონალური თუ ეთნიკური იდენტობა“ (პატარიძე, 2009:105). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთელ ქართველებს არ გააჩნიათ ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი - საერთო ტერიტორია, მათ იპოვეს უცხო გარემოში საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და ხაზგასმის საშუალება - სხვა ეროვნული მარკერები: ენა, წეს-ჩვეულებები, გადმოცემები, ტრადიციები. მათ აქვთ საერთოს განცდა იმ ღირებულებებთან, რომლებიც ქართველთა თვითმყოფადობის საფუძველს წარმოადგენს: ქართულად მეტყველება, ეროვნული ცნობიერება/ქართველობის განცდა (ჩვენ გურჯები ვართ..... ჩვენი დედები გურჯები იყვენ..... ქართველები კაი ვართ, ქართველობა აქა არ გადატრიალებულა.....) და ერთობა ქართველ წინაპრებთან/საერთო წარმომავლობა (ჩვენი ანა-ბაბოი ბათუმიდან თურქიეში მოდენილან..... მაჭახლიდან მოსულან ჩვენი დიდვანები..... ჩვენი ძველებიც აქავრები არიან..... მე თურქის მოქალაქე ვარ, ისე გურჯი ვარ, ქართველი.....). თუმცა, საერთო ტერიტორიასთან, როგორც იდენტობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიასთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებში განსხვავებულია მიდგომები ამ საკითხის მიმართ. თუ მუჰაჯირ ქართველეთა შთამომავლებს, რომლებიც თურქეთის შიგა ტერიტორიებზე ცხოვრობენ და გააზრებული აქვთ ის, რომ ეს სხვა ხალხის საცხოვრისია, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს არ დაუკარგავთ იმის განცდა, რომ მშობლიურ მიწაზე, წინაპართა საცხოვრისში აგრძელებენ ცხოვრებას და ეს მათი სამშობლოა. (საქართველო აქაა. თქვენ უნდა შემოგვიერთდეთ!..... ჩვენ აქაური მკვიდრი ვართ.....) ფატიჰ მედიან-ცვარიძე მასწავლებელი ართვინიდან იგონებს, რომ მის ბავშვობაში ფიქრობდნენ, რომ მათ მშობლიურ საქართველოში ქართველები კი არა, რუსულად მოსაუბრე ხალხი ცხოვრობდა და ქართველები მხოლოდ თურქეთში იყვნენ შემორჩენილი, რადგან ეგონათ, რომ მუჰაჯირობისას ქართველები ერთიანად თურქეთში გადაასახლეს, იქ კი რუსები დარჩნენ. პოსტსაბჭოთა პერიოდში საზღვარი რომ გაიხსნა და მიმოსვლა დაიწყო, უკვირდათ, რუსები კი არა, ქართველები ყოფილან, ჩვენს ენაზე მოლაპარაკეო (<https://kvirispalitra.ge>).

თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა მაგალითი გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული ერთობა არაა ეროვნული იდენტობის მთავარი

განმსაზღვრელი. ტერიტორიული გახლეჩისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირის გაწყვეტის მიუხედავად, თურქეთელმა ქართველებმა შეძლეს ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება. რაც შეეხება ენას, იგი მართალია, ფიგურირებს ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას ზოგადად და თურქეთის ქართველების ცნობიერებაშიც გურჯად იმას მიიჩნევენ, ვინც ქართულად ლაპარაკობს (გურჯიჯე ვიცით, ერთმანეთს გურჯუჯე ველაპარაკებით..... ერთმანეთთან გურჯუჯე ვხვართოფთ (ვლაპარაკობთ).....) მაგრამ ახალმა თაობამ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით ნაკლებად იცის ქართული (ღანჯები ვერ ხორათობენ..., იკარგვის ჩვენი ენა, ახლები აღარ ელტვიან გურჯიჯასა.....), მაგრამ საკუთარ თავს მაინც ქართველებად თვლიან, რადგან წინაპართა ტრადიციებს ინარჩუნებენ და სწორედ ეს მიჩნიათ საკუთარი ეთნიკური კუთვნილების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. იმით გვაიმედებენ რომ გურჯულს „დეისწავლიან“, „გურჯიჯას აღარ დაჰკარგავენ...“ და მიუხედავად ენის არცოდნისა, მათ ქართულ ხასიათში ექვის შეტანას მტკივნეულად განიცდიან. ზოგ რეგიონში საერთოდ აღარ ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ ჩვეულებები შენარჩუნებული აქვთ. ენა დაკარგულია, მაგრამ ტრადიცია ინახავს მათ ქართველობას. ამდენად, თურქეთის ქართველების იდენტობის განცდა უფრო მეტად ეფუძნება კულტურის ელემენტებს – ღირებულებებს, სიმბოლოებს, მითებსა და ტრადიციებს, რომლებიც ხშირად წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშია კოდირებული.

ტრადიცია არის ის ღირებულება, რომელიც იძლევა უცხო გარემოში „სხვებისგან“ გამიჯვნის და ამ გზით იდენტობის შენარჩუნების საშუალებას. ამავე დროს ეს ეხება არა ცალკეულ ინდივიდს, არამედ მთელ ჯგუფს, რადგან ტრადიცია ინახავს ისტორიულ კოლექტიურ მეხსიერებას. ტრადიციის მეშვეობით „სხვებთან“ თანაცხოვრების პირობებშიც კი შესაძლებელია ემოციური კავშირის, კულტურულ–ისტორიული ერთიანობის შენარჩუნება მშობლიურ კულტურულ ღირებულებათა სისტემასთან, რომელშიც მოიაზრება საერთო ფასეულობები, რწმენები, წეს-ჩვეულებები, ქცევის ნორმები, ენა და ა.შ. (სმითი 2008:13). კულტურა არის სწორედ ის სისტემური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც საუკუნეთა მანძილზე იდენტობრივი თვითიგიკურობა შესაძლებელი ხდება (კიკნაძე, 2009:7). ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარკერის - ტრადიციის შენარჩუნება თვითგამოხატვის, მშობლიურ ეთნოსთან საკუთარი თავის ასოცირების საშუალებადაა ქცეული თურქეთელი ქართველებისათვის. ჩვენ

შევეცდებით წარმოვაჩინოთ ტრადიციის შენარჩუნების გზით როგორ ახერხებენ ისინი „სხვებისგან“ გამიჯვნას და მათთან თანაცხოვრების პირობებში ამ იდენტობის შენარჩუნებას.

აქ აქტიურად მოქმედებს სოციოკულტურული ანტითეზა: „ჩვენ - ისინი“, „თავისი - სხვისი“. ყველაზე მეტად კომპაქტურად მცხოვრებ ქართველებს აქვთ საკუთარი განსაკუთრებულობის საკმაოდ ნათლად გამოხატული განცდა. ეს განცდა ვლინდება მეტყველებასა (ასე ჩვენ ვიცით, ეს თურქებმა არ იციან..... მარტო ჩვენ ვაკეთებთ.... გურჯებმა ვიცით, თურქებმა გურჯებიდან დეისწავლეს..... ხოჯები გვიშლიან (რიტუალს) გიაურების არისო.....) და მოქმედებებში, უპირატესობის განცდაში (ჩვენ აქ ვერავინ ვერაფერს გაგვიბედავს,.....ჩვენა თურქიეში ვართ, ჰამა თუალებში ვერვინ ჩაქვხედავს...გურჯი ვართ, ჰამა ჩვენებურ ჰავას ვუკრავთ, მეტი ყიიმეთი (ფასი) გვაქ სხუა მილლეთში.....). მაგრამ უმთავრესი გამაერთიანებელი კატეგორია, რომელზეც აგებულია მათი თვითმყოფადობა არის ტრადიცია, რომელიც უცხო გარემოში იქცა არა მხოლოდ თვითგამოხატვის, არამედ ერთგვარად თვითგადარჩენის მექანიზმად.

მაინც რა არის ის ტრადიციები, რომლითაც თურქეთში მცხოვრები ქართველები „სხვებისგან“ ანსხვავებენ თავს. უპირველესად, ხასიათის თვისებად ქცეული ქართული ცხოვრების წესი, რაც ვლინდება ყოფით, ყოველდღიურ ტრადიციებში, ურთიერთდახმარებაში, მეზობელ-ნათესავის თანადგომაში, გაჭირვებულის „გაკითხვაში“, ლხინისა და ჭირის გაზიარებაში, ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დაცვაში და სხვა. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თურქებისაგან განსხვავებულად ექცევიან ერთმანეთს (ასე ქართველები იჯებიან, თურქები არა....). შენარჩუნებული აქვთ ურთიერთდახმარების ისეთი ფორმა, როგორცაა ნადი. დღეს ნაკლებად შეხვდებით აქაურ ქართველებში დიდ სამიწათმოქმედო ნაღს, მაგრამ ურთიერთდახმარების ტრადიცია მტკიცედ აქვთ შენახული და ერთმანეთს სიამოვნებით „ეშველებიან“ სხვადასხვა საქმიანობის დროს. განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ერთად ჩეჩავენ და რთავენ მატყლს, ხარშავენ ბეთმეხს, ამზადებენ დიდი რაოდენობით ფიდეებს იაილადან წამოსვლისას, რათა ისევ ბარში დარჩენილ თანასოფლელებს, მეზობელ-ნათესავებს დაურიგონ უსასყიდლოდ.

ასევე ურყევ ტრადიციად შემორჩათ თურქეთის ქართველებს ოჯახის სიწმინდის დაცვა. სოფლად დღემდე შეინარჩუნეს ცხოვრების ტრადიციული წესი, ოჯახის სტრუქტურა, მოვალეობების განაწილება, კავშირი

წინაპრებთან. ყველაფრის საფუძვლად თვითონვე ქორწინების „სიწმინდის“ - მონოთეონიკური ქორწინების წესის დაცვას მიიჩნევენ (დაქორწინებიან გურჯინა ითხუო და ლაპარიკი არ გედერევა, ოჯადი გურჯი დარჩება.... დედაც გურჯი მყავან და მამაც, იმითვინ ვიცი გურჯიჯე.....` თუ ახლობლები დაქორწინდებიან, სახადი გამოა....) (ფუტკარაძე 1993:178). ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ ჯ. მაგნარელა, რომელმაც შეისწავლა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ასიმილაციის პროცესები, აღნიშნავს, რომ ქართველები უპირატესობას ანიჭებენ ქართველებზე ქორწინებას. მათში კატეგორიულადაა აკრძალული ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ქორწინება და შორეულ ნათესავებთან შეუღლებასაც არ ხვდებიან დიდი მოწონებით. ამის გამო ქართველების უმეტესობა ამავე მხარის სხვა სოფლებში მცხოვრებ ქართველებზეა დაქორწინებული. თუმცა რაც დრო გადის სულ უფრო ჭირს ამ წესის დაცვა და შერეულმა ქორწინებებმაც იმატა, თუმცა, უპირატესობას მაინც ქართველზე დაქორწინებას ანიჭებენ (მაგნარელა, 2005).

გარდა ამისა, ქართველებში (განსაკუთრებით სოფლებში) ბოლო დრომდე თითქმის მთლიანადაა დაცული საქორწინო ციკლის ყველა ეტაპი ელჩობიდან (მაჭანკლობიდან) სადილის მიტანამდე. ყველა ეტაპი აჭარაში გავრცელებული საქორწინო ტრადიციების ანალოგიურია (ჩელებაძე, 2009; მგელაძე, 2013).

ქართველთა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ მარკერად ქართული სამზარეულო მიიჩნევა. ბუნებრივია, ტრადიციულ სამზარეულოს თავისი კვალი დააჩინა ადგილობრივმა კვების კულტურამ, მაგრამ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა მაინც კარგად შემოინახეს ქართული კულინარიის ფესვები და კარგად შეინარჩუნეს ქართული სამზარეულოს ტრადიციები, კერძები, მათი მომზადების ტექნოლოგია, ზოგადად, ქართული გასტრონომიული კულტურა. ამაცობენ კიდევ, ესა თუ ის კერძი მატან გავრცელდა და დამკვიდრდა თურქების ყოფაში (ჩვენ ვიცით...თურქებს ჩვენ ვასწავლეთ....).

თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართველთა ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო და საოჯახო ტრადიცია, ხალხური აგრარული კალენდარი და მასთან დაკავშირებული ტრადიციული დღესასწაულები და რიტუალები. თავდაპირველი სახე შენარჩუნებული აქვთ ისეთ წეს-ჩვეულებებს, როგორცაა, ზიარეთობა, შუამთობა, კანულის გაღება, ხარმანობა, შვიდ-მაისობა, ცხრამარტობა, ამინდის მართვის რიტუალები, სახლის

მშენებლობასთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური რიტუალები (სადირკველში სხვადასხვა მაგიური ნივთის ჩაგდება, შესაწირავი, ზაირადის აღმართვა, ნადი) და სხვ. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მთის საზაფხულო დღესასწაული - ფესტივალი, რომელსაც აქ მარიობის ან ყადიობის სახელით მოიხსენიებენ. ეს არის ბერიკაობის უძველესი ქართული დღესასწაულის ნაირსახეობა, რომელიც უხვად შეიცავს მთიან აჭარაში გავრცელებული საზაფხულო დღეობის - შუამთობის ისეთ ელემენტებს, როგორცაა: ხარების შერკინება (ხარების ჭედვა//ჭედობა), კარდაკარ ჩამოვლა სანოვავის შეგროვების მიზნით, ფერხულობა, სიმღერები, ცხენების ჭენება//ხტუნაობა, შაირობა. ცეკვები (სამობა), სიმღერები და შაირები თან ახლდა აქაურთა ცხოვრების ყველა მხარეს. (მაღაცმაძე, 2014; მაღაცმაძე, 2017)

. მართალია, მათი დიდი ნაწილი თითქმის უცვლელი, არქაული ფორმით შეინარჩუნეს თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, მაგრამ ზოგიერთმა, ბუნებრივია, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით ძლიერი ტრანსფორმაცია განიცადა. ტრანსფორმაციის პროცესები რამდენიმე მიმართულებით განვითარდა:

- ტრადიციების ნაწილის თავდაპირველი დანიშნულება ისლამის ზეგავლენით მივიწყებულია და დღემდე მხოლოდ თაობიდან თაობაზე გადაცემის გზითაა მოღწეული. აქაურებს, უმეტესწილად, აღარ ახსოვთ არა მხოლოდ ამა თუ იმ რიტუალის არსი და მნიშვნელობა, არამედ, მივიწყებულია ის რწმენა-წარმოდგენებიც, რასაც ეს რიტუალები ეფუძნება. მუსლიმური ელემენტების შეჭრის გამო შეიცვალა წეს-ჩვეულების გააზრება, ფუნქცია, ტრანსფორმირდა შესრულების ფორმები, მკრთალი გადმონაშთის ან ფრაგმენტების სახითაა შემონახული. მაგალითად, ლაზარობა, რომელიც ამინდის მართვის უძველესი ჩვეულებაა დღეს მხოლოდ საბავშვო თამაშობის სახითაა შემორჩენილი (ლომთათიძე, 2012).

- თურქული ყოფისათვის დამახასიათებელ რიტუალებთან შერწყმულია ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობის ამსახველი არქაული ელემენტები. მაგალითად, ხიზირელიასის//ხიდირელეზის დღესასწაული მუსლიმ ხალხებში ფართოდ გავრცელებული საგაზაფხულო ციკლის დღესასწაულია, რომელიც წმინდა ილია წინასწარმეტყველს - ხიზირ ელიას - მხსნელ ელიას ეძღვნება. ხიდირელეზი ნაყოფიერებისა და სიუხვისათვის განკუთვნილი დღესასწაულია და მისთვის დამახასიათებელია ნაყოფიერების გამომწვევი რიტუალები, სარიტუალო ცეცხლის (კოცონების) დანთება და მის გარშემო ცეკვა-თამაში, სარიტუალო პურების მომზადება და

სხვ. ამ დღესასწაულს თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებიც აღნიშნავენ, ოღონდ, თურქებისაგან განსხვავებით, მას შეერწყა ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისეთი მომენტები, რომლებიც ქართველთა არქაულ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს და დღეს საქართველოს ბევრ კუთხეში ფაქტიურად აღარაა შემონახული. მაგალითად, ბერიკაობა-ყეენობის ისეთი კომპონენტი, როგორცაა საქანელაზე ქანაობის ჩვეულება, ბუნების აღორძინების ვეგეტაციურ დღესასწაულის “ვარდობისაი”-ს ელემენტები, წარმატებების “დასაბევებლად” სურვილების ჩათქმა, წყლისათვის იღბლის შეხვეწება და სხვ. რაც თავად აჭარაში აღარ ფიქსირდება, მაგრამ აქედან თურქეთში გადასახლებულების მეხსიერებას კარგად შემოუნახავს და ხიდირელეზის დღესასწაულის კომპონენტებად უქცევია. აქაურმა ქართველებმა ისიც კარგად იციან, რომ „ეს ადეთი გურჯულია, თურქებმა მემრე გეიგონეს“ (ლომთათიძე, 2010).

▪ შეიძლება წეს-ჩვეულება დამახასიათებელი იყოს ორივე კულტურისათვის, ქონდეს თურქული სახელწოდება ან ტექსტი, ან სულაც ისლამურ ტრადიციას იმეორებდეს, მაგრამ შინაარსით ქართულია ან შევსებულია ქართული ელემენტებით. მაგალითად, ზიარეთობა, რომელიც აჭარისა და მესხეთისათვის დამახასიათებელი რიტუალია. საქართველოში ზიარათი, ზიარეთი - უკაცურ ადგილებში, განსაკუთრებით მთის წვერებზე აღმართული საქრისტიანო ნიშანი, ნაგებობა, ეკლესია ან ქვის ჯვარია, სადაც მოსახლეობა დღეობას იხდიდა და სალოცავად მოდიოდა (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1974). ზიარეთობა ფართოდაა გავრცელებული როგორც მთელ ისლამურ სამყაროში, ასევე, თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, მაგრამ ისლამის მიმდევრებისთვის ზიარეთობა წმინდანების, წინასწარმეტყველების, იმამების, შეიხების საფლავებზე მოსალოცად წასვლა და ყურანიდან სურების წაკითხვაში გამოიხატება, მაშინ, როცა თურქეთის ქართველებისთვის ზიარეთობა მთაში წმინდა ადგილებზე გასვლის ტრადიციას, რომელსაც, მართალია, დღეს წმინდანთა „მეზირებს“ - საფლავებს უკავშირებენ, მაგრამ კარგად ახსოვთ, რომ ადრე ამ ადგილებში ქრისტიანული სალოცავების ნაშთები ყოფილა (ჩოხარაძე, 2015). აქ ეკლესიის ნანგრევებისა ან საჯვარეების არსებობას ჯერ კიდევ ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვილი ადასტურებდნენ (მარი, 2012; თაყაიშვილი, 1991). ამასთან, ზიარეთზე ასულ ქალებს თითქმის ბოლო დრომდე აჰქონდათ აქ თავიანთი ხელით ჩამოქნილი თაფლის სანთლები, ქვებზე ანთებდნენ, ლოცულობდნენ, ღამით აქვე, ქვებზე იძინებდნენ და სწამდათ, რომ სიზმარში ღვთისმშობელი

ან წმინდანი გამოცხადებოდათ და ავადმყოფობისგან განკურნების ან პრობლემიდან გამოსვლის გზას ასწავლიდა. დღეს, რა თქმა უნდა, ქრისტიანობასთან ამ რიტუალის კავშირის კვალი წაშლილია, მაგრამ იგი არც მუსლიმანურ ზიარეთობას გავს. თურქეთის ქართველები დღეს ზიარეთობაზე უფრო მეტად სასურველი ამინდის გამოთხოვის მიზნით მიდიან და საკლავს წირავენ. ამ ელემენტით თურქეთის ქართველებში შემონახული ზიარეთობა მეტ მსგავსებას ავლენს აჭარაში გავრცელებულ ამინდის გამოთხოვის რიტუალთან, რომელსაც, ასევე, მაღალ მთებში ქვაკაცებთან იხდიდნენ.

- ზოგიერთი რიტუალის ბევრი მომენტი თურქეთელ ქართველებში უკეთაა შემორჩენილი, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, დოვლათის, ნაყოფიერების, სიუხვის, შვილიერება-გამრავლებისათვის განკუთვნილი რელიგიურ-საკულტო ხასიათის დღესასწაული ფადიკო, რომელიც აჭარაში გართობა-თამაშობის სახითაა მხოლოდ შემორჩენილი და არქეტიპს ძალიანაა დამორებული, თურქეთელ ქართველებში რიტუალის სახითაა შემონახული და დღესაც ასრულებენ ახალ წელსა და შუამთობის/მარიობის დღესასწაულზე. აქაურებმა ისე სრულყოფილად შემონახეს რიტუალის ყველა მომენტი, რომ ამის მიხედვით შესაძლებელი ხდება ფადიკოს რიტუალის არქაული არქეტიპის აღდგენა. ამდენად, თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფაში შემონახული მრავალი ელემენტი დამატებით ეთნოგრაფიულ მასალას იძლევა ქართველთა არქაული რწმენა-წარმოდგენების უძველესი პლასტების აღდგენისათვის (ლომთათიძე, 2013).

დასკვნა: ამგვარად, ტრადიცია კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც უცხო გარემოში მცხოვრები ინდივიდისათვის მშობლიური ერისადმი კუთვნილების მთავარ საზომად იქცევა. თურქეთში მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა სწორედ ტრადიციების შენარჩუნებით შექმნეს ის ერთგვარი კულტურული მიკროკოსმი, რომელიც მათ თავს მშობლიური ერის ნაწილად, მისი ტრადიციული ღირებულებების მატარებლად აგრძნობინებს. ამიტომაც თურქეთში მცხოვრებმა ეთნიკური ქართველები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მხოლოდ „ქართველობის“ ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნებას, არამედ ეთნიკური კუთვნილების გამოხატულებად მიიჩნევენ ტრადიციების ერთგულებას. ქართული წეს-

ჩვეულებები მათი თვითიდენტიფიკაციის საშუალებად იქცა, რადგან სწორედ ტრადიცია ინახავს კოლექტიურ, ისტორიულ მეხსიერებას, აძლევს ინდივიდს ან ჯგუფს რომელიმე ეთნოსისათვის თავის მიკუთვნების შესაძლებლობას. ამდენად, ტრადიციის ერთგულება ერისადმი კუთვნილების, ეთნიკური იდენტიფიცირების მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს ზოგადად და, განსაკუთრებით უცხო გარემოში მოხვედრილი ჯგუფისა და ინდივიდისათვის. ამიტომაც აღმოჩნდა ტრადიცია ის მთავარი ღირებულება, რომლის გარშემოც და რომლის მეშვეობითაც არიან გაერთიანებული თურქეთელი ქართველები, რითაც ინარჩუნებენ მშობლიურ ეთნოსთან როგორც კულტურულ–ისტორიულ, ასევე, ემოციურ კავშირს და რაც ათქმევინებთ „ჩვენი სისხლი ერთი სოისაა, და-ძმები ვართ ერთმანეთისა“ (ფუტკარაძე, 1993).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერიქსენი, 2018: – ერიქსენი თ., მცირე ადგილები, ვრცელი საკითხები, შესავალი სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში, თბ., 2018.
2. თაყაიშვილი, 1991: – თაყაიშვილი ე., სამუსულმანო საქართველო, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა დაბრუნება, ტ. I, თბ., 1991.
3. კიკნაძე, 2009: – კიკნაძე ზ., ქართლი გაქრისტიანების გზაზე, ადამიანი და სიწმინდეები, თბ., 2009.
4. ლომთათიძე, 2010: – ლომთათიძე თ., თურქეთის ქართველებში შემონახული ერთი ქართული ტრადიციის შესახებ, ტაო-კლარჯეთი, I, თბ., 2010.
5. ლომთათიძე, 2012: – ლომთათიძე თ., აგრარული კულტმსახურების ტრადიციული ელემენტები თურქეთის ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში, ტაო-კლარჯეთი, II თბ., 2012.
6. ლომთათიძე, 2013: – ლომთათიძე თ., თეატრალური სანახაობების გენეზისისათვის აჭარაში (ფადიკო), ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, თბ., 2013.
7. მალაყმაძე, 2014: – მალაყმაძე რ., ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიცია შავშეთ-იმერხევში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, X, ბათუმი, 2014.
8. მალაყმაძე, 2017: – მალაყმაძე რ., სამეცნიერო მივლინება დევსქელის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, V, ბათუმი, 2017.
9. მარი, 2012: – მარი ნ., შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012.

10.მგელაძე, 2013: – მგელაძე ნ., ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში (ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. VII, ბათუმი, 2013.

11.პატარიძე, 2009: – პატარიძე ლ., პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში: "ქართლის ცხოვრების" სამყარო, თბ., 2009.

12.სმითი, 2008: – სმითი ე. დ., ნაციონალური იდენტობა (თარგმნა ლელა პატარიძემ), თბ., 2008.

13.ფუტყარაძე, 1993: – ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წ. I, ბათუმი, 1993.

14.ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1974: – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, წ. 1, (შემდ. ალ. ღლონტი), თბ.,1974.

15.ჩელებაძე, 2009: – ჩელებაძე ნ., შენი (ცივაძე) ჰ., ერთი საქორწინო ტრადიციის შესახებ თერმეს (თურქეთი) ქართველებში (ეთნოგრაფიული მასალების მასალების მიხედვით), სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში. ბათ., 2009.

16.ჩოხარაძე, 2015: – ჩოხარაძე მ., ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი, 2015.

17.https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/Space,%20Place,%20Identity%20-%20part%20II.pdf

18.<https://kvirispalitra.ge/article/97891-kartveloba-bediscerasavit-sul-tan-damdevs/>

19.<https://www.chveneburi.net/ka/turqetsi-mcxovrebi-qartvelebis-asimilacia-situaciis-kvleva-makale.39.html>

ენათმეცნიერება / Linguistics
Composites in the Vocabulary of the Adjarian Dialect

კომპოზიტები აჭარული დიალექტის ლექსიკაში

Nanuli Nogaideli

MA in Philology,

Researcher at the Department of Folklore,

Dialectology

and Immigrant Literature Studies, Niko Berdzenishvili Institute,

Batumi Shota Rustaveli State University;

ელ-ფოსტა: nanuli.noghaideli@bsu.edu.ge

ტელ: +995

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-7688-4844>

Abstract: Dialects are particularly interesting in terms of forming complex words. In this regard, rich factual material appears in the vocabulary of the Adjarian dialect and follows the rules of receiving composites in the Georgian literary language. A composite is a neologism at the moment of formation, but it can contain a word root that is no longer in use and has become a part of history.

The composites in the vocabulary of the Adjarian dialect contain ancient, archaic or ancient lexeme roots known to old Georgian, lexical units specific to Adjarian, Georgian-foreign hybrid or borrowed composites. The new, complex lexical units appear in a language or dialect is a continuous process, and such words often become established in the lexical fund.

Key words: dialect, composite, neologism, vocabulary

ნანული ნოღაიდელი

ფილოლოგიის მაგისტრი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის,

დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის

კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

ელ-ფოსტა: nanuli.noghaideli@bsu.edu.ge

ტელ:

ORCID: <https://orcid.org/0009-0006-7688-4844>

აბსტრაქტი: რთული სიტყვების წარმოქმნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტები. ამ მხრივ მდიდარი ფაქტობრივი მასალა ჩნდება აჭარული დიალექტის ლექსიკაშიც და მიჰყვება ქართულ სალიტერატურო ენაში კომპოზიტთა მიღების წესებს.

კომპოზიტი, წარმოქმნის მომენტისათვის, ნეოლოგიზმია, მაგრამ იგი შეიძლება შედგენილი იყოს ისეთი ძირებით, რომელიც უკვე აღარაა ხმარებაში და ისტორიის კუთვნილებად ქცეულა. ამგვარ სიტყვა-ტერმინთა მიგნება და კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკოლოგიაში. აჭარული დიალექტის ლექსიკაში დაფიქსირებულ კომპოზიტებშიც შემონახულია უძველესი, არქაული თუ ძველი ქართულისთვის ცნობილი ლექსემათა ძირები, საკუთრივ აჭარულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, ქართულ-უცხოენოვანი ჰიბრიდული თუ ნასესხები კომპოზიტები.

ახალი, რთული ლექსიკური ერთეულების გაჩენა ენასა თუ დიალექტში უწყვეტი პროცესია და ასეთი სიტყვები ხშირად ლექსიკურ ფონდში მკვიდრდება.

საკვანძო სიტყვები: დიალექტი, კომპოზიტი, ნეოლოგიზმი, ლექსიკური ფონდი.

შესავალი: რეალური სინამდვილე ადამიანის გონებაში აზროვნების პროცესში აისახება. ადამიანის გონებას შესანიშნავი შესაძლებლობა აქვს, რომ რეალობის მიხედვით, სხვადასხვა, ხშირად მნიშვნელობით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სიტყვები ერთმანეთს დაუკავშიროს, შეაერთოს, ერთმანეთს შეუხამოს, ენაში არსებული კანონების მიხედვით გააფორმოს, ერთ, რთულ სიტყვად ჩამოაყალიბოს და ლაკონურად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, ქმედებისა თუ სხვათა შესახებ. რთულ სიტყვათა წარმოქმნა, სხვა ენათა მსგავსად, ცნობილია ქართულ ენაში. ეს ტენდენცია ახლაც გრძელდება, რადგანაც ეს ცოცხალი პროცესი ახალ ცნებათა გამოხატვის, ნეოლოგიზმების გაჩენისა და ენის ლექსიკის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა.

მეთოდოლოგია: კვლევისას გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა ლინგვისტური მოვლენა განხილული იქნას როგორც სინქრონულ, ასევე, დიაქრონულ პერიოდში. სიტყვათწარმოქმნის პროცესების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტური მასალის ნათესაური კავშირების და ტიპოლოგიური

მსგავსების დადგენას. ამ მიმართულებით დაგვეხმარა შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდი რაც ენობრივი მოვლენების დინამიკაში განხილვისა და ფუმე-ენის უძველესი სტრუქტურების აღდგენის საშუალებას იძლევა.

ძირითადი ნაწილი: რთულ სიტყვას და მის რაობას ბევრი ქართველი ენათმეცნიერი შეხება. აკაკი შანიძემ საგანგებოდ მიაქცია მას ყურადღება და დაადგინა მათი ძირითადი ტიპები და მიღების წესები. აკ. შანიძე რთულ სიტყვას თხზულ სახელს ან კომპოზიტს უწოდებს. მისი მოსაზრებით, კომპოზიტები ჯგუფდება ერთცნებიან და ორ ან მეტცნებიან სახელებად. ამათგან რთულ სიტყვებად (ვიწრო გაგებით) იგი მხოლოდ ერთცნებიან კომპოზიტებს თვლის, ხოლო, ფორმის მიხედვით შეერთებულ დანარჩენ სახელებს (ფართო გაგებით) შერწყმულ სახელებს უწოდებს.

რთული სიტყვების წარმოქმნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტები. ამ მხრივ მდიდარი ფაქტობრივი მასალა ჩნდება აჭარული დიალექტის ლექსიკაშიც და მიჰყვება ქართულ სალიტერატურო ენაში კომპოზიტთა მიღების წესებს. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აჭარულში გამოიყოფა კომპოზიტთა შემდეგი ჯგუფები:

1. ფუმის გაორკვების ანუ რედუპლიკაციის გზით მიღებული კომპოზიტები, რომლებიც რამდენიმე სახისაა:

ა) მარტივი რედუპლიკაცია: *თახთახი* (ვიბრაცია), *ზიმზიმი* (ზონინგა, ბრჭყვიალი); *ყაყაყი* (ბაყაყის ხმიანობა; გადატ.: უთავბოლო ლაპარაკი); *წიწრიპი* (1. ერბოს ადუღებისას გამოცემული ხმა; 2. ხის კენწერო; უკიდურესი, ბოლო წერტილი - ნ.ჯ. ნოღაიდელი);

ბ) თანხმოვნის დისიმილაციით მიღებული კომპოზიტები: *კვირკვილი* (ფრინველი); *ხურხული* (ღრიანცელი); *ღარღალი* (ხმაურიანი ლაპარაკი).

გ) გვაქვს თანხმოვნის ჩავარდნით მიღებული კომპოზიტები: *ფუფული* (მუწუკი); *კუკუმეთი* (ძალიან ბნელი), *ჭეჭელი* (ჭრელჭრელი)...

დ) ხმოვანთა შენაცვლებით მიღებული კომპოზიტები: *ბაღანბულანები* (ბავშვები), *რანწკირუნწკი* (წკრიალი), *ტკლაციტკლუცი* (გასკდომის შედეგად გამოწვეული ხმა); *ფაშფუში* (შიგნეული).

ე) ხმოვანთა ან თანხმოვანთა ჩამატებით მიღებული კომპოზიტები: *ალამალაჲ* (სულ, მთლიანად), *ამბურძამბური* (არეული, დაბნეული), *ანწილო-მანწილო* (იწილო-ბიწილო), *ეჯუჯ-მეჯუჯი* (დაბალი და შეუხედავი ადამიანი), *ახირხლულ-ჩახირხლული* (უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილი).

იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება და- კავშირიანი რთული სახელები. მაგალითად, *კაცდაკაც* (ხელიდან ხელში გადაცემით; „კაცადკაცად მიტანა“ - ნ.ივ.ჯავახიშვილი); *თვალდათვალ* (იმ წამს, მაშინვე, მოულოდნელად); *თვალდახელშუა* (მოულოდნელად - „თვალდახელშუა წამართვა და გეიქვა“); *წადაუკურაჲ* (წამდაუწუმ); *იადამარწყვი* (მცენარე);

აჭარულ დიალექტში მრავლად იძებნება ქართულ-უცხოენოვანი ჰიბრიდული კომპოზიტები: *ლეგენ-წყალი* (ლეგენი - თასი, ვარცლი; წყლიანი თასი); *იელქარი* (იელი - სწრაფი, ძლიერი; ქარიშხალი); *ოთხქოშელა* (ქოშე - კუთხე; ოთხკუთხა); *აკვნიტახუმი* (თახუმი - აკვნის გასაწყობი კომპლექტი); *ტიაშვილი* (ტია - ბიძა, დედის ძმა; ბიძაშვილი); *ენაჯილველი* (ჯილველი - მოქარგული; ენამოქარგული, ენამჭვერი); *ჯენნეთყურძენი* (ჯენნეთი - სამოთხე; ყურძნის ჯიში).

აჭარულში გვაქვს, ასევე, ნასესხები კომპოზიტებიც. მაგალითად: *აბდესხანა* (სალოცავი), *ალიშვერიში* (აღებმცემობა), *არჩიხანა* (სასაადილო), *დემირალმა* (რკინის ვაშლი, ვაშლის ჯიში), *კოლოთუთანი* (ხელისმომკიდე), *ყოლსამა* (ცეკვა „მხარული“), *ჩარ-ქოშე* (კარ-მიდამო)...

კომპოზიტთაგან გამოიყოფა რთული სახელები, რომლებშიც მსაზღვრელ ან საზღვრულ ელემენტად გამოდის მცენარის ან რომელიმე ცოცხალი არსების (ადამიანის, ცხოველის, ფრინველის...) ან მათი სხეულის რომელიმე ნაწილის სახელი. მაგალითად: *დათვი - დათვისახეთქელა* (მცენარე დათვიმხალა), *დათვობილა* (თამაში), *დათვაბოყვა* (მგ.კარის საკეტი); *კატა - კატაჯვარა* (ყელის ჯირკვლების დაავადება), *კატიკვალა* (სახე ნაქსოვში); *ძალი - ძალაპწერა* (ძალის მწერი, მკბენარი), *ძალაქინძა* (მცენარე უჯანგარა), *ძალყურძენა* (მცენარე მათუთა); *მგელი - გელიგლეჯია* (უშიშარი), *გელქარი* (შიში); *ჩიტი - ჩიტალელვა* (ლეღვის ჯიში), *ჩიტისთავა* (მცენარე მატიტა), *ჩიტიჭვანკა* (სახე ნაქსოვში); *მსხალი - სხალთაფლა*, *სხალთეთრა* (მსხლის ჯიშები)... *თავი - თავგორძვა* (დიდთავა), *თავსალამეთა* (თავშეუწუხებელი)..... *თვალი - თვალაკონია* (თამაში), *თვალკვეთარა* (გამთვალავი, თვალით ზიანს მიმყენებელი).... *გული - გულმონაყვასი* (მოყვარული), *გულფიქალი* (მართალი, უტყუარი)... *ენა - ენამატატი* (ლაპარაკის მოყვარული), *ენათქმულად* (ენით რომ ითქმის) და სხვ. მრავალი.

გვხვდება ერთგნებიანი კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ნაწილები არსებითი ან არსებითი და ზედსართავი სახელებია. სახელთაგან ერთ-ერთი ძირითადი სახელის მსაზღვრელად გვევლინება. მაგ.: *ბამბავაშლი* (რბილნაყოფიანი ვაშის ჯიში); *გზაბაწარი* (ბილიკი); *ძაღემძარი* (ძაღე - მძაღე; ძმრით შეზავებული ნიგვზიანი საწებელი); *დილაბნელი* (რიჟრაჟი); *შავფეხა* (ჭიანჭველა); *თავგიდელა* (დიდთავა); *ფეხმბილი* (ფეხრბილი - უზნეო, უწესო).... ამავე რიგის კომპოზიტთა გვერდით შეიძლება განვიხილოთ არსებითი სახელისა და მიმღეობის შეერთების შედეგად მიღებული რთული სახელებიც. მაგალითად: *ბუკამსილი* (ბუკი - სახე; პირბადრი); *ფეხგასაცხებელი* (გასანადგურებელი, სასიკვდილე); *ყურწაგდებული* (არხენი, თავშეუწუხებელი); *ჭამაკუთილა* (მოგონილი ავადმყოფობა), *თავისსაქციელი* (თავშესაქცევი, გასართობი)....

არაიშვიათია კომპოზიტთა წარმოსაქმნელად რიცხვითი სახელების გამოყენებაც. მაგალითად: *ერთიერთქვანები* (ერთმანეთი); *ორთავად* (მორიელი), *სამზიარი* (სამის კუთვნილი), *ოთხყური* (მცენარის ახალი, ოთხფოთლოვანობა მქონე), *ოთხქოშელა* (ოთხკუთხა) და სხვ.

ერთცნებიან კომპოზიტთა შორის განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ისეთი კომპოზიტები, რომელთა კომპონენტებიდან ერთი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის სრული, ხოლო მეორე - სახელობითი ბრუნვის ფორმით. მაგალითად: *ხატისტებელი* (ცუდ საქმეთა ჩამდენი), *სერისკუდი* (ვახშმის შემდეგ მიღებული საქმელი), *ნაცრისძალი* (ნაცრისგან გამოხდილი წყალი)... ამავე სახის კომპოზიტები გვხვდება ნათესაობითი ბრუნვისეული *-ის* ან *-ს* ფორმანტის გარეშეც. მაგალითად: *დედიფერა* (დედის მსგავსი; ძროხის სახელი), *თიკნიყურა* (მცენარე, მსუქანა), *გელინაფხალა* (გელინის - რძლის მხალი, ბოსტნის ფართოფოთლებიანი მხალი), *ჟამიშეჭმული* (განადგურებული).

კომპოზიტის ერთ-ერთ წევრად, ზოგჯერ, გვევლინება ფორმაუცვლელი სიტყვა, მაგალითად: *არასულიერი* (არავინ), *ზედშედგმული* (მაღალზე, მიწიდან გარკვეულ სიმაღლეზე გაკეთებული ზვინი, სახლი), *ახლოკვიდრი* (ახლო ნათესავი), *აწმესიქეთ* (ამის შემდეგ); *შუასაყარი* (სახლისა და მისი სახურავის გამყოფი ძელები), *განზეზოლა* (განივზოლებიანი)...

გვხვდება ერთცნებიანი მრავალფუძიანი სახელებიც: *ერთძუძუნაჭამები* (ძუძუმტეები), *მზითვალიგამჩენი* (მზის თვალის გამჩენი, უფალი), *კატარქოჩორმიყრილი* (წვეროვანობა მქონე და უმწიფარტაროიანი სიმინდი), *ახალხბოდედა* (ახალხბომოყვანილი ძროხა), *ხერტლითავი* (ხელტარის თავი, კვირისთავი).

აჭარული დიალექტი მდიდარია მრავალცნებიანი კომპოზიტებითაც, შერწყმული სახელებითაც; მათგან მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა არსებითი სახელების შეერთებით მიღებული რთული სიტყვები. მაგალითად: *გუდა-გარგანი* (გუდა და ხელკეტი), *დგიმ-სავარცხელი* (ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა), *ეჩო-ღრამი* (ხელეჩო და ფიცრის კიდის სიგრძივ ამოსაჭრელი ხელსაწყო), *ლომი-ლობია* (კერძი), *ღარ-კოდალი* (მშვილდ-ისარი).

კომპოზიტთა დიდი ნაწილი, როგორც მოტანილი მასალებიდანაც ჩანს, ხშირად გაფორმებულია *-ა* სუფიქსით და საგნის, ქმედების, მოვლენის თუ სხვ. თვისებებზე მიუთითებს. მაგალითად: *ასტმიტარა* (ასტამის, აქანდახის ტარის მსგავსი სახე ნაქსოვში), *დედისპირველა* (ძროხის პირველი ხბო), *ენაბორბოცა* (ენაბლუ, ბორძიკით მოსაუბრე), *ტურაფქვილა* (მალიან წვრილად ნაფქვავი), *ყვავტყემალა* (მცენარე, კოწახური), *ჭიანკტარა* (ჭიანკვდარა, ადამიანი, რომელიც ხშირად ავადმყოფობს და ჭიანკით უსუსურია), *ეწრისფურცელა* (ეწრის, გვიმრის ფოთლის მსგავსი გამოსახულება, სახე ნაქსოვში) და სხვ.

კომპოზიტიურ ლექსიკურ ერთეულებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ იმ დიდ შესაძლებლობებს, რასაც ლექსიკა ფლობს და იმ შესაძლებლობებსაც, რომელსაც ადამიანის გონება განაგებს. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტი ცალკე ლექსიკური ერთეულია, მაგრამ იგი თავისთავში, ასევე, შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას სიტყვის შემადგენელი ნაწილების შესახებაც. იგი მოცემული მომენტისათვის, შესაძლოა, ნეოლოგიზმდაც მოიაზრებოდეს, მაგრამ შედგენილი იყოს ძველი ეპოქებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ძირებით. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმით, რომ გარკვეული დროისათვის წარმოდგენილი ნეოლოგიზმი თავისთავში ინახავდეს ისეთ არქაულ ელემენტს, რომელიც უკვე აღარაა ხმარებაში და ისტორიის კუთვნილებად ქცეულა. ამგვარ სიტყვა-ტერმინთა მიგნება და კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკოლოგიაში. აჭარული დიალექტის ლექსიკაში დაფიქსირებულ კომპოზიტებშიც შემონახულია უძველესი, არქაული თუ ძველი ქართულისთვის ცნობილი ლექსემათა ძირები, საკუთრივ აჭარულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, ქართულ-უცხოენოვანი ჰიბრიდული თუ ნასესხები კომპოზიტები. ნიმუშისათვის შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე კომპოზიტი. მაგალითად: *გულმეცარი*, *გულთმენცარი* - გულთმისანი. ეს სიტყვა ახლაც აქტიურად იხმარება ზემო აჭარაში. იგი ხშირად გვხვდება აჭარულ ზღაპრებშიც. კომპოზიტის მეორე ნაწილი *მეცარი* სვანური ტერმინია და მისანს, წინასწარმეტყველს აღნიშნავს.

ასევე, სვანური *ხომს* აღნიშნავს დიდს. დაბრკოლება არ ჩანს ამ სიტყვის აჭარულ ტერმინ *ხომჰკალთან* (მსხვილი სეტყვა) დაკავშირებაში. ეს კომპოზიტი დასტურდება ქართული ენის სხვა, დასავლურ დიალექტთა ლექსიკაშიც.

ზანურ-ქართულ სიტყვათა ძირების შეერთებითაა მიღებული ტერმინები: *ქვიჯა*, *ფეხბურღლა*, *ბოგაზვინი*, *ლომიჩხა*, *ჯუმადია*, *ნუსადია*, *ოხტომ-დოხტომაი* და სხვ. მრავალი. ამავე რიგისაა ტერმინი *მოსაბადე*. *მოსა* ზანურში ბადეს, ქსელს აღნიშნავს. აჭარულმა დიალექტმა კომპოზიტში *მოსაბადე* შემოგვინახა სიტყვა *მოსა*, რომელმაც ქართულ სიტყვა ბადესთან შეერთებით ბადის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდება მოგვცა.

ტყუჯალი - განტოტებას, განშტოებას აღნიშნავს. „ნერგი გეიზდება. ღერზე მიეცემა ტყუჯლები, ტყუჯლებზე - ტანები“. სიტყვის პირველი ნაწილი *ტყუ* უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული სიტყვიდან *ტყუჭი* (*ტყუბი*), სიტყვის მეორე ნაწილი *ჯალ-* ზანურია და ქართულ ხეს, ძელს შეესატყვისება.

საინტერესოდ გვეჩვენება კომპოზიტი *ღორთელი*. სიტყვაში ორი ძირი გვაქვს: *ღორი* და *თელი*. *თელი* ქართულ ენათმეცნიერებაში ქართველურ არქეტიპადაა მიჩნეული. ეს სიტყვა ძველ ქართულ წყაროებში არ დასტურდება. საბას აქვს იგი შეტანილი თავის ლექსიკონში: *თელი* - ღორის

გოჭი (იხ.საბა). არც ახალი სალიტერატურო ქართული იცნობს ცალკე ამ ტერმინს. აჭარული დიალექტის მესაქონლეობის ლექსიკაში გვაქვს სიტყვა *ღორთელი*, რაც საქონლის ერთგვარ დაავადებას აღნიშნავს. ეს დაავადება უჩნდება მკვე ძროხას მუცელში და „უჭამს“ ნაყოფს. ღორთელი ცნობილია იმერული და რაჭული დიალექტებისთვის. იმერულში იგი აღნიშნავს გინეკოლოგიურ დაავადებას. უჩნდება ქალს და „უჭამს“ ნაყოფს. რაჭულში კი აღნიშნავს ყელის დაავადებას. *ღორთელ*, *ღურთელ* დასტურდება სვანურშიც. აქ იგი იხმარება: 1. ყელის ჯირკვლის და 2. ყელის ჯირკვლის დაავადების - კატაჯვარას აღსანიშნად. (ნ.ნ თოფურია, ქალდანი). *თელ*- ფუძე დასტურდება ბერძნულშიც, მაგრამ მას ქართველურიდან ნასესხებად თვლიან (ნ. გამყრელიძე, ივანოვი).

განსხვავებული ზმნისწინებით, მაგრამ ერთი და იმავე ზმნური ფუძითაა წარმოდგენილი კომპოზიტები, მაგალითად: *აღილულ-ჩაღილული* (დიღებით ბოლომდე შეკრული), *ახირხლულ-ჩახირხლული* (ერთმანეთში არეული), *მიკელილ-მოკელილი* (დაგრეხილი) და სხვა მრავალი. ამ ბოლო კომპოზიტის ძირია *კელ*-ი. იგი გვხვდება ძველ ქართულში: *მკელობელი* - კოჭლი (ნ.აბულაძე), *კელობა* - კოჭლობა „იგი კელობდა ბარკლითა მით“ (ნ.საბა). ძველი ქართულის მსგავსად კელობა აჭარულშიც კოჭლობას აღნიშნავს, მაგრამ გვაქვს, ასევე, ცალკე ტერმინი *კელი*, რაც სამშენებლო ლექსიკაში გამოიყენება და ეწოდება მოკლე ფიცარს, რომლითაც აშენებენ კედელს ფანჯრებს ან კარსა და ფანჯარას შორის ან ფიცრის დასაგრძელებლად გამოყენებულ ფიცრის ნაწილს. ქართული *კელ*- ძირის შესატყვისი გვქონია სვანურშიც: *მჯ-კლი* - კოჭლი, *იკლი* - კოჭლობს; არ გამოირიცხავენ ამ ძირების კავშირს ქართველურ ენებში კლების, დაკლების, ხელცარიელად დარჩენის აღმნიშვნელ კელ/კლ ძირთან. (ფენრიხი,სარჯველაძე,1990).

მისიუარესი - ტერმინი აღნიშნავს პატარძლის უახლოეს, ძმისსადარ ნათესავს. „დედოფლის ცხენს ძმა წაიყვანდა ანდა მისივარესი“ - ანუ დედოფლის ბიძაშვილი. *მისიუარესი* მიღებულია ნაცვალსახელ *მისისა* და ძველი ქართული სიტყვის *უადრესის* შეერთებით. *უადრესი* ძველ ქართულში კარგს, უკეთესს აღნიშნავს („ვერ გამოვარჩვენ მათ შორის უადრესსა გინდა უადრესსა“).

ხელნაქმარი, *ხელნაქნარი* - ხელით ნაკეთები, ნამზადი. „მთვარევ, რა მოგვიტანე? ხელნაქმარი ხვავრიელი, ჩემი ნამზად-ნაკეთები ქვეყნის უგემრიელესი“. *ხელნაქნარი*, *ხელსაქნარი* გვაქვს ძველ ქართულში და აქაც ხელით გასაკეთებელი სამუშაოს აღნიშნავს. საკუთრივ დიალექტური წარმოშობის ჩანს კომპოზიტები: *ახალპირი* - უშობელი, *ამწამალა* - ახლავე, *ფისიმწურავი* - ძუნწი, *ჭიპარკოტა* - პატარა, *მზითვალიგამჩენი* - უფალი, *კუდტანტრუქა* - ბოლოქანქარა და სხვა მრავალი.

დიალექტები საინტერესოა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნის თვალსაზრისითაც, რადგან ახალი სიტყვები ჩნდება ადამიანთა

ყოველდღიურ ურთიერთობებში, მათ საქმიანობაში. შემდეგ ასეთ სიტყვათაგან ზოგი მკვიდრდება ეთნოსის მეტყველებაში, აქედან კი ზეპირი, მედიის თუ მწიგნობრობის გზით ვრცელდება და ფეხს იკიდებს ლექსიკურ ფონდში. მაგალითად: ამ ბოლო დროს სოფლად ბავშვებთან ურთიერთობისას დავაფიქსირებ ბავშვების მიერ ერთმანეთზე შერქმეული მეტსახელები: *ფაილა, ჩიპო, ჩიპიკა, ჩიპიტავა...* .გასაგებია, საიდანაც მოდის ეს სახელები. მათგან *ჩიპიტავა* კომპოზიტია; ბავშვების განმარტებით, ამ ზედმეტსახელის მატარებელი ბიჭუნა „ჭკვის კუჭეჭია (ძალიან ჭკვიანი) და იმიტომ შევარქვით ასეო“.

დასკვნა: ამგვარად, ენა არის გარკვეული პროცესების ერთიანობა და იგი უნდა განიხილებოდეს დინამიკაში, რადგან ტრანსფორმაციულ-წარმომშობი პროცესები არ ჩერდება, კიდევ იქმნება და ფიქსირდება ახალი კომპოზიტები. პოეტის და მეცნიერის ბ-ნ შოთა ზოიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიტყვა ხომ ჩიტვივითაა, მასაც გული უცემს!“ გავუფრთხილდეთ მის გულისცემას!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1973: – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. თოფურია, ქალდანი, 2000: – თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ. 2000.
3. ნოლაიდელი, 2013: – ნოლაიდელი ჯ., აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები, ბათუმი, 2013.
4. საბა, 1928: – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928.
5. შანიძე, 1971: – შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1971.
6. ჯავახიშვილი, 1930: – ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1930.
7. Гамкрелидзе, Иванов, 1984: – Гамкрелидзе Т., Иванов В., «Индоевропейский язык и Индоевропейцы», Тб., 1984.

Some Stylistic Features of Zurab Gorgiladze's Creative Work

**ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთი სტილური
თავისებურება**

Elza Phutkaradze

PhD in Philology, Chief scientific Researcher,
Niko Berdzenishvili Institute of Batumi
Shota Rustaveli State University

e-mail: elza.phutkaradze@bsu.edu.ge

Tel: +995 593 18 01 96

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-9800-2183>

Kakala Ebralidze

PhD student at Batumi Shota Rustaveli State University

e-mail: kakala.ebralidze@gmail.com

Tel: +995 555 57 90 99

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-8424-7842>

Abstract: The paper deals with some stylistic features of Zurab Gorgiladze's creative works. Studying the language of the poet is a neat and interesting matter. It is neat, if you must get in touch with the inner, spiritual world, thoughts of the creator himself; it is interesting to the extent that you are a co-creator and travel together with the author in his world, in his vocabulary. The poetic language is the foundation of the writer, the garment, and the sole of his thoughts. In many ways, the language of Zurab Gorgiladze's poetry is amazing. The poet especially loves the "word of the master" and his speech is a celebration of the power, grace, color and strength of words that have not tasted a drop of wine for three hundred years, having been fasted for three hundred years, and chained for three hundred years. Word formation, content capacity of lexical units, stylization of lexical dialectics, imagery speech is a special stylistic handwriting for a poet.

The article also talks about the stylistic features of repeating unfinished sentences, figurative expressions, words, or sentences. Zurab Gorgiladze's work is imprinted in the reader's consciousness with amazing epithets. With the stylistic use of auditory-vocal epithets, the poet creates an amazing painting. Attention should be drawn to one interesting detail characteristic of the poet. The elements of dialogue unexpected for the

lyricist, sophisticated dialogue inserts sometimes invade Gorgiladze's verses. This too can be considered as a peculiar way of stylization. These issues are discussed in the paper.

Key words: A creative person, poetry, style, linguistic feature

ელზა ფუტკარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
ელ-ფოსტა: elza.phutkaradze@bsu.edu.ge

ტელ: +995 593 18 01 96

ORCID: <https://orcid.org/0009-0000-9800-2183>

კაკალა ებრალიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: kakala.ebralidze@gmail.com

ტელ: +995 555 57 90 99

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-8424-7842>

აბსტრაქტი: ნაშრომი ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთ სტილურ თავისებურებას ეხება. შემოქმედის ენის შესწავლა ფაქიზი და საინტერესო საკითხია. ფაქიზია, რამდენადაც თავად შემოქმედის შინაგან, სულიერ სამყაროსთან, ნაფიქრ-ნააზრევთან გიწევს შეხება; საინტერესოა, რამდენადაც თანაშემოქმედიც ხარ და ავტორის ერთად დამოგზაურობ მის სამყაროში, მის სასიტყვეთში. ენა მწერლის ბალავარ-სამირკველია, აზრის სამოსი, სამზეროა. მრავალკუთხით, მართლაც, საოცარია ზ. გორგილაძის პოეზიის ენა. პოეტი განსაკუთრებით ელოლიავებ-ესიყვარულება „სიტყვა ბატონს“ და სამას წელიწადს ღვინოუსვამი, სამას წელიწადს ნამარხულევი, სამას წელიწადს ნაბორვილარი სიტყვის ძალის, მადლის, ფერადოვნების, სიმღიერის ზეიმია მისი სასიტყვეთი. სიტყვაწარმოება, ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი ტევადობა, ლექსიკური დიალექტიზმების სტილიზაცია, ხატოვანება თქმისა განსაკუთრებული სტილური ხელწერაა პოეტისათვის.

ნაშრომში ასევე საუბარია დაუმთავრებელ წინადადებათა, ხატოვან სიტყვა-თქმათა, სიტყვათა თუ წინადადებათა გამეორების სტილური თავისებურებების შესახებ. ზ. გორგილამის შემოქმედება საოცარი ეპითეტებითაც აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში. სმენით-ვოკალური ეპითეტების სტილური გამოყენებით საოცარ ფერწერას ქმნის პოეტი. ერთ საინტერესო, პოეტისათვის სახასიათო დეტალზეცაა ყურადღება გამახვილებული. ზ. გორგილამესთან შემოიჭრება ხოლმე ლირიკისათვის მოულოდნელი დიალოგის ელემენტები, დიალოგიური ჩანართები. ესეც თავისებურ სტილიზაციის ხერხად აღსაქმელია. ნაშრომში სწორედ ეს საკითხებია განხილული.

საკვანძო სიტყვები: შემოქმედი, პოეზია, სტილი, ენობრივი თავისებურება.

შესავალი: შემოქმედის სტილური თავისებურებით დაინტერესება და მისი შესწავლა აქტუალური საკითხია. ყოველი ხელახალი წაკითხვისას სიახლე გხვდება, სხვაგვარია გააზრებაც. ეს განსაკუთრებით თამამად ითქმის ზურაბ გორგილამის შემოქმედებაზე. რამდენჯერმე წაკითხულ - გაზეპირებულ, შენეულად ქცეულ ტაეპებს წაიკითხავ და სიტყვა ახლად იბადება, სხვაგვარად გესმის და სხვაგვარად იაზრებ. ისევ ხელახლა ჩაგაფიქრებს ნათქვამი, სიტყვათა კრიალოსანი ისევ ახლებურად იკვრება, წერის ახლებურ მანერასაც აღმოაჩენ და რაც მთავარია, მისი შემოქმედების ყოველი ხელახალი წაკითხვა უფრო გაოცებს, მეტად გიზიდავს. სიტყვის ესთეტიზაცია და სიღრმე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს. თანაზიარი ხდები მისი შემოქმედებისა. ჩაგესმის პოეტის ხან ცრემლნარევი, ათრთოლებული, ხან რიხიან - ომახიანი ხმა. გრძნობ მისი ლექსების სურნელებას, ლექსებისას, რომელთაც „საქართველოს სურნელი“ მოაქვთ და აღარ ხარ ის, რაც მისი ლექსების წაკითხვამდე იყავი.

ერთგან პოეტი წერდა: „... ჩემო კეთილო, სინაზე მირონივით აპკურე კაცთა სიყვარულს და შორიდან შემენუგეშე! ... მეშინია არ გამიცვიდეს ადამიანის თბილი და ღვთაებრივი თვალები. გაოცებით სავსე თვალები ლაღი და თამამი ვნებები მგონია. სამი კეთილი გენიის ბავშვია ადამიანი. ო, როგორ ამკობს მას გრძნობა, გაოცება და სინანული. მიმიყა ყალბი სიდიადე, ძნელია ცივი სიყვარული, მწარეა გაწვრთნილი ღიმილი. ველარ ვიწვით, ველარ ვაოცებთ, ველარ ვაეჭვებთ ერთმანეთს! გულგრილი კაემანი, გონიერი სიზარმაცე, ცარიელი ცნობის წადილი შემოეპარა ადამიანის სულს. ამიტომ მინდა მოგეფერო, მოგეალერსო ჩემო ერთადერთო და სანუკვარო, ამ სამყაროში ჩემი ჭირისა და ლხინის უკვდავება - ადამიანო!...“ დიახ, კაცთმოყვარეობის, დიდი და მზიანი გულის, დიდი ადამიანობის

საგალობელია მისი პოეზია და იმავდროულად, პოეტი თავის ნაფიქრს განსაკუთრებული ენობრივი ფორმით და მანერით გვანდობს. გვაოცებს თქმის ხელოვანება. პოეტისეული მხატვრული შესიტყვებები ქმნიან სტილიზებულ ენობრივ ქსოვილს. თითოეული წინადადება ახალ სიცოცხლეს იძენს. მხატვრული აზროვნება კი საოცარი ენობრივი ფორმით ვლინდება. მკითხველი ამ მხატვრულ - სტილური საშუალებების გამზიარებელია და პოეტის ჩანაფიქრის თავისებურად წამკითხავი, რადგან „ის, რასაც ჭეშმარიტი პოეზია ჰქვია, შუამავალს არ საჭიროებს. კრიტიკოსი მხოლოდ ხელს უშლის ინტიმურ დიალოგს პოეტსა და მკითხველს შორის, წყვეტს იმ იდუმალ ძაფს, ხელოვნების უნატიფეს ქმნილებასა და მკითხველს შორის რომ იბმება... ლირიკული ლექსი მთელი არსებით უნდა შეიგრძნო, შეიტკბო, გაითავისო...“ (მახაჭაძე, 2019 : 269). დიახ, პოეტის ლექსების მთელი არსებით შეგრძნებაში, შეტკბობასა და გათავისებაში სწორედ სამშობლოს სურნელით გაჟღენთილი და გორგილადისეული აგუგუნებული ქართული სიტყვის ძალა გვეხმარება.

ლიტერატურის მიმოხილვა: ზურაბ გორგილადის პოეზია იმთავითვე გახდა კვლევის საგანი, თუმცა აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ზურაბ გორგილადის პოეზიის ენას ეხება ნ. ვერძაძის, ნ. ცეცხლადის და სხვათა სტატიები, ასევე, ჟ. შაინიძის მონოგრაფია. აღნიშნულ კვლევებში სხვადასხვა ენობრივ ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული. ჩვენ ძირითადად პოეტის სტილური თავისებურება გვანტერესებს. მნიშვნელოვანია ლექსიკური თუ გრამატიკული დიალექტიზმების, ეპითეტების, შედარებების თუ სხვა მხატვრული ხერხების საკითხის კვლევა ზურაბ გორგილადის პოეზიაში, თუმცა სხვა დეტალებიცაა სახასიათო და სწორედ ამ კუთხითაა წარმოჩენილი პოეტის სტილური მხარე.

მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, აღწერითი და ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდები.

შედეგები / დისკუსია: ზურაბ გორგილადის პოეზია თემატურად მრავალფეროვანი, სხვადასხვა კუთხითაა გასააზრებელი. ხან სამშობლოს ეფერება, ტაო-კლარჯეთის ტკივილი მოსვენებას აკარგვინებს „დანგრეული კლარჯეთის პრინცსა თუ ტაო-კლარჯეთის ბოკვერს“, განსაკუთრებით ეფერება „სიტყვა ბატონს“. საოცარია პოეტის დამოკიდებულება ქართული სიტყვისადმი, იმ სიტყვისადმი, რომელიც „მდიდარი და ღარიბი“, „დაჭრილი და გაქურდული“, „გამობოლილი და გამოჭვარტლული“, „გამოშიგნული და გამოჯიქნული“, მაგრამ ყოველთვის „მხნე და ჯიქურია“. სიტყვა სულის მონაწერი, სულის ნაჟურია პოეტისთვის. სამას წელიწადს ღვინოუსვამ-ნამარხულევ - ნაბორკილარი სიტყვის ძალისა და მადლის დღესასწაულია

მისი სასიტყვეთი. სიტყვაწარმოება, ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი ტევადობა, ლექსიკური დიალექტიზმების სტილიზაცია, ხატოვანება თქმისა გვაჯადოებს.

სტილი არის ინდივიდუალური მსოფლადქმა, გამოხატული შესაბამისი ენობრივი ფორმით, ამიტომაც ყოველი მწერლის სტილი, უპირველეს ყოვლისა, მისეული ხედვა, მისეული აღქმა სამყაროსი (ჯორბენაძე, 1998:6).

ზ. გორგილამის პოეზიის გაცნობისას, შეუძლებელია, შეუმჩნეველი დარჩეს დაუმთავრებელი წინადადებანი. რამდენი მკითხველიც რამდენჯერ, რა კუთხით გააგრძელებს ნაზრევს, იმდენჯერ ახალად იბადება ლექსი. პოეტი წინადადების ბოლოს სვამს სამ წერტილს და უკვე მკითხველს აძლევს საშუალებას, თავისი სურვილისამებრ განაგრძოს აზრის მდინარება, შესაბამისად ჩასწვდეს პოეტის დაფარულ სათქმელს, ამოიცნოს ის ქვეტექსტი, რომელიც აზრის სავარაუდო გაგრძელება იქნებოდა:

„ღია ღილკილოს ვამკობ იათი, ქარით მივყვები ქორებს,

მთელი ბუნებით და ხასიათით ნუ შემეჩვევი,- თორემ...“ (გორგილაძე, 1988:238).

„გასაოცარი ქვეყნად ბევრია, გასაკვირველი ვერაა, თორემ...“ (გორგილაძე, 1988:78).

„წაბლანას ქედზე გარბის ბილიკი, საით ნეტავი, საით?...“ (გორგილაძე, 2012 : 79).

„არ გინდა ყვირილი, - სულ ჩუმად მითხარი, სულ ჩუმად, - ესა ვარ, ისა ვარ...“ (გორგილაძე, 2012: 87).

„ჩიტის იმედით ვცოცხლობ ახლა, ჩიტის იმედით...“ (გორგილაძე, 2012: 265).

„ჩამივარდება კლარჯულ სისხლში ვარდის ფურცელი და დულს ფურცელიც...“ (გორგილაძე, 1988:129).

ეს არის უშუალო დიალოგი, თანაზიარობა პოეტსა და მკითხველს შორის, რამდენად მიუხვდება მკითხველი პოეტს. ამით ძლიერი ექსპრესიული ფონია წარმოდგენილი. ფაქტიურად, ესაა ჩართვა ლექსის ქმნადობის პროცესში, ფანტაზიას უღვიძებს მკითხველს. უშუალო ურთიერთობა იქმნება მკითხველსა და პოეტს შორის, იგრძნობა პოეტის ნდობა მკითხველისადმი. ეს კი რაოდენი ფუფუნებაა მკითხველისადმი.

ზ. გორგილამის სიტყვის ძალა იგრძნობა ხატოვან თქმებშიც. მათ გარეშე, მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით, ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსების მთელი სიმდიდრე გადმოგვეცა, გამოგვეხატა (ნოღაიდელი, 2013:39). ზურაბ გორგილამისთვის დამახასიათებელი სიტყვა-თქმები პოეტური მანერის, შესაძლებლობების გამოვლინებაა. მასთან, ბუნებრივია, გვხვდება ხალხში გავრცელებული თქმები, მაგრამ შთამბეჭდავი სწორედ პოეტისეული თქმებია. ესეც პოეტური მანერა-ხელწერისა თუ შესაძლებლობების გამოვლენაა. გამოვყოფდით იმ

თქმებს, რომლებიც სულის მდგომარეობას ასახავს: „სულში გუბდება ვაშლის თქემი“; „რჩებოდა სულში ჩაყრილი ხურდა“; „თუ მართავ შენს სულში ჩამწყვდეულ ამინდებს“; „სულში ვაშლები თოვს“; „ჩემი სულის კუკული ხარ“; „შენს სულში ვენახი ყვაოდა“; „გაჩეხილ სულში ლოდიძირის ყინული წვეთავს“; „ვინც ამიცრა სულში ვაზი“; „სულში ჩარღვეული იარა“; „სულში მბრუნავი ნაღმი“; „კაკალ სულში ეკლიანი შოლტების ცემა“; „სულში ყვავილების ფანტვა“; „სულზე ფრჩხილების დაქნა არსთა მპყრობელის მიერ“.... კონცეპტი სული ძირითადად სულიერ ტკივილს გამოხატავს, იშვიათად სიხარულს.

ნიმუშად მხოლოდ სულ კონცეპტიანი თქმები დავასახელებთ. საოცარი დროულობით გამოიყენებს პოეტი ამ სიტყვა-თქმებს. ამ ფრთიანი თქმებით ექსპრესიულად და ლაზათიანად გადმოგვცემს სათქმელს, მეორე მხრივ, აზროვნებით, ფიქრით, წარმოდგენით იქ ვართ, ძაბავს აზროვნებას, თან უნებლიედ, ძალდაუტანებლად მიყვები აზრთა მდინარებას. ესაა საოცარი მანერა პოეტისა. იქმნება ამაღელვებელი სურათი, საოცარი ფერწერა. საოცრად მოკაზმულ-მოვარაყებულია პოეტის სიტყვა.

ზ. გორგილამის შემოქმედება საოცარი ეპითეტებითაც აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში. მხოლოდ მცირედი მინიშნებით შემოვიფარგლებით. გამოვყოფდით სმენით-ვოკალურ ეპითეტებს: აბღავლებული სანახები; ყრუ ხსოვნა; ყრუ ძახილი; ყრუ ქვითინი.... როგორც შენიშნულია, სმენითი შეგრძნების პარალელურად ხორციელდება ხმის მხედველობითი აღქმა (შაინიძე, 2016:18).

ასევე, მრავლადაა ვიზუალურ, შეგრძნებითი ხატები: მწარე ხანძარი; მდულარე ლეკერტები; ცივი მოლოდინი; თბილ ნანგრევებს; ცივ ყვავილებს... ისევ შემოგვეფეთება მოულოდნელი ეპითეტები, რომლებითაც კონტრასტული სახეები იქმნება: „დასტირის ქალთა ნაზ უზნეობას“; „ცივი ცეცხლი ცხედრების“; „კლარჯულ ვაზის ნაზი ხანძარი“; „მუზებს აბრუებს გრილი ცხელებით“; „წმინდა ცოდვები“...

ტროპის ეს სახე საოცარ მხატვრულ - ლიტერატურულ სტილს ქმნის. მხატვრულად წარმოსახულ - შეფერადებული სიტყვა წარმოგვიდგენს პოეტის მსოფლალქმას. ამასთანავე, ლექსის რიტმსა და დინამიკას განსაზღვრავენ, ხოლო მხატვრულ სახეებში განფენილი პოეტის ნაფიქრ - ნააზრევი მკითხველზე ზემოქმედებს.

დიახ, საოცარი სასიტყვეთია ზ. გორგილამის პოეზია. თითქოს სიტყვის ფერს ხედავ. ხელთ კალამი უპყრია პოეტს, მაგრამ სიტყვა ფუნჯივით გვიხატავს სათქმელს, საოცარი ფერწერა ცოცხლდება ლექსად თქმული. ჭრის სიტყვა, მუსიკასავით იმღერება. ეს ნიუანსი განსაკუთრებითაა გამოკვეთილი გამეორების შემთხვევაში. გამეორებას ხშირად მიმართვას ზ. გორგილამე სულიერი განცდების გადმოსაცემად, გვაქვს სიტყვისა და წინადადების გამეორების ხშირი შემთხვევა:

„შენ ხარ ვენახი და შენი ჭიგო, აწ ველარავინ ველარ გათელოს,
იმაზე დიდი რა უნდა იყო, იმაზე ტკბილი რა უნდა იყო,
იმაზე მწარე რა უნდა იყო, რომ ხარ მწუხარე და საქართველო“
(გორგილაძე, 2007:14).

„მარადიდი! მარადიდი! დაგლეჯილი, მარა... დიდი...
მარადიდი!“ (გორგილაძე, 2007:8).

„არ აჰყვე, არ აჰყვე, არ აჰყვე არაკებს,
მიდგომილ, მოდგომილ, განდგომილ ბანაკებს,
ტყუილად არავინ არავის არ აქებს,
არ აჰყვე, არ აჰყვე, არ აჰყვე არაკებს“ (გორგილაძე, 2012:449).

„დაბინდნენ, დაბალი ნისლები დაბინდნენ,
დავანდნენ... დაღლილი ნისლები დავანდნენ“ (გორგილაძე, 2012:63).

„ეჰ, ჩემო ჩაქურავ, ეჰ, ჩემო ხაზარდავ,
მშვიდობით! გშორდები, გშორდები... გშორდები...“ (გორგილაძე,
1977:46).

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა საოცრად მუსიკალურია, თითქოს ჩაგვესმის ხმა, საოცარი ჟღერადობა, კეთილზმოვანებაა.

ზ. გორგილაძე ხშირად მიმართავს მსგავსი ან სინონიმური სიტყვების გამეორებას:

„ასე, როდესაც ყვითლდება მთვარე, ასე, როდესაც ფითრდება მთვარე,
ასე, როდესაც იღვეა მთვარე...“ (გორგილაძე, 2007:80).

„ვერც გულს მოიფხან, ვერც იბღავლებ, ვერც იხარხარებ,
განტოტვილი ვარ, გაფანტული ცხრაჯერ, ცხრა მხარეს“ (გორგილაძე,
2007:69).

„ქათქათებ, ქოთქოთებ, ქვითქვითებ დღითიდღე“- ვკითხულობთ ლექსის ტაეპებს და ჩვენ წინ ცოცხლდება სურათები, კიდევ ვხედავთ განდგომილ ბანაკებს, ჩაგვესმის ჩურჩული - არ აჰყვე, არ აჰყვე. ფაქტიურად, ეს გამეორებები გრადაციამდეა ასული, ემოციური, დამაფიქრებელია და სიტყვის ესთეტიკურ დაგემოვნებასთან გვაქვს საქმე. პოეტი, ლამის, დაგვაგემოვნებინებს სიტყვას.

გამეორებების საშუალებით ხაზგასმულ - აქცენტირებული სათქმელი კი მოქმედებს მკითხველის ცნობიერებაზე და სხვადასხვა გრძნობით ასოციაციებს აღძრავს.

სათქმელის წერით გადმოცემა რთულია, რადგან მარტო სიტყვის ამარა რჩები, თუმცა ზურაბ გორგილაძისათვის არა. პოეტი ის შემოქმედია, ვისი პოეზიის წაკითხვისას, ხედავ მისსავე „ბალღვივით გაოცებულ თვალებს“, მიმიკა - ჟესტს, ჩაგვესმის მისი ხმა.

პოეტის სიტყვა ნედლია, ბრჭყვიალაა, ნაღვერდალში გადამალული სიტყვის გაცოცხლება-აელვარებაა ზ. გორგილაძის სასიტყვეთი. ამიტომაცაა

რომ გვხიბლავს, გვიმონებს, გვაჯადოებს სხვადასხვა სტილური ხერხების გამოყენებით.

ერთ საინტერესო, პოეტისათვის სახასიათო დეტალზეცაა ყურადღება გასამახვილებელი. ზ. გორგილაძესთან შემოიჭრება ხოლმე ლირიკისათვის მოულოდნელი დიალოგის ელემენტები, დიალოგიური ჩანართები:

„-მიცნობდეთ... ზურაბ გორგილაძე... პოეტი...“

-როგორ?! - ლექსის მწერალი, პოეტი-მეთქი...

-აჰა...“ (გორგილაძე, 2012:149).

„ჰეი, ჰეი, მეციხოვნე! -აქა ვარ ბატონო.

-არ მოსთრევს რჯულმადლო? - არ მოსთრევს, ბატონო.

- ეგრემც, ეგრემც, ღმერთმა გიპატრონოს.“ (გორგილაძე, 2012: 42).

„-ვისაც გაჰქონდა ხალხიდან და არაფერი მოჰქონდა...“

იცნობ ასეთ კაცს, ძმობილო?

-ვიცნობ, - არ გამოთქვა ოღონდაც.

-პირში ჩიტვით გიცინის, ზურგში გაცხრება ორბივით, მეტყვი ასეთ კაცს რა ჰქვია?! - გეტყვი,- ფუშტი და ორპირი.

-ნეტავ ბევრი ჰყავს ამგვარი ოინბაზი და მკვებარა?

-რას ამბობ... ღმერთმა დალახვროს,

ღმერთმა უშველოს ქვეყანას!...“ (გორგილაძე, 2012: 416).

„ დედა გოგოს გულს კენკავდა მორთული და მოლამუნე ენით,

-არ წავყვები, ჭადის მადლმა, ნენი, თავი დამანებე, ნენი!

არა, სახლში დაგაბერებ!- ბუხარივით ღულუნებდა დედა,

-ნენი, თავი დამანებე!-

და ჭიშკართან ფური ჩრდილებს ფლეთდა“ (გორგილაძე, 2012: 482).

ასეთი დიალოგიური ჩანართები ერთობ შთამბეჭდავია ზ. გორგილაძის შემოქმედებისათვის. კიდევ ერთი სახასიათო ნიუანსია მნიშვნელოვანი. მიგვაჩნია, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს პოეტისათვის ქართული ხალხური ლექს-სიმღერების ხსენება. სიმღერა ხომ სულის ტკივილისა თუ სიხარულის, შინაგანი სამყაროს გახმოვანებაა. სიმღერის სახეები საოცარი დატვირთულობით, აზრობრივი აქცენტირებით შემოდის ზ. გორგილაძის პოეზიაში:

„ ჰაიტ! - შე ჭოჭონიქა კრიმანჭულო...“ (გორგილაძე, 2007:111).

„ურმულს დაოროველას, - ღმერთების მოთქმას,

ყველა ხომ ვერ იმღერებს ისე“ (გორგილაძე, 1988:117).

„ჩვენს გენებში დაბოგინობს ვარაიდაც, წინწყაროც“ (გორგილაძე, 2012:521).

„რომ დამეცვა იავნანა, რომ დამეცვა ვარდოვნანა“ (გორგილაძე, 1988:43).

„ჩემი მძვინვარე მუხამბაზი არ იმღერება,

ამ დუდუკებმა რა იღონონ, ან იმ ხელებმა,

ვერც გულს მოიფხან, ვერც იბღავლებ, ვერც იხარხარებ,
განტოტვილი ვარ, გაფანტული ცხრაჯერ ცხრა მხარეს“ (გორგილაძე,
2007:69).

ჩაიკითხავ ლექსის ტაეპებს და აფხაზური ვარაიდას, საოცრად სულის
სიმების შემარხველი ხალხური სიმღერის წინწყაროს დასახელებამ,
შეუძლებელია არ აღძრას ის ემოცია, რასაც ქართველი კაცი ამ სიმღერების
მოსმენისას განიცდის. კითხულობ „ჰოიდა ნანას“ და განდაგანას გოგმანი
ხმიანდება, ხორუმის მზერა და სამშობლოს სადარაჯოზე დგომის ექოც ისმის,
მრავალჟამიერის აგუგუნება სისხლის ყვილს გაგრძნობინებს. დიახ,
სიმღერის ჰანგები ხმიანდება ლექსის ტაეპებში. ცოცხლდება ისეთი სურათი,
თითქოს სიმღერის ფონზე ვკითხულობთ ლექსს, სიმღერის ფონზე ჩაგვესმის
ლექსის ტაეპები. აი ასე, სიმღერის დასახელებით პოეტს ლექსში შეაქვს
საოცარი მუხტი, განწყობა - ემოცია. ლექსი უფრო მუსიკალური ხდება,
განწყობა ამალღებული, შთაბეჭდილება წარუშლელი. ამასთანავე, იქმნება
ისეთი ზეამაღლებული განწყობა, რომ მომეტებით გრძნობ, სულიერ
ღირებულებათა როგორ საგანძურს წარმოადგენს ენა, „სადაც დაუნჯებულია
ეროვნულ - განუმეორებელი ცოდნა, აკუმულირებულია მთელი ერის
ისტორიულ - კულტურული, ფსიქიკურ - მენტალური გამოცდილება, რის
გარეშეც სრულყოფილად ვერასოდეს გავიგებთ ხალხის ისტორიას,
კულტურასა და ეროვნულ მსოფლხედვას (ომიაძე, 2009: 12-13).

ამდენად, ზ. გორგილაძე ის შემოქმედია, ვისთანაც სათქმელი და
თქმული ჰარმონიულია, შინაარსი საოცარი ფორმითაა მოტანილი
მკითხველამდე. ამას პოეტი სიტყვის ესთეტიზაციით ახერხებს. ერთგან
წერდა: „მეტს მე ვერ ვიგუგუნებ“, თუმცა მისი პოეზია ნამდვილად
აგუგუნებაა ქართული სიტყვისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

გორგილაძე, 2012: - გორგილაძე ზურაბ, ერთტომეული, გამომც. „აჭარა“,
ბათუმი, 2012.

კვარაცხელია, 1995: - კვარაცხელია გუჩა, მხატვრული ენის შესწავლის
ლინგვისტური ასპექტები, თბილისი, 1995.

ნოლაიდელი 2013: - ნოლაიდელი ნანული, ლექსიკური ძიებანი, გამომც.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013.

ომიაძე, 2009: - ქართული დისკურსის კულტურული პარადიგმა,
თბილისი, 2009.

შაინიძე, 2016: - შაინიძე ჟუჟუნა, „ყველაფერი და არაფერი“, ბათუმი, 2016.

ჯორბენაძე, 1998: - ალექსანდრე ყაზბეგის ენობრივი სამყარო, თბილისი,
1998.

მახაჭაძე, 2019: - მახაჭაძე შორენა, „ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით...“ (ფიქრები ზურაბ გორგილაძის პოეზიაზე), პირველად იყო სიტყვა, გამომც. „ივერიონი“, ბათუმი, 2019.

Colchian Medea in the Dramaturgy of the 21st Century

კოლხი მედეა XXI საუკუნის დრამატურგიაში

Tatia Davitadze

PhD Student at Batumi Shota Rustaveli State University;

e-mail: tatia.davitadze@bsu.edu.ge

Tel: +995 571 09 13 10

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-7888-719X>

Abstract: Modern dramatists offer a completely new interpretation of the unknown character of Medea. Recently, by important authors have been created some plays, in which the theme of Medea is brought to life and presented in a new way.

All the authors try to tell the story with their own interpretation, but all of them present an abandoned, abused, and disappointed woman who struggles to survive.

Modern authors have brought Medea to the life in the present days, she was given the conditions in which all of us live and give her the chance to live and fight for happiness; Such kind of interpretation clarified that there exist laws of life, which have not the time and space limitation.

Key words: love, immigration, betrayal of motherland, killing of brother and children.

თათია დავითაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

ელ-ფოსტა: teona.abuladze@bsu.edu.ge

ტელ: +995 571 09 13 10

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-3622-1870>

აბსტრაქტი: მედეას ამოუცნობი პერსონაჟის სრულიად ახლებურ გადააზრებას გვთავაზობენ თანამედროვე დრამატურგები, ბოლო პერიოდში შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ავტორის პიესა, სადაც მედეას თემატიკა ახლებურადაა გაცოცხლებული და წარმოჩენილი.

ყველა ავტორი საკუთარი ინტერპრეტაციით ცდილობს ამბის გადმოცემას, თუმცა ყველა მათგანში წარმოდგენილია მიტოვებული,

შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული ქალი, რომელიც იბრძვის გადარჩენისთვის.

თანამედროვე ავტორებმა მედია გააცოცხლეს დღევანდელობაში, მას შეუქმნეს მოცემულობა რომელშიც ყველა ჩვენგანი ცხოვრობს და კვლავ მისცეს შანსი ეცხოვრა და ებრძოლა საკუთარი ბედნიერებისთვის, ასეთმა ინტერპრეტაციამ ნათელი გახადა რომ არის ცხოვრებისეული კანონზომიერებები, რომელსაც არ აქვს დრო და სივრცე.

საკვანძო სიტყვები: სიყვარული, ემიგრანტობა, სამშობლოს დაღალატი, ძმის და შვილების მკვლელობა.

მსოფლიო ლიტერატურულ მემკვიდრეობას უამრავი უკვდავი პერსონაჟი ჰყავს, მედია მათ შორის ერთ - ერთი გამორჩეული გახლავთ, რომელიც დღესაც პოლემიკის, განსხვავებული თვალსაზრისების ობიექტია, სწორედ ამიტომაც საინტერესო მასზე საუბარი.

ანტიკური სამყაროდან მოყოლებული, იქნება ეს მითოსი, ბერძნული, რომაული თუ ევროპული ლიტერატურა, უცხოელი ავტორების დაინტერესება მედეას მიმართ საკმაოდ დიდია, ისინი მედეას დიდებას და უკვდავ სახეს წარმოგვიჩენენ; მათთვის მთავარია მედია, როგორც ძლიერი ქალი და არა როგორც შვილების მკვლელი ან სამშობლოს მოღალატე, ეს შტრიხებიც მისი პიროვნული სიძლიერის თვალსაზრისით აინტერესებთ.

აღნიშნული საკითხის კვლევისას ჩემი ყურადღება სწორედ იმ საკითხზე მიიპყრო, რომ თანამედროვე ქართველი ავტორები, აქტიურად წერენ მედეას თემატიკაზე და ცდილობენ მისი სახის წარმოჩენას თანამედროვე შტრიხებით.

პერსონაჟის საუკუნოვან უკვდავებას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ მას განიხილავენ ლიტერატურის მიღმა, არა როგორც ნაწარმოების და მითის მოქმედ პერსონაჟს, არამედ როგორც რეალურ ქალს, ამიტომ ხდება მისი განსჯა მორალურ ჭრილში.

ჩემი კვლევის საგანია თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში (ნ. ხარატიშვილი, გ. მგელაძე, პ. ციკოლია) მედეას სახის განხილვა და პერსონაჟის ახლებური ხედვების გაანალიზება.

ნინო ხარატიშვილის პიესა „ჩემი და შენი გული“, მედეას წარუშლელი ისტორიის განსაკუთრებულ მხარეს „სიყვარულს“ უსვამს ხაზს. ეს პიესა ორ შეყვარებულ ადამიანზეა, რომლებიც ებრძვიან მათ გარშემო არსებულ რეალობას და მდევარი ბედის კანონს.

ხარატიშვილის „მედია“ განსხვავებულ ასპექტებს გვაჩვენებს, თუმცა დიდად არ განსხვავდება ევრიპიდეს მედეასგან. იასონი მთელი პიესის განმავლობაში მედეას უწოდებს ჭიანჭველას, ეს არის ერთგულების, შრომისმოყვარეობისა და თავგანწირვის სიმბოლო. მედია კი აქაც უზომოდ

შეყვარებული ქალია, რომელიც მზადაა სიყვარულისთვის გაწიროს ყველა და ყველაფერი.

მწერლის სამწერლობო ენა და მასში გამოყენებული დასათაურებები ერთგვარი მინიშნებებია მოახლოებული ტრაგედიის, თითქოს ამ ტექსტებს შემოაქვს დაძაბულობა და შიში მომავლისა.

მედეას მოაშორეს შვილები, ის მთელი პიესის მანძილზე იმეორებს „ჩემი ბიჭები“, ჩემი ბიჭები“, ბავშვებს არ აჩვენებენ და ამით სჯიან, მაგრამ სწორედ ეს აბოროტებს და აძლიერებს მედეას, რომ მისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს. ჩვენმა დიადმა პერსონაჟმა გაწირა სამშობლო, მამა, ძმა, ყველაფერი შესწირა იასონს და მის სიყვარულს. ამ სიყვარულის გარეშე კი ის მოკვდება, არაფერი და არავინ არ იქნება, ვერ გაუძლებს ამას, ვერ გადაიტანს, თუ ეს სიყვარული არ ექნება, მაშინ არც არაფერი იარსებებს.

იასონი, როგორც ყველა ნაწარმოებში აქაც უმადურობით გამოირჩევა, თუმცა მედეა ძალიან უყვარს, ავტორი თითქოს თანაუგრძნობს იასონს და სურს გადაარჩინოს ის, როგორც პერსონაჟი.

ხარატიშვილის იასონი მედეაზე თავდავიწყებით შეყვარებული კაცია და ეს სიყვარული მთელი პიესის მანძილზე იგრძნობა კიდევ. მიუხედავად ცდუნებისა მას მაინც ედარდება და ეფიქრება მედეაზე, ვერ იმეტებს მისატოვებლად, თუმცა მაინც საყვედურობს, რომ მედეას არ შეუძლია მცირედის დათმობაც კი, ეს ბრალდება რა თქმა უნდა უსაფუძლოა, რადგან მედეა ის ქალია ვინც მის გამო ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დათმო, ისე, რომ არც კი დაფიქრებულა.

მედეა მგრძნობიარე ქალია, შეყვარებული ქალისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით გამოირჩევა, უყვარს თავდაჯერებულად, ძლიერად და მუდმივად იბრძვის ამ სიყვარულისთვის, ეშინია საყვარელი ადამიანის დაკარგვის და ეს ბუნებრივიც არის. სიბოროტე, რომელიც მედეას სულში ჩასახლდა სწორედ გამოწვეული იყო სიყვარულის დაკარგვის შიშით, ამ პერსონაჟმა სამყაროს უჩვენა, თუ რისი გაკეთება შეუძლია შეყვარებულ ქალს. როგორც ყველა ქალი მედეაც ოცნებობს, მაგრამ მხოლოდ ოცნების ამრად არ რჩება, არამედ ის მოძრაობს, იბრძვის და მოქმედებს უშიშრად.

პიესის მეორე ნაწილი უფრო მეტი დრამატიზებით გამოირჩევა, რადგან ახლოვდება ფინალური სცენა, სადაც დიადი სიყვარულის წინაშე მარცხდება ყველა გლაუკეც, კრეონიც და თავად მედეაც. მედეამ იცოდა, რომ დიდი სიყვარული იყო დიდი ტანჯვა და ასეც მოხდა, მას მოუწია ამ სიყვარულისთვის დიდი მსხვერპლის გაღება.

ფინალურ სცენაში მედეა ხოცავს შვილებს, ოღონდ აქ ბავშვები გამომწყვდეულნი არიან შუშის ოთახში, რომელიც ივსება წყლით და რომლის გასაღებიც აქვს მედეას, მას შეუძლია ბავშვების გადარჩენა, მაგრამ ჩანაფიქრი სისრულეში მოჰყავს. ამის შემხედვარე იასონი იკლავს თავს და მედეაც

თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. გადარჩება მხოლოდ გლაუკე, რომელიც ისედაც განწირული იყო ცხოვრების ამაოებისგან.

ხარატიშვილის პიესაში ნათლად ჩანს წინასწარმეტყველების ძალა და სიყვარულის ძლიერება. სიყვარულის და საყვარელი ადამიანების გარეშე მედეას სიცოცხლეს არ აქვს აზრი, მაგრამ უდაოდ ცალსახაა, რომ შვილების დახოცვას ის უფრო მარტივად გადაიტანდა ვიდრე იასონის სიკვდილს. თავსაც მას შემდეგ იკლავს, რაც იასონი მოკვდება. იასონის სიკვდილის შემდეგ არ არსებობს სამყარო მედეაც ქრება და აზრს კარგავს ყოველივე.

ავტორი საკუთარ სათქმელს ფინალური სცენის გადმოცემით გვეუბნება. უდანაშაულო ბავშვები, რომლებიც მინის გამჭვირვალე ყუთში არიან მოთავსებული პასუხს აგებენ მშობლების მიერ ჩადენილი ცოდვების გამო, ისინი კვდებიან ნელა და წამებით საკუთარი მშობლების თვალწინ, ისინი კი არაფერს არ აკეთებენ მათ გადასარჩენად, არადა ორივეს უყვარს შვილები, იასონი უძლურია მედეას წინაშე, ისევე როგორც მედეა არის უძლური სიყვარულის წინაშე.

„მკვდარია გული - ჩემი და შენი გული“ (ხარატიშვილი, 2020: 66).

და ბოლოს, ბრძოლას იმის გამო, რაც მოითხოვს მსხვერპლის გაღებას, არასდროს ექნება აზრი, ვერასდროს მოიპოვებს გამარჯვებას და ბედნიერებას.

რაც შეეხება გურამ მგელაძის „მედეას“ ის თანამედროვეობას ასახავს და ყველასგან განსხვავებული სიუჟეტით გამოირჩევა, მოქმედების ადგილი ჩვენი დღევანდელი ეპოქაა, ეს პიესა შედგება 5 სცენისგან და სავსებით სრულყოფილად ასახავს, როგორც ავტორის, ასევე, მითის მთავარ სათქმელსაც. სიუჟეტი აგებულია ევრიპიდეს „მედეას“ მიხედვით, მაგრამ ჩანს თანამედროვე ავტორის ხედვებიც.

სიუჟეტს საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ ავტორმა მედეას საკითხი ფემინისტურ ჭრილში განიხილა, ასეთი სახით მედეას წარმოჩენა, ავტორის მხრიდან ნიშნავს დაგვანახოს ქვეყნის დღევანდელი რეალობა, კერძოდ ის თუ როგორ მუშაობს დღევანდელი საინფორმაციო პორტალები, რა არის მათთვის მთავარი, როგორია ჩვენი პოლიტიკური თოქშოუები და საერთოდ რას ნიშნავს იყო ჟურნალისტი ჩვენს ქვეყანაში.

ავტორმა ქალაქ ბათუმში, ევროპის მოედანზე არსებული მედეას ცნობილი ქანდაკება გააცოცხლა, რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერს საქართველოში ამ მოვლენასაც, რომელიც ერთობ დაუჯერებელია, პოლიტიკური სარჩული მოუძებნეს და დაადანაშაულეს გასული წლების ხელისუფლება, რომელმაც ეს ძეგლი აღმართა.

ჩვენს დროში, რომ ეცხოვრა მედეას, რა თქმა უნდა ეყოლებოდა ფემინისტი მიმდევრების და დამცველების დიდი არმია, რომლებიც მისი ინტერესების დაცვას დაიწყებდნენ და პიესაშიც ასე ხდება.

მეორე სცენაში (გულახდილი საუბარი) უკვე მოქმედებას იწყებს მედეაც, ჟურნალისტი ათასი უაზრო შეკითხვით ცდილობს რეიტინგის მომატებას და

უსვამს იმ შეკითხვებს, რომლებსაც ყველა ქართველი და არამართო ქართველი დაუსვამდა მედეას, რომელზე პასუხიც საუკუნეებია, რაც კაცობრიობას აწუხებს.

მედეა აქაც სამშობლოს მოღალატეა, ძმის და შვილების მკვლელი, იასონზე უზომოთ შეყვარებული. ის ასევე აღწერს ოჯახური ცხოვრების იმ რეალობას, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში ისევ არსებობს, უამრავი ქალი იზიარებს მედეას ზედს, დღეს ჩვენთან. ისინი კი ვერ ახერხებენ ხმის ამოდებას, საკუთარი თავის და შვილების დაცვას, პირიქით გაღაბულები და ღირსებაყრილები არიან საკუთარი შვილების თვალწინ, საზოგადოება კი მათ მიმართ არის ყოვლად დაუნდობელი.

პიესის მესამე სცენა „ინტერმედია“ კარგად წარმოაჩენს იმ აგრესიას რაც ჩვენს სოციალურ ქსელშია გამოყენებული ავტორს ჩართული აქვს საზოგადოების კომენტარები, რომლებიც იწერებოდა სოციალურ ქსელში, თითოეულ კომენტარში, ნათლად ჩანს დღევანდელი საზოგადოების დამოკიდებულება, მათი განათლების დონე და ცხოვრებისეული ხედვები. ძნელია ასეთ გარემოში თავი დაიცვას ადამიანი, მითუმეტეს ქალმა, რომელსაც ყავს შვილები და არსად არ აქვს წასასვლელი.

მეთხე სცენაში ნაჩვენებია, თუ როგორ ეხმარება მედეას ქალები, ის წარწერები რომლებიც ტრანსპარანტებზეა გამოსახული: „ქალიც ადამიანია“, ძირს მასკულინური ჰეგემონია“, ჩვენც მოგვისმინეთ“, „ნუ გვკვლავთ“, „უთხარი არა ოჯახის დესპოტს!“ და სხვა . არის გამოხატულება ამ მხარდაჭერისა, აქაც იგრძნობა ირონია და სარკაზმი ეს პერსონაჟი საუკუნეების განმავლობაში განწირული იყო სწორედ ქალების მხრიდან, არ ჰქონდა მათი თანაგრძნობა, ეს კი არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მედეას დაცვას სწორედ ქალები ცდილობენ, ალბათ ეს ყველაფერი რომ მომხდარიყო ამისთვის 25 საუკუნის გასვლა იყო საჭირო, მაგრამ სავალალოა ის ფაქტი, რომ 25 საუკუნის შემდეგაც ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. ამ ქალებმა მედეაში დაინახეს საკუთარი თავი, მათი ცხოვრება და რეალობა, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

დასკვნით მეხუთე სცენაში ნაჩვენებია მედეას ქანდაკების დემონტაჟი, ეს არის სიმბოლო კულტურის უარყოფის, განადგურების და მიჩქმალვის. სამწუხაროთ აღმოჩნდა, რომ ჩვენ ისევ მივატოვეთ, უარვყავით და არ მივიღეთ მედეა, აქვე ავტორი ნაწარმოებს ასრულებს მედეას შემდეგი სიტყვებით: „ვიცოდი არ მიმატოვებდი, მაღალო ჰელიოს! წამიყვანე ერებთევსის სამფლობელოში, იქ პანდიონის ძე ეგევსთან ერთად ვიცხოვრებ“ (მგელაძე გურამ, „მედეა“, ჟ. „არილი“. N8, თბილისი.2019;).

მთელი პიესა გაჟღენთილია ირონიითა და სარკაზმით, რაც უფრო კარგად წარმოაჩენს ჩვენს თანამედროვეობაში მედეას სახეს, ყველასგან დევნილს დამცირებულს და ჩაგრულს.

ახლახანს შეიქმნა პაატა ციკოლიას - „მედეა“ (s01e06) - პაატა ციკოლია გახლავთ რეჟისორი, რომლის ბიოგრაფიას მიეკუთვნება უამრავი სპექტაკლის ექსპერიმენტული სახესხვაობის წარმოჩენა და დღევანდებლობაზე მორგება, ერთ -ერთი ასეთი გახლავთ „მედეა“, რომელიც მან ახლებური სტანდარტით წარმოგვიდგინა და სცენისთვის თავისებურად გადააკეთა.

თავიდანვე უნდა მივაქციოთ ყურადღება სათაურში არსებულ ინიციალებს, რომლებიც ერთგვარად იწვევს მკითხველის დაინტერესებას, ეს არის მინიშნება, რომ ავტორის მიერ შექმნილი ტექსტი მედეას შესახებ წარმოადგენს „სერიალს“ და ჩვენს წინაშე არის პირველი სეზონის მეექვსე ეპიზოდი, ანუ მწერალი გვიჩვენებს მედეას მითის მხოლოდ ფრაგმენტს, ეს მითი კი აქამდე დიდი ხნის დაწყებულია და რა თქმა უნდა ამ ეპიზოდის შემდეგაც გაგრძელდება.

მედეას ისტორიის ჩვენება თითქოს ეს სერიალია, საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაციაა და ამით ნათელი ხდება საზოგადოების დამოკიდებულების სატელევიზიო სერიალების მიმართ.

პიესა დაწერილია სამი მსახიობისთვის და ქოროსთვის. მთელი მეექვსე ეპიზოდი რომელსაც ავტორი გვიჩვენებს 11 მოქმედებისგან შედგება, თითოეულ ამ მოქმედებას აქვს დასათაურება, რომელიც მკითხველს წინასწარ აწვდის ინფორმაციას, თუ რაზე იქნება საუბარი, ამ თავში. საინტერესოა ფაქტი, რომ ციკოლიას პერსონაჟებს აქვთ მობილური ტელეფონები, სოციალური ქსელები, აქვე ყურადსაღებია ფაქტი, რომ საუბარია ქრისტიანულ მონასტრებზე და ტურიზმის პოპულარულ მოდელზე, ანუ ერთგვარი დროის სარტყელი ავტორთან აღრეულია და ძველ მითების სამყაროში შეტანილია თანამედროვე ნიუანსები საკმაოდ დიდი დოზით.

პიესის პირველი თავი იწყება კოლხეთის მთებში, მაშინ როდესაც 40 წელია გასული მედეას ამბიდან, გარდაცვლილია მეფე აიეტიც და უკვე ის ჟამი დგას, როცა მედეას სახელის ხსენება დასაშვებია ხდება. ხალკოტაურის მონასტერი, რომელიც ნახსენებია პიესის მეორე ეპიზოდში ერთგვარად წარმოადგენს ავტორის ჩანართს და კიდევ ერთ მცდელობას, რომ მითში შეიტანოს ახლებური ინტერპრეტაცია, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ეკლესია - მონასტრები.

ციკოლიას პიესაში, მესამე ეპიზოდიდან, მედეასა და მის უფროსს ძმას აბსირტოსს შორის მიმდინარეობს სასტიკი ომი, ძმა მუდამ ცდილობს მედეას დამცირებას, შერცხვენას და წამებას, ეს წამება კი ხდება ძალიან ცუდი ხერხებით, ის ამოსვრილი ყავს შარდში, ნაცემი და შეურაცხყოფილი გდია ყველას წინაშე და ვერაფრით იცავს თავს. ამ სანახაობას კი „ლაივის“ მეშვეობით გადასცემენ და მთელი კოლხეთი თვალს ადევნებს. აფსირტოსს სძულს მედეა და მას მამის გამყიდველ კახპას უწოდებს.

ამ პიესაში მედეა არ არის იასონზე შეყვარებული ქალი და არც ოქროს საწმისის ბერძნებისთვის გადაცემის მიზეზი გამხდარა იასონი, პირიქით

მედეა კოლხეთიდან გაიქცა რადგან ამით დაუპირისპირდა მამას და ძმას, ისინი, რომ სათანადოდ დაესაჯა ამიტომ მას სჭირდებოდა კოლხეთიდან გაქცევა და რა თქმა უნდა ძლიერი საყრდენი ბერძნების მხრიდან. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კოლხეთის დამხოვა და მისი ოჯახის განადგურება.

მედეა კლავს (ეს უფრო მსუბუქი ნათქვამია, უფრო სწორად „ჩეხავს და ანაკუწებს“ უმცროს ძმას ეგალეს, რათა მამამისმა სხეულის ნაწილების შეგროვება ვერ შეძლოს და მუდმივად დაეძებდეს ზღვაში. ამ შემზარავი ფაქტით მედეამ მოახერხა აიეტის განადგურება.

ჩვენმა უძლეველმა პერსონაჟმა საწადელს მიაღწია, აღასრულა ყველა ჩანაფიქრი და ბოლო მოუღო საკუთარ ოჯახსაც და მთელ კოლხეთსაც, თითქოს ამ ყოველივეს მისთვის უნდა მოეტანა სიმშვიდე, მაგრამ მედეა მაინც ღელავს და თითქოს რაღაცნაირად გრძნობს სამომავლო საფრთხეს, იმას რაც მას მომავალში ელოდება. თუმცა მედეამ იცის, რომ უცხო მიწაზე ის არის „გვამი“, თუმცა მაინც „მედეა“.

კოლხი მედეა ჩვენი კულტურის და ისტორიის ნაწილია, შესაბამისად საზოგადოების ინტერესი მის მიმართ დიდია და ამიტომაც გაიყო საზოგადოება ორ ნაწილად, ზოგისთვის ევრიპიდეს ვერსია მისაღებია, ზოგიც კი ძლიერ და მისაბამ ქალად აღიარებს მას.

ოცდამეერთე საუკუნეში თითქოს თავიდან გაცოცხლდა მითი არგონავტების შესახებ და მედეაც გადმოვიდა დღევანდელობაში, საუკუნეების უკან მცხოვრებ ხალხს ყოველთვის ჭეშმარიტად სწამდა, რომ მითის პერსონაჟები რეალურად არსებობდნენ და მეტიც მათ გარშემო ცხოვრობდნენ, ამიტომ უჭირდათ ქართველებს იმის დაჯერება რომ მედეამ შვილები დახოცა.

მედეა მკითხველში იწვევს აზროვნების, მსჯელობის, შედარების და ბრძოლის სურვილს, რაც თავისთავად ავითარებს საზოგადოების დამოკიდებულებასა და თვალთახედვას.

კოლხ მედეას მოწინააღმდეგეები და გამქილიკებლები არ აკლია დღესაც, მაგრამ ის მაინც აძლევს საშუალებას უბრალო მკითხველს, მწერლებსა, რეჟისორებს, რომ ისაუბრონ მის აწმყოსა და მომავალზე, განიხილონ და წარმოადგინონ მისი ამბის უამრავი ვერსია, მოარგონ თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებს, ხედვებს და ისე წარუდგინონ ფართო საზოგადოებას.

მედეას უკვდავი პერსონაჟი ცდილობს მოერგოს ყველა დროსა და სივრცეს, შეიძინოს ახალი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, დაბადოს მათში სურვილი ახალი იდეების შექმნისა და წარმოჩენის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გორდეზიანი, 2009: - გორდეზიანი რისმაგ, „ბერძნული ლიტერატურა“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.

2. გორდეზიანი., 2005: - გორდეზიანი რისმაგ, ტონია ნანა, „ანტიკური ლიტერატურა. გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.
3. ევრიპიდე, 2017: - ევრიპიდე „მედეა“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.
4. ხარატიშვილი., 2020: - ხარატიშვილი ნინო, ფლურაკისი ანდრეას, ბულაძე ლაშა, „სამი მედეა“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.
5. ციკოლია,2020: - ციკოლია შაატა, „მედეა s01e06“, თბილისი.
6. მეგლაძე გურამ „მედეა“<http://arilimag.ge/>.